

იუშჩენკომ თავისი მოწამვლის საიდუმლო ამოხსნა

A5



"წერილები მთავრობას"

A8



გარეკვებული რეალობა

B3


www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — სამშაბათი, 1 თებერვალი, 2005 წელი. №22 (882) — ფასი 50 თეთრი


## ამბები

### მიწისძვრით დაზარალებულების ახალი პროტესტი



გუშინ მერიასთან ქალაქის მთავრობაზე განაწყენებული მოქალაქეების ახალი ნაკადი გამოჩნდა. ამჯერად პრეტენზიას აცხადებს მიწისძვრით დაზარალებულთა ის ნაწილი, რომელმაც ბინები წინა ხელისუფლების დროს მიიღო.

A2

## სამართალი

### სამართალდამცველი თუ მოძალადე?



ხაშურში პოლიციელმა 21 წლის ბექა თომაძე ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრა და მიატოვა. ხაშურის პროკურატურამ კი, ბრალდებულის სახით, პასუხისგებაში თავად თომაძე მისცა.

A7

**იურიდიული ოფისი ,,გაპი" და გაზეთი "24 საათი"**

**ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.**

A7

# ბრიტანული ოპტიმიზმი და ქართული პრობლემები



*საქართველოს სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების დარეგულირების საკითხში გოგა ხაინდრავა გუშინ დახურულ კარს მიღმა დიდი ბრიტანეთის სპეციალურ წარმომადგენელს სამხრეთ კავკასიის საკითხებში, სერ ბრაიან ფოლის შეხვდა. საუბრის თემა საქართველოში არსებული კონფლიქტური ვითარებები და მათი გადაწყვეტის გზები იყო; შედეგი - დიდი ბრიტანეთის მთავრობა მიესალმება საქართველოს მთავრობის მცდელობებს, მშვიდობიანად მოაგვაროს კონფლიქტები, როგორც აფხაზეთში, ისე სამაჩაბლოში.*

ნინო გომართელი

**"ვფიქრობ, სამხრეთ ოსეთის პრობლემა გაცილებით მარტივად და მოკლე დროში მოგვარდება, ვიდრე აფხაზეთის,"** - განუცხადა გუშინ ჟურნალისტებს დიდი ბრიტანეთის სპეციალურმა წარმომადგენელმა სამხრეთ კავკასიის საკითხებში ბრაიან ფოლიმ.

მისივე ინფორმაციით, სახელმწიფო მინისტრთან გამართულ შეხვედრაზე განხილულ იქნა საქართველოში არსებული კონფლიქტური ვითა-

გაგრძელება A3 გვერდზე

# "ბერმუდის სამკუთხედი"

### მიგნება (აღმოჩენა) თუ შეცდომა?!

გიორგი ცომაია

გასულ წელს თბილისს ახალი "ღირსშესანიშნაობა" შეემატა, რომელსაც ქალაქელებმა, ჩვეული იუმორით, როგორც "ანდროპოვის ყურებს" თუ სხვა მსგავს ღირსშესანიშნაობას, "ბერმუდის სამკუთხედი" შეარქვეს.

ქალაქის მესვეურთა ამ გადაწყვეტილებამ პირველ რიგში მძღოლებისა და კოსტავას ქუჩის მცხოვრებლების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

ამ უკმაყოფილებას ობიექტური და სერიოზული საფუძველი აქვს, რადგან მიზანი, რომელსაც ამ სატრანსპორტო სამკუთხედის მოწყობა ითვალისწინებდა (ცალმხრივი მოძრაობის ორგანიზაციის გზით სატრანსპორტო საცობების გამორიცხვა, მოძრაობის სიჩქარის გაზრდა, გამონაბოლქვის შემცირება და ა. შ.) არა თუ არ არის მიღწეული, არამედ პირიქით, მდგომარეობა თუ უფრო მეტად არ გაუარესდა, როგორც ამას მოქალაქეთა დიდი უმრავლესობა აფასებს, ყოველ შემთხვევაში, არც რაიმე პოზიტიური შედეგი არ მოჰყოლია. ეს წარუმატებლობა უფრო დასანანია იმ სასიკეთო ძვრების ფონზე, რომელსაც ქვეყნისა და ქალაქის ხელმძღვანელობა ახორციელებს - ქუჩების კეთილმოწყობის, შუქნიშნების ამოქმედების, გარე განათების მოწესრიგების მიმართებით.

გაგრძელება B6 გვერდზე

"MARINE-CAPITAL LTD"

## მაინც არ ნებდება

დიანა ჩაჩუა

*რა ხდება "საოკეანო სანაოსნო კომპანიის" თავს - ეს ის შეკითხვაა, რომელიც უკვე მერამდენე დღეა, აწუხებს ქართულ მედიას. საქართველოში გამოცხადებულ დიდ პრივატიზაციას ბოლო პერიოდში სკანდალები არ აკლია, თუმცა გუშინ მათ კიდევ ერთი საინტერესო დეტალი შეემატა.*

გუშინ "24 საათის" ინტერნეტ ფოსტაზე "საოკეანო სანაოსნო კომპანიის" პრივატიზაციაში მონაწილე ერთ-ერთი კომპანიის "Marine-capitalLTD" ოფიციალური წერილი მოვიდა. წერილში კომპანიის წარმომადგენელი ჯოაკიმ ტომსონი იტყობინება, რომ ის თბილისში იმყოფება და საქართველოს მთავრობისგან პასუხს ელის. **"მოხარულები ვართ, გაცნობოთ, რომ ბრიტანულმა კომპანია "Marine-capitalLTD"-მა საქართველოს მთავრობას ყველაზე მაღალი წინადადება შესთავაზა, ბიუჯეტში ნაღდით 90 მილიონი დოლარის შეტანასთან დაკავშირებით.**

გაგრძელება A3 გვერდზე

## ზურაბ ჟვანია ოპონენტებს რადიოდან ეპაექრება

გიორგი ასანიშვილი

პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია მიიჩნევს, რომ საოკეანო სანაოსნოს ირგვლივ უსაფუძვლოდ და ხელოვნურად ატყდა აჟიოტაჟი. მისი თქმით, პრივატიზების პროცესი გამჭვირვალედ მიმდინარეობს და მთავრობა მაქსიმალური ოდენობის თანხების მიღებას ცდილობს. **"ორი დღე ანათემას ვიყავით გადაცემული. მე არ შემიძლია ყველა იმ უსინდისო ადამიანს ვდიო, ვინც ლამის ყოველ საღამოს ჭორების მოგონებით არის დაკავებული. ასეთი ამაზრზენი ჟივილ-ხივილი იმიტომ ატყდა, რომ საოკეანო სანაოსნო კარგ ფასად გაიყიდა,"** - აღნიშნა რადიო "იმედში" სტუმრად მყოფმა ზურაბ ჟვანიამ, რომელმაც ახალი პროგრამის პრეზენტაციაში მიიღო მონაწილეობა.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ამინდი

| | 1/2 | 2/2 |
|---|---|---|
| თბილისი | 9 | 12 |
| ქუთაისი | 12 | 13 |
| ბათუმი | 14 | 14 |
| სოხუმი | 7 | 11 |
| ფოთი | 12 | 13 |
| თელავი | 7 | 9 |
| ზუგდიდი | 12 | 13 |
| გორი | 6 | 9 |
| ახმეტა | 7 | 9 |
| ჭიათურა | 8 | 10 |
| გაგრა | 4 | 8 |
| სამტრედია | 12 | 13 |

**უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8150 |
| ევრო | 2.3586 |
| ბრიტანეთ სტერლ. | 3.4155 |
| რუბლი | 0.0646 |



| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| ეკონომიკა | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| საზოგადოება | A6 | ისტორია | B6 |
| სამართალი | A7 | სხვადასხვა | B7 |
| პროექტი | A8 | სხვადასხვა | B8 |



# რონალდო: "მუდამ მე მცვლიან"



მადრიდის "რეალის" ბრაზილიელი ფორვარდი ესპანეთის ჩემპიონატის მატჩში "მალიორკასთან" შეცვალეს, რაც ფეხბურთელმა მტკივნეულად გადაიტანა და მომავალ ტურში "ნუმანსიას" წინააღმდეგ თამაშში მონაწილეობა არ მიიღო. ის ბრაზილიაში გაფრინდა ნათესავის ავადმყოფობის გამო. რონალდო "მალიორკასთან" შეხვედრასა და თავისი კლუბის სამომავლო პერსპექტივებზე საუბრობს.

**- "ბარსელონამ" ალბერტინი შეიძინა. რა შეგიძლიათ მის შესახებ თქვათ?**

- ის, რომ ალბერტინი შესანიშნავი ფეხბურთელია. ტრავმებმა "ბარსელონას" შემადგენლობა მნიშვნელოვნად შეათხელა. ამიტომ, ჩემი აზრით, ალბერტინის შეძენა კლუბს ძალიან გამოადგება.

**- ამ დღეებში ადრიანოზე იმდენს საუბრობდნენ, რომ კლუბს ოფიციალური განცხადების გაკეთებაც მოუხდა იმის შესახებ, რომ ეს ჭორია. შენ იცნობ ადრიანოს?**

- ადრიანოს კარგად ვიცნობ. ის ჩემი მეგობარია. ხან რობინიოს ახსენებენ, ხან ადრიანოს, მაგრამ მე არ შემიძლია ამ თემაზე საუბარი. ერთადერთი, რაც შემიძლია ვთქვა, ის არის, რომ ადრიანო შესანიშნავი ფეხბურთელია. ეს მთელმა მსოფლიომ იცის.

**- ბექჰემის გადმოსვლაზეც ანალოგიური რამ ხდებოდა. კლუბმა მაშინაც ოფიციალური განცხადება გამოაქვეყნა.**

გაგრძელება B4 გვერდზე




# თავდაცვას, უშიშროებას და უნივერსიტეტს "გათიშავენ"

ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობის გამო, თბილისში არსებულ რამდენიმე სახელმწიფო უწყებას და უმაღლეს სასწავლებელს ელექტროენერგიის მიწოდება ორშაბათს საღამოდან შეუწყდება. როგორც "თელასში" აცხადებენ, მიმდინარე დავალიანების გამო, ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდებათ თავდაცვის (დავალიანება 110 ათასი ლარი) და იუსტიციის (100 ათასი ლარი) სამინისტროებს, საზღვრის დაცვის დეპარტამენტს (50 ათასი ლარი), თბილისის შს სამმართველოს (57 ათასი ლარი), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს (33 ათასი ლარი) და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს (50 ათასი ლარი).

როგორც "თელასში" აცხადებენ, საერთო ჯამში საბიუჯეტო ორგანიზაციების მიმდინარე დავალიანება 1,5 მლნ ლარს შეადგენს, ხოლო ძველი დავალიანებების ჩათვლით, ეს ციფრი 6 მლნ ლარს აღწევს.

"თელასის" წარმომადგენლები ელექტროენერგიის მიმდინარე დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში, აღნიშნული ორგანიზაციების ელექტრომომარაგებაზე უარს აცხადებენ.

ამ დროისათვის ელექტროენერგია არ მიეწოდება დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ადგილებს - ტურბაზა "დიღომსა" და სასტუმრო "უშბას". გუშინ დიღმის ტურბაზაში მცხოვრებმა ლტოლვილებმა ელექტროენერგიის მოთხოვნით საპროტესტო აქცია გამართეს. დევნილების თქმით, მათ რამდენიმე დღეა, დენი არ მიეწოდებათ. აქციის მონაწილეები ლტოლვილთა და განსახლების მინისტრ ეთერ ასტემიროვასთან შეხვედრას და კომპანია "თელასის" წარმომადგენლებისგან პრობლემის მოგვარებას მოითხოვდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ცენტრალური მაგისტრალის გადაკეტვით იმუქრებოდნენ.

ამ აქციის კომენტირებისას "თელასში" აცხადებენ, რომ დიღმის ტურბაზაში და სასტუმრო "უშბაში" მცხოვრები ლტოლვილების პრეტენზია უსაფუძვლოა, რადგან მათ განსაზღვრულ ლიმიტზე მეტი ელექტროენერგია აქვთ მოხმარებული.

როგორც "თელასში" აღნიშნავენ, ტურბაზაში მცხოვრებმა დევნილებმა დეკემბერში 22 500 ლარის ღირებულების ელექტროენერგია მოიხმარეს მაშინ, როცა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ "თელასს" 5 300 ლარი გადაუხადა. **"ანალოგიური ვითარებაა სასტუმრო "უშბას" შემთხვევაშიც. იქ მცხოვრებმა ლტოლვილებმა 5500 ლარის ღირებულების ელექტროენერგია მოიხმარეს, სამინისტრომ კი კომპანიას 3 900 ლარი გადაუხადა,"** - აღნიშნავენ "თელასში".

კომპანიის წარმომადგენელთა განმარტებით, ლტოლვილებმა იმაზე მეტი ელექტროენერგია მოიხმარეს, ვიდრე შეღავათით ეკუთვნით. **"პრეზიდენტის ბრძანების შესაბამისად, ლიმიტის ზემოთ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური ლტოლვილებმა თავად უნდა გადაიხადონ,"** - განაცხადეს "თელასში".

დიღმის ტურბაზას "თელასის" მიმართ საერთო ჯამში 580 000 ლარის დავალიანება გააჩნია, ხოლო სასტუმრო "უშბას" - 345 000 ლარის. "თელასის" ინფორმაციით, დევნილებს ელექტროენერგიის მიწოდება მხოლოდ დავალიანების დაფარვის შემდეგ აღუდგებათ.

*24 საათი*

# გამოხმაურება

გაზეთ "24 საათის" ხუთშაბათის, 13 იანვრის (2005 წელი) N 6 (866) ნომერში დაიბეჭდა ქალბატონ ვერიკო თევზაძის პუბლიკაცია სათაურით - "თაღლითობა სხვისი სახელით." მასში მოთხრობილი სიუჟეტი სრულიად არ შეესაბამება სინამდვილეს. სახელდობრ, ნათქვამია, რომ "განათლების ეროვნული კავშირი არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელსაც იმდენად დაბალი წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე, რომ მასმედიის მისაზიდად, "სახალხო ფრონტის" და ნოდარ ნათაძის სახელით სპეკულირებს. აღნიშნული ორგანიზაციის მესვეურები მასმედიას ოფიციალურად ეპატიჟებიან ნოდარ ნათაძის პრესკონფერენციაზე და "სახალხო ფრონტის" ოფისში თავად გვევლინებიან ღონისძიების ორგანიზატორებად (პირადად მე უკვე ორჯერ გახლდით ამგვარი უსიამოვნო ფაქტის მომსწრე)".

ჩემს ვალად ვთვლი, განვმარტო, რომ განათლების ეროვნულ კავშირს არა ერთხელ ჰქონია პრესკონფერენცია "სახალხო ფრონტის" ოფისში სხვადასხვა პედაგოგიურ, საგანმანათლებლო და ზოგად პოლიტიკურ თემებზე. ეს კონფერენციები ყოველთვის ცხადდება და ტარდება განათლების ეროვნული კავშირის - და არა "სახალხო ფრონტის" სახელით. "სახალხო ფრონტის" "წვლილი" ამ პრესკონფერენციებში არის ხოლმე დარბაზი ან ნათელი ოთახი. ა.წ. 12 იანვარს ზუსტად ასე იყო. მაგრამ იმის გამო, რომ პრესკონფერენცია მიეძღვნა ისეთ საკითხებს, რომელიც ცხოველი ინტერესის საგანია განთლების ეროვნული კავშირისათვისაც და ჩვენთვისაც, სახალხო ფრონტისთვისაც, პრესკონფერენციაში მონაწილეობა მიიღო "სახალხო ფრონტმაც."

წინასწარ გიხდით მადლობას წინამდებარე განმარტების გამოქვეყნებისათვის.

*"საქართველოს სახალხო ფრონტის" თავმჯდომარე*
*ნოდარ ნათაძე*

# სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევა იწყება

საქართველოს მთელს ტერიტორიაზე ხვალიდან სამხედრო ძალებში სავალდებულო გაწვევა იწყება. შესაბამის ბრძანებულებას პრეზიდენტმა სააკაშვილმა უკვე მოაწერა ხელი. N18 ბრძანებულების თანახმად, საქართველოს სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა რაოდენობა 4500 კაცით განისაზღვრა. აქედან, შეიარაღებულ ძალებში - 4300 კაცს, შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებულ გასამხედროებულ ქვედანაყოფებში კი 200 კაცს გაიწვევენ. "სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" კანონის თანახმად, სამხედრო ძალებში გაიწვევიან 18-დან 27 წლამდე ასაკის ის მოქალაქეები, რომლებსაც სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისგან გათავისუფლების ან გადავადების უფლება არ აქვთ. კვლავ ძალაში რჩება 200-ლარიანი ბეგარა, რომლის გადახდის შემთხვევაში წვევამდელს სამხედრო სავალდებულო სამსახური ერთი წლით გადაუვადდება, 2000-ლარიანი ბეგარის გადახდის შემთხვევაში კი ის სავალდებულო სამხედრო სამსახურისგან მთლიანად თავისუფლდება.

კანონმდებლობაში შესული ცვლილებების თანახმად, სამხედრო სამსახურის ვადა წელიწადნახევრიდან ერთ წლამდე შემცირდა. გაწვევის ორგანიზებას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები განახორციელებენ. პრეზიდენტის ამ ბრძანებულების შესრულებაზე კონტროლი საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანს დაევალა. საშემოდგომო გაწვევა 31 მაისს დასრულდება.

*ინტერ-პრესი*




# მიწისძვრით დაზარალებულების ახალი პროტესტი



*მიწისძვრით დაზარალებულების აქცია მერიის წინ.*

*კარგა ხანია, თბილისის მერიის შენობასთან მიწისძვრით დაზარალებულთა აქციები მიმდინარეობს. აქციის მონაწილეები დედაქალაქის ბიუჯეტიდან მათთვის განკუთვნილი თანხების შემცირებას აპროტესტებენ. გუშინ იქ ქალაქის მთავრობაზე განაწყენებული მოქალაქეების ახალი ნაკადი გამოჩნდა. ამჯერად პრეტენზიას აცხადებს მიწისძვრით დაზარალებულთა ის ნაწილი, რომელმაც ბინები წინა ხელისუფლების დროს მიიღო.*

თამარ დვალი

**"2002 წელს მომხდარი მიწისძვრის შედეგად, ჩვენი ბინა მესამე კატეგორიის დაზიანების სიაში აღმოჩნდა. ქალაქის მაშინდელმა მერმა ვანო ზოდელავამ გლდანში სამოთახიანი ბინა გადმოგვცა და გვითხრა, დროთა განმავლობაში დაგიკანონებთო. ამას ადასტურებს 2003 წლის 21 აგვისტოს დადგენილება, რომელიც ზოდელავამ გამოსცა. ამბობენ, ახალი მთავრობა ამ ბინების საფასურს გადაგახდევინებთ, თუ არა და, ბინების დატოვება მოგიწევთო. არავის აქვს უფლება, ასე მოგვექცეს - ეს ბინები ფონდიდან არის შეძენილი და არა ბიუჯეტიდან,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ, მარინა გიგაურმა.

აქციაზე მყოფთაგან მხოლოდ ერთმა ქალბატონმა აღნიშნა, რომ მას ბინის სასწრაფოდ დაცლას სთხოვენ. დანარჩენები აღნიშნავდნენ, რომ მათთვის ოფიციალურად ჯერ არავის მიუმართავს, თუმცა, გავრცელებული ინფორმაციით, დღეს თუ ხვალ, გამოსახლებას უპირებენ. **"ჩვენ არ გვინდა ასეთ გაუგებარ ვითარებაში ყოფნა. გამოვიდეს ვინმე მაღალჩინოსანი და განგვიმარტოს, რას გვიპირებენ მომავალში,"** - მოითხოვდნენ მიწისძვრით დაზარალებულები.

როგორც გაირკვა, ქალაქის მთავრობას მათ კითხვებზე პასუხი ჯერ არ გააჩნია. ქალაქის ვიცე-პრემიერი უჩა გელაშვილი ერთადერთი მაღალჩინოსანი აღმოჩნდა, რომელმაც მოქალაქეები კაბინეტში მიიღო, თუმცა პასუხი ვერ გასცა და ვითარებაში გასარკვევად ორი კვირა ითხოვა.

**"ამ პრობლემას სიღრმისეულად არ ვიცნობ. ჩემი აზრით, ამ ხალხს ეს ბინები არ უნდა დაუკანონდეს, თუმცა ეს ჩემი აზრია და ვეცდები საკითხი სამართლებრივად გადაწყდეს. მათი საკითხი, ვინც დაზიანებულ ბინას სახელმწიფოს ჩააბარებს, სხვა ჭრილში იქნება განხილული. ორ კვირაში ამ პრობლემას მერთან და პრემიერთან შევაჯერებთ და ხალხს საბოლოო პასუხსაც მაშინ ვეტყვით,"** - ამბობს გელაშვილი.

მართალია, მერიაში უარყოფენ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ჯერ არავის გამოსახლების საკითხი არ დგას, თუმცა ეთერ ლომსაძის განცხადებით, მას ბინის დაცლას მაშინდელი ფონდის უფროსი გონგლაძე სთხოვს.

**"ადრე მეტროსადგურ "300 არაგველთან" ვცხოვრობდი, მიწისძვრის შემდეგ კი მთავრობამ "აფრიკის" დასახლებაში გამომიყო პატარა ბინა. ახალი მთავრობა დღეს იმ ბინასაც მართმევს. გონგლაძე, რომელიც მაშინ ფონდის ხელმძღვანელი იყო, გამოსახლებით მემუქრება; მეუბნება, თქვენი სახლი მეორე კატეგორიის დაზიანებისაა და ბინა არ გეკუთვნითო,"** - ჩივის ეთერ ლომსაძე, რომელიც ახალი ბინის მიღებამდე ე.წ "ატსტუპნოიში" ცხოვრობდა და დღეს ძველ ბინაშიც უჭირს დაბრუნება.

იმ შემთხვევაში, თუკი მთავრობა მიწისძვრით დაზარალებულებს ბინებს საკუთრებაში არ გადასცემს, აქციის მონაწილეები მასიური გამოსვლებით იმუქრებიან. მათი განცხადებით, ბინები მათ ხალხის შემოწირულობით უყიდეს და არა მთავრობის დახმარებით.

# საარჩევნო ოლქების საზღვრები, შესაძლოა, გადაიხედოს

საკონსტიტუციო ცვლილებათა პაკეტი, რომელშიც, სხვა საკითხებთან ერთად, პარლამენტართა რაოდენობის 150-მდე შემცირების ინიციატივაც შედის, საქართველოს პარლამენტის წევრებთათვის, ჯერჯერობით, ხელმიუწვდომელია, თუმცა არ არის გამორიცხული, მიმდინარე კვირის ბოლოს კანონპროექტმა ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანომდე მიაღწიოს. ყოველ შემთხვევაში, საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტზე მომუშავე სამთავრობო კომისიის წევრები აცხადებენ, რომ "მუშაობა მიდის და რამდენიმე დღეში პარლამენტარები ამ დოკუმენტს გაეცნობიან."

როგორც პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში ამბობენ, პარლამენტართა რაოდენობის შემცირების პრინციპი, ჯერჯერობით, შემუშავებული არ არის. წინასწარი ინფორმაციით, 100 დეპუტატი პროპორციული პრინციპით აირჩევა, ხოლო 50 - მაჟორიტარულით.

თუმცა, როგორც კომიტეტის თავმჯდომარემ ლევან ბეჟაშვილმა "24 საათთან" საუბარში განაცხადა, **"ეს მხოლოდ პირობითი დაყოფაა და არ არის გამორიცხული, პროპორცია შეიცვალოს."**

მისი თქმით, სამთავრობო კომისიის წევრები შეხვდებიან როგორც პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მთიანი რეგიონების, ასევე ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებს და სახელმწიფო კანცელარიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებს. მოგვიანებით კი, შეჯერებულ პოზიციებს საქართველოს პრეზიდენტს გააცნობენ.

პარლამენტში აცხადებენ, რომ დეპუტატთა რაოდენობის შემცირება, ისევე, როგორც თვითმმართველობა, ქვეყნის ტერიტორიულ მოწყობას უკავშირდება, რადგან საარჩევნო ოლქების საზღვრები რაიონული საზღვრების იდენტურია. თუკი უახლოეს მომავალში ტერიტორიული მოწყობა გადაისინჯება და რაიონები გამსხვილდება, მაშინ, შესაძლოა, დაგეგმილი 50 მაჟორიტარის ნაცვლად, გაცილებით ნაკლები გვყავდეს.

არსებობს მეორე გზაც - საარჩევნო ოლქების საზღვრების გადახედვა, თუმცა ეს საკმაოდ რთული პროცესია, რადგან ჯერ კიდევ გაურკვეველია, დაყოფა ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით მოხდება, თუ კომისია საარჩევნო ოლქების საზღვრების დადგენას რეგიონების ფარგლებში გადაწყვეტს.

*24 საათი*

*მოკლედ*

## პრეზიდენტმა დებულება დაამტკიცა

"სადაზვერვო საქმიანობის შესახებ" კანონის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა შესაბამისი ბრძანებულების საფუძველზე საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის დებულება დაამტკიცა. დებულების თანახმად, საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახური პრეზიდენტის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური დანიშნულების დაწესებულებაა. ეს ორგანო სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამეცნიეროტექნიკურ, სამხედრო-სტრატეგიულ და გარემოსდაცვით სფეროებში სადაზვერვო საქმიანობას ახორციელებს. გარდა ამისა, ის აწარმოებს კონტრდაზვერვით საქმიანობას საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობების, სახელმწიფო ორგანიზაციებისა და მივლინებაში მყოფი, საქართველოს იმ მოქალაქეებისა და მათი ოჯახის წევრთა მიმართ, რომლებიც თავისი საქმიანობით დაკავშირებული არიან სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციასთან. **ინტერ-პრესი**

*ორი სიტყვით*

**მოსკოვი.** მოსკოვში დაიწყო დსთ-ს ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების სამუშაო შეხვედრა, რომელშიც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მერაბ ანთაძე მონაწილეობს. შეხვედრაზე დსთ-ს რეფორმირების, ძალოვანი უწყებების ერთობლივი მუდმივმოქმედი საბჭოს შექმნის, ტერორიზმსა და ნარკობიზნესთან ბრძოლის საკითხები განიხილება. გამორიცხული არ არის, მერაბ ანთაძემ რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელის სერგეი ლავროვის საქართველოში 18 თებერვლისთვის დაგეგმილი ვიზიტის დეტალები კიდევ ერთხელ შეათანხმოს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**გორი.** გორის ჯავშან-სატანკო ბატალიონში პირადი შემადგენლობის 20-დღიანი სწავლების პირველი ეტაპი დასრულდა. 30 იანვარს, გვიან ღამით ჩატარდა სამხედრო ტექნიკის ტაქტიკური გადაადგილება და საბრძოლო სროლები, რომელსაც შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსის მოადგილე ლევან ნიკოლეიშვილი ესწრებოდა. ამჟამად გორის ჯავშან-სატანკო ბატალიონში სწავლებების შემდგომი ეტაპი გრძელდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** არასამთავრობო ორგანიზაცია "სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის ასოციაცია" საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ნობელის პრემიაზე წარდგენის მოტივს აპროტესტებს. არასამთავრობო ორგანიზაციის წევრები აცხადებენ, რომ სააკაშვილი ამერიკელმა კონგრესმენებმა პრემიაზე ადამიანის უფლებათა დაცვისა და დემოკრატიის განვითარების მოტივით წარადგინეს. თუმცა, საქართველოში კვლავ გრძელდება პოლიტიკურ ოპონენტთა წინააღმდეგ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებები და ქვეყანაში პატიმართა მიმართ არაადამიანურმა მოპყრობამ მასიური ხასიათი მიიღო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანმა გელა ბეჟუაშვილმა სახელმწიფო კანცელარიაში საქართველოში რუსეთის ელჩი ვლადიმერ ჩხიკვიშვილი მიიღო. როგორც შეხვედრის შემდეგ ვლადიმერ ჩხიკვიშვილმა განაცხადა, შეხვედრაზე განხილული იყო რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობების შემდგომი პერსპექტივები. საუბარი შეეხო ასევე გელა ბეჟუაშვილის მოსკოვში ვიზიტის შედეგებს, რომელიც გასულ კვირას გაიმართა. ელჩის თქმით, საუბრის თემა იყო ასევე საქართველოში ქართულ-რუსული ერთობლივი ანტიტერორისტული ცენტრის შექმნის პერსპექტივები და საქართველოში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის ვიზიტი, რომელიც 18 თებერვლისთვის იგეგმება. **ინტერ-პრესი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# "Marine-capital LTD" მაინც არ ნებდება

პირველი გვერდიდან

**ასევე, ჩვენ ქართული კომპანიის ვალების გასტუმრებაზე ვიღებთ პასუხისმგებლობას. კომპანიამ მთავრობას იქ მომუშავე ადამიანების 12 წლის განმავლობაში დასაქმება და მესამე სამყაროს ქვეყნებისთვის საზღვაო აკადემიის განვითარება და დახმარებაც შესთავაზა, ეს კი მეზღვაურებისთვის დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას მოგვცემს. ჩვენ ხელისუფლებისგან პასუხს ველით,"** - ნათქვამი იყო წერილში.

როგორც სასტუმრო "თბილისი მარიოტში" გაჩერებულმა "Marine-capitalLTD"-ს წარმომადგენელმა ჯოაკიმ ტომსონმა "24 საათთან" საუბრისას განაცხადა, მისი კომპანია "საოკეანო სანაოსნო კომპანიისთვის" ბრძოლაში დანებებას არ აპირებს. **"ჩვენ ხელისუფლებას კოორდინატები და წინადადებები შევატყობინეთ. ვფიქრობ, შანსი კიდევ გვაქვს,"** - განაცხადა ტომსონმა. თავისი კომპანიის უპირატესობის არგუმენტად კი ზემოთ მოტანილ წერილში აღწერილი პირობები და "Armstrong Holdings Corporation"-ის საეჭვო ოფშორული წარმომავლობა მოიყვანა.

საინტერესო დეტალი: ტომსონთან საუბრამდე ერთი საათით ადრე, პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ ბრიფინგზე განაცხადა, რომ მთავრობა საოკეანო სანაოსნო კომპანიის პრივატიზაციასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების გადახედვას არ აპირებს. ეს ფაქტი კი, ბრიტანული "Marine-capitalLTD" მიერ გაკეთებულ განცხადებასთან ერთად, "საოკეანო სანაოსნო კომპანიის" პრივატიზაციას მეტ ინტრიგას სძენს.

და კიდევ ერთი დეტალი: თავდაპირველად ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ბრიტანული კომპანია საქართველოს მთავრობას სანაოსნოში 130 მილიონ აშშ დოლარს სთავაზობდა, თუმცა - სანაოსნოს ვალების გადახდაზე უარის თქმის სანაცვლოდ. დღეს კომპანია აცხადებს, რომ თანხასთან ერთად (თუმცა, საბოლოო ჯამში, გაზრდილ თანხასთან ერთად), კომპანიის ვალების გასტუმრებასაც უზრუნველყოფს.

# ალან ბარასტაევი: "სტატუსზე საუბარი ჯერ ადრეა"

## ამბობს ცხინვალში მცხოვრები, ოსი ეროვნების რუსეთის მოქალაქე, რომელიც თბილისში სამკურნალოდ იმყოფებოდა

*ალან ბარასტაევი არასამთავრობო სექტორიდანაა და წლების განმავლობაში ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარებაზე მუშაობს. სამიოდე კვირის წინ რუსეთ-საქართველოს საზღვართან მას ინციდენტი შეემთხვა, რომლის გამოც დაშავდა და იძულებული გახდა, სამკურნალოდ თბილისში ჩამოსულიყო. საქართველოს პრეზიდენტის ევროსაბჭოს ასამბლეაზე გამოსვლის შემდეგ და ცხინვალში დაბრუნების წინ, მას განცხადების გაკეთების სურვილი გაუჩნდა.*



ალან ბარასტაევი: "მეც რუსეთის მოქალაქე ვარ. თბილისში ვიზით ვიმყოფები."

ზაზა ფაჩუაშვილი

- მე ვარ არასამთავრობო ორგანიზაციის "სამხრეთ ოსეთის ჰუმანიტარული ინიციატივებისა და კვლევების ცენტრის" ხელმძღვანელი. მართალია, სამხრეთ ოსეთში ვმუშაობთ, მაგრამ ვმონაწილეობთ სამშვიდობო პროექტებში მთელი კავკასიის მასშტაბით. ჩვენი მთავარი ამოცანაა კონფლიქტების მოგვარების გზების ძიება.

**- რომელი ქვეყნის მოქალაქე ხართ?**

- როგორც სამხრეთ ოსეთის მცხოვრებთა 90 პროცენტი, მეც რუსეთის მოქალაქე ვარ. თბილისში ვიზით ვიმყოფები.

**- თბილისში რა მიზნით იმყოფებით?**

- რაღაც პატარა ინციდენტი შემემთხვა, ტრავმა მივიღე და თბილისში "ღუდუშაურის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში" ვმკურნალობდი. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა გადავუხადო ყველა მათგანს, ვინც მიმკურნალა და მომიარა.

**- რა ინციდენტზეა საუბარი?**

- კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით, იმიტომ, რომ არაფერი მახსოვს. შემოდიოდა ჰუმანიტარული ტვირთი, რომელსაც დაცვა მოჰყვებოდა. მე ინფორმაციის მიღებას ვცდილობდი. მეტი არაფერი მახსოვს.

**- თქვენი აზრით, რა სტადიაშია ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების საკითხი?**

- სამწუხაროდ, ამ საკითხში წარმატებებით ვერ დავიკვეხნით, თუმცა ჩვენ ვცდილობთ, რომ ამ ორმა ხალხმა გამონახოს საერთო ენა და, ბოლოს და ბოლოს, გამოვიდეს იმ კრიტიკული მდგომარეობიდან, რომელშიც უკვე 14 წელია, იმყოფებიან.

სამწუხაროდ, გასული წლის ზაფხულში ჩვენ, ფაქტობრივად, დავბრუნდით იმ დროში, როცა კონფლიქტი დაიწყო - შეიარაღებული დაპირისპირების სტადიაში. ორივე მხრიდან არის მსხვერპლი. ყველაზე სამწუხარო კი ისაა, რომ არც პოლიტიკოსების და არც არასამთავრობოების მხრიდან ამ ფაქტის ანალიზი და შეფასება არ გაკეთებულა. ჩვენ ჩვენს კოლეგებთან ერთად ვეცდებით, ამ მიმართულებით ვიმუშაოთ. იმედი მაქვს, რომ ამ საქმეში სამხრეთ ოსეთშიც და საქართველოშიც მხარს დამიჭერენ.

**- საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ევროსაბჭოს ასამბლეაზე განაცხადა, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარებას კარგი პერსპექტივა აქვს, ვინაიდან, ყველაფრის მიუხედავად, ქართველები და ოსები კონფლიქტის ზონაში გვერდიგვერდ ცხოვრობენ, ინტეგრაციის დონე მაღალია. როგორია თქვენი აზრი ამ განცხადებასთან დაკავშირებით?**

- მართლაც, მთელი ამ ხნის განმავლობაში ქართველები და ოსები გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ, მაგრამ ისევ და ისევ, გასული ზაფხულის მოვლენების გამო, სიტუაცია დაიძაბა და კავშირები დაირღვა. ვფიქრობ, ეს კავშირები ისევ აღდგება, თუ ჩვენ ამ მიმართულებით ვიმუშავებთ, თუ ვიქნებით ტოლერანტულები, დიპლომატიურები და კომპრომისებისთვის მზად ვიქნებით. მე მაინც მგონია, რომ მთავარია გაკეთდეს ყველა მოვლენის შეფასება, 1992 წლიდან მოყოლებული. ამის გარეშე, შედეგიან მოლაპარაკებებზე საუბარი არარეალურია. დარწმუნებული ვარ, რომ შეფასების შემდეგ ნდობის ფაქტორი მნიშვნელოვნად მაღლა აიწევს.

**- სააკაშვილმა კონფლიქტების მოგვარების მშვიდობიანი გზა აირჩია და ავტონომიებს მაქსიმალურად გაფართოებული სტატუსი შესთავაზა. ოფიციალურად, ეს არის მაქსიმალურად კომპრომისული ვარიანტი.**

- ვიმეორებ, სანამ არ მოხდება მოვლენების შეფასება, რაიმე სტატუსზე ლაპარაკი ზედმეტია. ამასთან დაკავშირებით, სამხრეთ ოსეთს თავისი აზრი აქვს. 1991 წელს ჩვენთან ჩატარდა რეფერენდუმი, რომლის თანახმად, გამოცხადდა სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკა. ოსი ხალხი დღესაც ამ გადაწყვეტილების მომხრეა.

**- როდის ბრუნდებით ცხინვალში?**

- ვფიქრობ, ხვალ წავალ.

# ზურაბ ჟვანია ოპონენტებს რადიოდან ეპაექრება

პირველი გვერდიდან




ზურაბ ჟვანია: "გაზის მაგისტრალურ მილსადენზე ზოგჯერ ისე ამაღლებულად საუბრობენ, როგორც სვეტიცხოველზე".

პრემიერის აზრით, მისი შეცდომა მხოლოდ ის იყო, რომ გამოაცხადა, თითქოს, საოკეანო სანაოსნო "არმსტრონგ ჰოლდინგმა" და კომპანია ASP-მა შეისყიდეს. მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელი აზუსტებს, რომ სინამდვილეში, სანაოსნო "არმსტრონგ ჰოლდინგმა" შეისყიდა, ხოლო ASP მყიდველი კი არ არის, არამედ მხოლოდ მენეჯმენტს განახორციელებს.

რაც შეეხება იმას, რომ "არმსტრონგ ჰოლდინგი" ოფშორულ ზონაშია რეგისტრირებული, ჟვანიას თქმით, განგაშის საფუძველს არ იძლევა. **"ოფშორულ ზონაში ათასობით ბრიტანულ კომპანიას აქვს ანგარიში გახსნილი, მაგრამ ამისთვის მათ რეპუტაციას ეჭვის ქვეშ არავინ აყენებს,"** - შენიშნავს პრემიერი, რომელიც "არმსტრონგ ჰოლდინგის" მაღალი ფინანსური შესაძლებლობების, სოლიდურობისა და მაღალი ავტორიტეტის შესახებ დოკუმენტებით საუბრობს.

ზურაბ ჟვანია დარწმუნებულია, რომ პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავალი მიმდინარე და მომავალ წელს 500-550 მილიონ დოლარს მიაღწევს. ამ თანხით მთავრობა აპირებს არმიისა და ჯანდაცვის სფეროს მოდერნიზებას, ენერგოდეფიციტის აღმოფხვრას, განათლების სისტემის რეფორმირებას, გზების შეკეთებას... პრემიერს მხოლოდ იმაზე სწყდება გული, რომ უმნიშვნელოვანესი საპრივატიზაციო ობიექტები წინა წლებში ჩალის ფასად გაიყიდა და კონსოლიდირებულ ბიუჯეტში სულ რაღაც 55 მილიონი დოლარი შევიდა.

ზურაბ ჟვანია გაზის მაგისტრალური მილსადენის შესაძლო პრივატიზების საკითხსაც ეხება. პრემიერ-მინისტრის თქმით, ამასთან დაკავშირებით მას საკუთარი პოზიცია ჯერ კიდევ არა აქვს ჩამოყალიბებული. თუმცა, გარკვეულ მინიშნებებს მაინც აკეთებს: **"გაზის მაგისტრალურ მილსადენზე ზოგჯერ ისე ამაღლებულად საუბრობენ, როგორც სვეტიცხოველზე. მთავარია, რომ ამ საკითხის გადაწყვეტამ შაჰდენიზის პროექტს პრობლემები არ შეუქმნას."**

# ბრიტანული ოპტიმიზმი და ქართული პრობლემები

პირველი გვერდიდან

რებები და პრინციპულად მნიშვნელოვანი საკითხები - სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი. ცხინვალთან დაკავშირებით საუბარი, ძირითადად, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ სტრასბურგში, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე წარმოდგენილ სამშვიდობო ინიციატივას შეეხო.

**"ბრიტანეთის მთავრობა მიესალმება საქართველოს ახალ ინიციატივებს. მიმდინარე წელს გაცილებით მეტი ოპტიმიზმი შეიმჩნევა, ვიდრე ეს გასულ წელს იყო. ეს ძალიან კარგი ტენდენციაა, რომელიც უნდა გაგრძელდეს,"** - მიუთითებს სერ ბრაიან ფოლი.

რაც შეეხება აფხაზეთს, ბრიტანეთის მთავრობა ამ საკითხთან დაკავშირებითაც ოპტიმისტურად არის განწყობილი, რადგან აღარ არის ის ვითარება, როდესაც სოხუმის დე ფაქტო მთავრობა, ახალი პრეზიდენტის არჩევის ზღვარზე, ქართულ მხარესთან მოლაპარაკებებზე უარს აცხადებდა.

თავად საქართველოს სახელმწიფო მინისტრს ბრიტანეთის მთავრობის მხარდაჭერა ძალზე მნიშვნელოვან ფაქტორად მიაჩნია, რადგან თავად ბრაიან ფოლს სოხუმში ენდობიან. ამასთან, ის კარგად იცნობს რუსეთის პოლიტიკურ ელიტას და **"თავის როლს ბრიტანეთის მთავრობა, განსაკუთრებით - აფხაზეთთან მიმართებაში, ძალიან სერიოზულად გრძნობს."**

**"ვფიქრობ, ყველას კარგად ესმის დიდი ბრიტანეთის როლი მსოფლიო პოლიტიკაში. ჩვენ მათთან ძალიან კარგი კონტაქტი ჩამოგვიყალიბდა. მისი რამდენიმე რჩევა ძალიან გამოგვადგა,"** - აღნიშნავს ხაინდრავა.







**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო**

**აცხადებს კონკურსს**

**"საქართველოს კინემატოგრაფიის ცენტრის" დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე**

**2005 წლის 10 თებერვლის 16:00 საათამდე კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ:**

1. ორი ფოტოსურათი 3X4;
2. ავტობიოგრაფია (CV);
3. 3 სარეკომენდაციო წერილი კინოსა და კინომენეჯმენტის სფეროში მოღვაწე სხვადასხვა ფიზიკურ ან იურიდიულ პირთაგან;
4. სამოტივაციო წერილი (არა უმეტეს 4 ნაბეჭდი გვერდისა), რომელიც წარმოაჩენს კანდიდატის ხედვას ქართული კინოხელოვნების განვითარების პერსპექტივაზე, კინოს დაფინანსების ალტერნატიული გზების, საერთაშორისო კავშირებისა და კინოქსელების რეაბილიტაციის შესახებ.

შერჩეული კანდიდატები გასაუბრებას გაივლიან 2005 წლის 15 თებერვლიდან 25 თებერვლამდე.
საბუთები მიიღება საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში.

**მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ.N4**

საქართველოს აუდიტორული და საკონსულტაციო კომპანია
**Georgian Audit & Consulting Company**
GACC

**აუდიტორული დასკვნა**

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ხელმძღვანელებს

ჩვენ დაგვევალა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" (შემდგომში ორგანიზაცია) ქონებრივი მდგომარეობის ანგარიშის აუდიტი 2004 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებული შემოსავლებისა და ხარჯების უწყისების აუდიტი. ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია ორგანიზაციის ხელმძღვანელობა, ჩვენ კი გვევალება, ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტის საფუძველზე გამოვხატოთ მოსაზრება წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შესახებ და გავცეთ დასკვნა.

აუდიტს წარვმართავდით საქართველოში მოქმედი აუდიტის სტანდარტების შესაბამისად. აუდიტის ჩატარების პროცედურა მოითხოვს სამუშაოს იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს. აუდიტი ითვალისწინებს მტკიცებულებების შემოწმებას ტესტირების საფუძველზე ფინანსური ანგარიშგების თანხებისა და ახსნა-განმარტებების დადასტურების მიზნით. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორის შეფასებას, აგრეთვე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შეფასებას მთლიანად. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტი გვაძლევს დასაბუთებულ საფუძველს დასკვნის შესადგენად.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2004 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით.

საქართველოს აუდიტორული და საკონსულტაციო კომპანია

თბილისი, საქართველო

25 იანვარი 2005 წელი

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"

ქონებრივი მდგომარეობის ანგარიში
გარდა სპეციალურად ნახსენები შემთხვევებისა, ყველა თანხა მოყვანილია ერთეულ ლარში

**ქონებრივი მდგომარეობის ანგარიში**

| | ახსნა-განმარტება | 2004 | 2003 |
|---|---|---|---|
| აქტივები | | | |
| მოკლევადიანი აქტივები | | | |
| ფულადი სახსრები | 3 | 18,453 | 2,302 |
| ძირითადი საშუალებები (ნეტო) | 4 | 289,924 | 18,419 |
| სულ აქტივები | | **308,377** | **20,721** |
| ფონდები | | | |
| სპეციალური ფონდი | 5 | 308,377 | 20,721 |
| სულ ფონდები | | **308,377** | **20,721** |
| სულ ვალდებულებები და ფონდები | | **308,377** | **20,721** |

თანდართული ახსნა-განმარტებები წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"

შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიში
გარდა სპეციალურად ნახსენები შემთხვევებისა,ყველა თანხა მოყვანილია ერთეულ ლარში

**შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიში**

| | ახსნა-განმარტება | 2004 | 2003 |
|---|---|---|---|
| ფულადი შემოწირულობები | 6 | 360,400 | 24,643 |
| | | **360,400** | **24,643** |
| საკომუნიკაციო ხარჯი | | 9,854 | 8,116 |
| კომუნალური ხარჯი | | 10,256 | 3,590 |
| საოფისე ხარჯები | | 4,311 | 11,227 |
| ხელფასის ხარჯი | | 1,200 | 1,930 |
| ხელფასთან დაკავშირებული გადასახადების ხარჯი | | 594 | 1,363 |
| საკანცელარიო საქონელი | | 2,712 | 493 |
| იჯარა | | 8,905 | - |
| წარმომადგენლობითი ხარჯი | | 23,006 | - |
| სატრანსპორტო ხარჯი | | 8,979 | 11,970 |
| მივლინება | | 2,927 | - |
| გრძელვადიანი აქტივების შეძენა | 7 | 271,505 | - |
| ბეჭდვის ხარჯი | | - | 4,560 |
| მთლიანი ხარჯი | | **344,249** | **43,249** |
| ფულადი სახსრების წლის დასწყისში | | 2,302 | 20,908 |
| ფულადი სახსრები წლის ბოლოს | | **18,453** | **2,302** |

თანდართული ახსნა-განმარტებები წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

# საქართველოს მთავრობამ Btc co-ს საგრანტო პროგრამის პირველი ტრანში მიიღო

ბექა ევბენიძე

*საქართველოს მთავრობამ მიიღო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის Btc co-ს საგრანტო პროგრამის პირველი ტრანში 9 მილიონი დოლარის ოდენობით. პროგრამის შექმნას საფუძვლად დაედო 2004 წლის 19 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულება, რომელსაც ხელს აწერენ Btc Co-ს აღმასრულებელი დირექტორი მაიკ ტაუზენდი და საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია. ხელშეკრულების თანახმად, საქართველოს მთავრობას 2010 წლამდე გადაეცემა 40 მილიონი დოლარი.*



*9 მილიონით სოციალური პროგრამები დაფინანსდება.*

უკვე გადმოცემული 9 მილიონით საქართველოს მთავრობას განზრახული აქვს 2005 წლის ბიუჯეტით გაწერილი ახალი სოციალური პროგრამების, კერძოდ - სიღარიბის დაძლევის, ნავთობსადენის მარშრუტის მიმდებარე რეგიონებში გაზრდილი პენსიების და სტუდენტური ვაუჩერების (სტიპენდიების) დაფინანსება.

31 იანვარს გამართულ პრესკონფერენციაზე BP-საქართველოს გენერალურმა მენეჯერმა რიფ დიგინსმა განაცხადა: **"BP და Btc Co. ერთგულნი რჩებიან საკუთარი ვალდებულებებისა, რომელიც გულისხმობს გრძელვადიანი ურთიერთობების შენარჩუნებას საქართველოს მთავრობასთან და ხალხთან. ღრმად გვწამს, რომ საქართველოს მთავრობასთან ახლახან გაფორმებული გრანტის ხელშეკრულება ითვალისწინებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას და მნიშვნელოვნად წაადგება ქართველი ხალხის კეთილდღეობას."**

ბატონმა ნოღაიდელმა დასძინა: **"საქართველოს მთავრობის სახელით, გვსურს, მადლიერება გამოვხატოთ ამ ორი კომპანიის მიმართ იმ დახმარებისთვის, რომელსაც ისინი უწევენ საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურ და სოციალურ რეფორმებს. დარწმუნებული ვართ, რომ ასეთი თანამშრომლობა ორმხრივ სასარგებლოა და ქვეყანაში მშვიდობისა კეთილდღეობის დამკვიდრებისათვის სასურველ შედეგს გამოიღებს."**

# რა გზით ერეკებიან ქართულ კაპიტალს საქართველოს ეკონომიკიდან

## "მცირე ლიცენზიანტების" წინააღმდეგ ბრძოლა გრძელდება

*რამდენიმე ენერგოგამანაწილებელი კომპანია ანუ ე.წ. "მცირე ლიცენზიანტები," ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიას კანონმდებლობის დარღვევებსა და პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებაში ადანაშაულებს.*

მარიამ ჭაჭავაძე

სს "გორგოტა", შპს "პატარა კახი" და ი.ს. "ფერმერი" საოლქო სასამართლოსგან ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის 2004 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმებას მოითხოვს, რომლის თანახმადაც, ელექტროენერგიის გამანაწილებელ 21 საწარმოს ლიცენზია გაუუქმდა. სემეკ-მა ამ გადაწყვეტილების საფუძვლად ლიცენზიანტი კომპანიების მხრიდან ლიცენზიის პირობების დარღვევა მიიჩნია, რასაც თავად ენერგოგამანაწილებელი კომპანიები კატეგორიულად უარყოფენ.

**"მათ ბევრი დაუშავეს ქართულ ენერგეტიკას და თუ თავს არ დაანებებენ ცილისმწამებლურ გამოსვლებს, თავის თავს ავნებენ,"** - ასე მსჯელობს ახლა სემეკ-ის ახალი თავმჯდომარე გიორგი თავაძე "მცირე ლიცენზიანტთა" პრობლემის თაობაზე.

თუმცა, ზემოთ ხსენებული სამი "მცირე ლიცენზიანტის" უფლებების დამცველი მალხაზ ძიძიკაშვილი ირწმუნება, რომ სემეკ-მა ამ კომპანიებისთვის ლიცენზიების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილება პოლიტიკური ზეწოლის შედეგად მიიღო. **"სხვათა შორის, ამას არც სემეკ-ი უარყოფს. ის წერს, რომ ამ გადაწყვეტილების ერთ-ერთი საფუძველი გახდა პრემიერ-მინისტრთან ჩატარებული თათბირი და იქ მიღებული გადაწყვეტილება,"** - აღნიშნავს ადვოკატი და იმის დასტურად, რომ ზეწოლა მართლაც იყო, 2004 წლის 1 მარტს პრემიერ-მინისტრთან ჩატარებული სხდომის ზემოაღნიშნული ოქმი მოჰყავს, რომელიც "მცირე ლიცენზიანტთათვის" ლიცენზიების ჩამორთმევის გადაწყვეტილებას დაედო საფუძვლად. ოქმში ნათქვამია, რომ "ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიას ეთხოვოს ენერგოგამანაწილებელი კომპანიებისთვის ლიცენზიების ჩამორთმევა."

ამ თათბირს, სხვა პირებს შორის, ესწრებოდა სემეკ-ის ორი მაშინდელი წევრი დემურ ჩომახიძე და პაატა ცინცაძე, მესამე - დავით მირცხულავა - იმ დროს უკვე პატიმრობაში იმყოფებოდა. **"მთელ რიგ პროცესუალური ნორმების დარღვევებზე რომ არაფერი ითქვას, უკვე ეს არის ძალიან უხეში კანონდარღვევა, რადგან სემეკ-ი დამოუკიდებელი ორგანოა და მის საქმიანობაში ჩარევა, მით უფრო - რაიმე დირექტივის მიცემა (თუნდაც, ამას თხოვნის სახე ჰქონდეს), არც ერთ ორგანოს, მით უმეტეს, სახელმწიფო სტრუქტურას არა აქვს,"** - დასძენს ძიძიკაშვილი და იხსენებს, რომ სემეკ-ის მხრიდან ამ გადაწყვეტილების მიღებამდე ცოტა ხნით ადრე კომისიის შემადგენლობა ნებაყოფლობით შეიცვალა. **"უბრალოდ, მისმა ძველმა წევრებმა ზეწოლას ვერ გაუძლეს, არასწორი გადაწყვეტილების მიღებას სავარძლების დათმობა არჩიეს და გადადგნენ,"** - ამბობს ის.

თუმცა, საქმე მაინც გაგრძელდა და, ამასთან, ისევ დარღვევებით: კოდექსის თანახმად, სემეკ-ი ვალდებული იყო, სხდომის ჩატარებამდე 20 დღით ადრე საქმის წარმოების მხარეებისთვის სხდომის ჩატარების თარიღი და განსახილველ საკითხთა ნუსხა წერილობით ეცნობებინა, მაგრამ ვალდებულება ვალდებულებად დარჩა. **"ჩემი დაცვის ქვეშ მყოფ არც ერთ პირს მსგავსი შეტყობინება არ მისვლია. მეტიც: მე ვესაუბრე სხვადასხვა ლიცენზიაგაუქმებული კომპანიების ათზე მეტ წარმომადგენელს და მათაც იგივე აღნიშნეს,"** - ამტკიცებს ადვოკატი.

კიდევ ერთი დეტალი: კანონის თანახმად, ლიცენზიანტებთან დაკავშირებული საჯარო ადმინისტრაციული საქმისწარმოება უნდა განხორციელებულიყო ყოველი ლიცენზიანტის მიმართ ინდივიდუალურად. **"ენერგეტიკის მარეგულირებელმა კომისიამ არ გაითვალისწინა ეს და ერთი ხელის მოსმით, წინასწარი ინდივიდუალური ძიების გარეშე, 21-ვე ლიცენზიის ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო,"** - ამბობს ძიძიკაშვილი.

როგორც ენერგეტიკის მარეგულირებელმა კომისიამ საკუთარ გადაწყვეტილებაში ჩაწერა, **"2003-2004 წლებში ლიცენზიანტების საქმიანობის შემოწმებამ აჩვენა, რომ "მცირე ლიცენზიანტები", მათ შორის სს. "გორგოტა", შპს. "პატარა კახი" და ი.ს. "ფერმერი" არ ასრულებენ ლიცენზიით გათვალისწინებულ მოთხოვნებს."**

"ფერმერის" წარმომადგენელი გივი აბალაკი კი კატეგორიულად აცხადებს, რომ 2002 წლის შემდეგ არც სემეკ-ს და არც სხვა რომელიმე მის მიერ უფლებამოსილ პირს არც ლიცენზიის დაცვის პირობები შეუმოწმებია და არც შესაბამისი ოქმები, აქტები ან რაიმე სხვა სახის ხასიათის დოკუმენტები შეუდგენია. **"2002 წელს, როდესაც სემეკ-ის სპეციალურმა ჯგუფმა "ფერმერი" უკანასკნელად შეამოწმა, არათუ პრეტენზია არ გამოუთქვამთ, არამედ ჩვენი საქმიანობა მოიწონეს და დადებითად შეაფასეს კიდეც. ამის შემდეგ ჩვენი კომპანიის შემოწმება აღარ მომხდარა,"** - აღნიშნა ჩვენთან საუბრის დროს გივი აბალაკმა. მას ისიც ახსოვს, რომ სემეკ-ის ძველი სხდომის ოქმში დაფიქსირებულია საბითუმო ბაზრისა და თავად სემეკ-ის წარმომადგენლების პოზიციები, რომლებიც ღიად ამბობენ, რომ "ფერმერი" მოხმარებული ელექტროენერგიის კარგი გადამხდელია, მას მოგვარებული აქვს აღრიცხვიანობის საკითხი და ამოღების მაჩვენებელიც მაღალი აქვს. **"შედეგად, სემეკ-მა საწარმოს მიერ ლიცენზიის შესრულების მიმდინარეობა დადებითად შეაფასა,"** - ამბობს აბალაკი და კომისიის გუნება-განწყობის ასეთ კარდინალურ ცვლილებას ისიც "მტკიცე პოლიტიკურ ზეწოლას" უკავშირებს...

თუმცა, ეს "მტკიცე ზეწოლა", ამ ბოლო დროს, ცოტა არ იყოს, შერბილდა. ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური, რომელიც ადრე ყველა "მცირე ლიცენზიანტს" ერთ ტაფაში ხარშავდა და "თაღლითობაში" ადანაშაულებდა, ახლა უფრო ფრთხილია. **"არ გამოვრიცხავ იმ ფაქტს, რომ "მცირე ლიცენზიანტებს" შორის რამდენიმე კომპანია, მათ შორის კი - ის სამი, რომლებიც დღეს სასამართლოში ჩივიან, მართლაც პატიოსნად მუშაობდნენ და მათზე დაკისრებულ სალიცენზიო პირობებსაც პირნათლად ასრულებდნენ. მაგრამ, თქვენ იცით, რომ რამდენიმე მცირე ლიცენზიანტის უკან შავი სამყაროს წარმომადგენლები დგანან? ამასთან, ჩვენ პოლიტიკურად დავინახეთ, რომ სახელმწიფო კომპანიის მიზანმიმართული გაბანკროტება მიდიოდა და სემეკ-ის ამ გადაწყვეტილებას, პრინციპში, ყველანაირად ამიტომ დავეთანხმეთ,"** - ამბობს დღეს გილაური.

თუმცა, ვითარებას სხვაგვარად ხედავენ სხვა გადმოსახედიდან: **"ეს არის ქართული კაპიტალის ენერგობაზრიდან განდევნა, რასაც აუცილებლად უცხოური წარმოშობის, უფრო ზუსტად - რუსული კაპიტალით ჩაანაცვლებენ. ყოველ შემთხვევაში, ტენდენცია ასეთია, მით უმეტეს, თუ მიმდინარე პრივატიზაციის "ქართულ თავისებურებებს" გავითვალისწინებთ,** - სემეკ-ის 2003 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებას ასე აფასებს ადვოკატი მალხაზ ძიძიკაშვილი და დასძენს, **- თუ მცირე ლიცენზიანტებს მოერევიან, საქართველოს ენერგოსადისტრიბუციო ბაზარი ქართული ბიზნესისთვის საბოლოოდ დაიხურება. სემეკ-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ხომ პირდაპირ ნიშნავს იმას, რომ ქართველები უნდა წავიდნენ ენერგეტიკიდან და ეს ბაზარი სხვას დაუთმონ. კომისიის გადაწყვეტილება ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე არა მარტო კონკურენციას ზღუდავს, არამედ სექტორში ორ დიდ მონოპოლისტს - "თელასსა" და "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას" ტოვებს, რომელთაგან უკანასკნელი, საბოლოოდ, კახეთისა და აჭარის სადისტრიბუციო კომპანიებსაც გადაყლაპავს და, "თელასთან" ერთად, ქვეყნის ენერგეტიკული სექტორისთვის საკუთარი პირობების უპირობო კარნახს დაიწყებს. ეს გარდაუვალია."**

პრობლემა კი კიდევ უფრო ღრმაა. საქმე ის გახლავთ, რომ საქართველოს ენერგოსივრცეში მალე აღარ იარსებებს გადახდისუნარიანი ქართული ბიზნესი, რომელიც საქართველოში, თუნდაც, მცირე ჰესების მშენებლობას წამახალისებელ იმპულსს მისცემს. შედეგად, ეს საქმე მხოლოდ სახელმწიფოს საქმედ და, ამასთან, არარენტაბელურ ბიზნესად იქცევა. ყველაფერი ეს კი ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის, ანუ იმ უწყების ხელით გაკეთდება, რომელიც ეროვნული ენერგეტიკის განვითარებაზე პირველ რიგში უნდა ზრუნავდეს.

# არიელ შარონთან შეხვედრამდე პალესტინის ახალი ლიდერი მოსკოვში ჩადის

ნანა ნასყიდაშვილი



პალესტინის ლიდერი კრემლში გამართული კონსულტაციებით კმაყოფილია.

პალესტინის ადმინისტრაციის ახლადარჩეული მეთაური პირველი ოფიციალური ვიზიტით რუსეთში ჩავიდა. მისი თვითმფრინავი კვირას მოსკოვის აეროპორტ "ვნუკოვო-2"-ში დაეშვა. მაჰმუდ აბასის რამდენიმედღიანი ვიზიტი უმაღლეს დონეზე შეხვედრებით იქნება დატვირთული. როგორც სააგენტო "რია-ნოვოსტი" იუწყება, პალესტინის ლიდერი რუსეთის პრეზიდენტის გარდა, ორშაბათს საგარეო საქმეთა მინისტრს, სახელმწიფო სათათბიროს სპიკერს და უშიშროების საბჭოს მდივანს ხვდებოდა. ასევე დაგეგმილია შეხვედრები სრულიად რუსეთის პატრიარქთან ალექსი მეორესთან და რუსეთის მუფტების საბჭოს თავმჯდომარე რავილ გაუნიტდინთან.

ისრაელ-პალესტინის მოლაპარაკებების შესაძლო განახლების გათვალისწინებით, მოსკოვში მაჰმუდ აბასის ვიზიტს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. "რუსეთ-პალესტინის მოლაპარაკებები ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის დარეგულირების ფრიად საპასუხისმგებლო მომენტში იმართება, მაშინ როცა მისი ჩიხიდან გამოყანის რეალური იმედი გაჩნდა," - განაცხადა აბასის ვიზიტის წინ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენლმა ალექსანდრ იაკოვენკომ. მისი სიტყვებით, რუსეთი სერიოზულად არის ჩართული კონფლიქტის მხარეებს შორის უმაღლეს დონეზე შეხვედრის მომზადების პროცესში.

ამავდროულად, ისრაელის სამხედრო რადიო იუწყება, რომ პალესტინის ნაციონალური ადმინისტრაციის თავჯდომარისა და ისრაელის პრემიერ-მინისტრის, არიელ შარონის შეხვედრა 8 თებერვლისთვის დაინიშნა. რადიოს ცნობით ეს თარიღი ემთხვევა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის, კონდოლიზა რაისის ვიზიტს ახლო აღმოსავლეთში. ისრაელის მთავრობის ხელმძღვანელის პრეს-მდივანის განცხადებით: "ეს შეხვედრა, შეიძლება, თებერვლის მეორე კვირაში გაიმართოს", თუმცა ის ზუსტ თარიღს არ ასახელებს, აცხადებს "ინტერფაქსი". ისრაელის თავდაცვის მინისტრის, შაულ მოფაზის განცხადებით უახლოეს დღეებში ისრაელის საჯარისო ნაწილები პალესტინის ზოგიერთ ქალაქს, კერძოდ: რამალლას, ტულკარმს, კალკილს და იერიხონს დატოვებს. პალესტინის უშიშროების ქვედანაყოფები უკვე განთავსებულია გაზას სექტორის სამხრეთ, ჩრდილოეთ და ცენტრალურ ნაწილებში. ავტონომიის პოლიციელები უმკლავდებიან აბასის მიერ მათზე დაკისრებულ ვალდებულებას - უზრუნველყონ ისრაელის დასახლებული პუნქტების რაკეტებისა და ყუმბარმტყორცნებისაგან თავდაცვა.

აბასისა და პუტინის პირველი შეხვედრა ორშაბათს, კრემლში გაიმართა. რუსეთის პრეზიდენტი პალესტინის ნაციონალური ადმინისტრაციის მეთაურს მაჰმუდ აბასს ისრაელთან კონფლიქტის მოგვარებაში დახმარებას დაჰპირდა და პალესტინის ეკონომიკური განვითარების იმედი გამოთქვა. "ვიმედოვნებ, რომ თქვენ შეძლებთ ისრაელთან კონფლიქტის მოგვარებასა და პალესტინის ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმას. ჩვენ კვლავ მზად ვართ, ამ პრობლემების მოსაგვარებლად თქვენთან და საერთაშორისო კოლეგებთან ვითანამშრომლოთ", - განაცხადა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა პალესტინის მეთაურთან შეხვედრისას. პუტინმა აგრეთვე კმაყოფილება გამოთქვა აბასის ავტონომიის მეთაურობის გამო. "ჩვენ მოხარული ვართ, რომ პალესტინელმა ხალხმა თქვენ დაგიჭირათ მხარი," - განაცხადა მან და აქვე აღნიშნა, რომ არსებობს უამრავი პრობლემა, რომელიც წლების განმავლობაში დაგროვდა და მოგვარებას საჭიროებს.

მოლაპარაკების შედეგად პუტინსა და აბასს შორის მიღწეულია რუსეთ-პალესტინის შეთანხმება. ამ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ რუსეთი მხარს უჭერს პალესტინის ახალი ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებულ ყველა ქმედებას ისრაელსა და პალესტინას შორის არსებული შეიარაღებული დაპირისპირების აღსაკვეთად. "რუსეთის ფედერაცია და პალესტინის ნაციონალური ადმინისტრაცია პალესტინა-ისრაელს შორის კონსტრუქციული დიალოგის აღდგენის მომხრენი არიან, უსაფრთხოებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარების სფეროში," - აღნიშნულია დოკუმენტში. რუსეთსა და პალესტინას ასევე აუცილებელ პირობად მიაჩნიათ, "საგზაო რუკის" კონტექსტში პალესტინის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით განხორციელდეს ისრაელის ქვედანაყოფების ღაზას სექტორიდან და მდინარე იორდანიის დასავლეთ სანაპიროდან გაყვანა, და ეს ქმედება იქცეს პირველ ნაბიჯად ისრაელის მიერ პალესტინის ტერიტორიების ოკუპაციის აღკვეთის გზაზე. შეთანხმებაში აღნიშნულია, რომ რუსეთი და პალესტინა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ "საგზაო რუკის" პრინციპების ხელშეუხებლობას და მოითხოვენ, ისრაელმა თავი შეიკავოს ცალსახა ქმედებებისგან, რომლითაც სურს იერუსალიმის, ლტოლვილების, საზღვრების საბოლოო სტატუსის განსაზღვრა. აღნიშნული საკითხის მოგვარება მხოლოდ მოლაპარაკების და ურთიერთშეთანხმების საფუძველზეა შესაძლებელი.

*24 საათი*

# დუშანბეს კრიმინალური ქრონიკა



გუშინ დუშანბეში, ადგილობრივი დროით 10:35 საათზე ძლიერი აფეთქების ხმა გაისმა. აფეთქდა საგანგებო ვითარებათა სამინისტროსთან მდგარი "ვოლგის" მარკის ავტომობილი. სამართალდამცავთა ვერსიით ეს თვითმკვლელი-ტერორისტის მიერ განხორციელებული ტერაქტი იყო. თუმცა, გუშინდელი კრიმინალური ქრონიკა დუშანბეში მხოლოდ ამ ერთი შემთხვევით არ ამოწურულა. ზემოაღნიშნულ აფეთქებას რამდენიმე საათში უშიშროების სამინისტროს შენობაში გაჩენილი ხანძარი მოჰყვა. სააგენტო "ინტერფაქს"-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ცეცხლი შენობის ცენტრალურ ნაწილში გაჩნდა. ხანძრის მიზეზებზე არ საუბრობენ არც ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურისა და არც ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენლები. ამ უკანასკნელთა განცხადებით, საქმის დეტალები ფართო საზოგადოებისათვის ძიების დასრულების შემდეგ გახდება ცნობილი. ასევე არ გამორიცხავენ იმასაც, რომ ზემოაღნიშნული აფეთქება და ხანძარი 27 თებერვალს ტაჯიკეთში დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების ჩაშლისაკენ მიმართული კამპანიის პრელუდიაც იყოს. საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებში მონაწილეობას 6 პოლიტიკური პარტია მიიღებს. ტაჯიკეთი, როგორც ცნობილია, ერთადერთი სახელმწიფოა ცენტრალურ აზიაში, სადაც საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ღიად მოქმედებს პროისლამური პოლიტიკური პარტია "ტაჯიკეთის ისლამური აღორძინება". ოპოზიციონერობის მიუხედავად, ეს პარტია დისკრედიტაციას არ განიცდის. სახელმწიფო სტრუქტურებში აღნიშნული პარტიის არსებობა 1992-1997 წლების სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ ხელისუფლების გადანაწილების შეთანხმების შედეგია. ზოგადად კი, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ტაჯიკეთში ოპოზიცია დიდი გავლენით არ სარგებლობს. თანაც უკანასკნელ წლებში მკვეთრად შემცირდა არაისლამური დემოკრატიული პარტიისა და სოციალ-დემოკრატების პოპულარობა.

*24 საათი*

# არჩევნების სისხლიანი ფარსი, თუ უზარმაზარი გარღვევა დემოკრატიისკენ?

*ერაყის ეროვნული ასამბლეის არჩევნებმა "უკეთ ჩაიარა, ვიდრე მოველოდით" - განაცხადა ტელეკომპანია "ეი-ბი-სი"-სთვის მიცემულ ინტერვიუში აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა. მისი თქმით, ცხადია, ერაყის საპარლამენტო არჩევნები სრულყოფილებისგან შორსაა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს "სადამ ჰუსეინის რეჟიმთან შედარებით, უზარმაზარი გარღვევაა". ერაყში ჩატარებულ არჩევნებს "დიდი წარმატება" უწოდა აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმაც და დასძინა, რომ ერაყელმა ამომრჩევლებმა "არა" უთხრეს ტერორისტთა და ბოევიკთა იდეოლოგიას". ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, ზოგიერთ შიიტურ რაიონში ამომრჩეველთა აქტივობამ 90 პროცენტს გადააჭარბა, მთელი ქვეყნის მასშტაბით კი ეს მაჩვენებელი ხმის მიცემის უფლების მქონეთა საერთო რიცხვის ნახევარს აღემატება და დაახლოებით 8 მილიონს შეადგენს. არჩევნების ოფიციალური შედეგები 10 დღის შემდეგ გამოცხადდება, წინასწარი - სავარაუდოდ, ხვალ გახდება ცნობილი. მიუხედავად საზეიმო განწყობისა, თითქმის მთელ მსოფლიოში (მათ შორის თავად ერაყში) ისმოდა სკეპტიკური შეფასებებიც: "ერაყის არჩევნები - სისხლიანი ფარსი", "დღევანდელი ერაყი უფრო დიდ საფრთხეს წარმოადგენს აშშ-სთვის, ვიდრე სადამ ჰუსეინის რეჟიმის დროინდელი" და ა.შ.*

ნიკა თარაშვილი

როგორც ერაყის ოფიციალური წყაროები იტყობინებიან, "დემოკრატიული შესაძლებლობის" გამოყენება ერაყის მოსახლეობის 60 პროცენტმა მოახერხა. რასაკვირველია, ის ვინც საარჩევნო უბნებზე მივიდა, პირველ რიგში შიიტები და ქურთები იყვნენ - სწორედ მათ შეეძლოთ არჩევნების შედეგად ყველაზე მეტად ეხეირათ.

აფეთქებები და სროლა ერაყში კვირას დილიდანვე დაიწყო. ტერაქტები განხორციელდა ბაღდადში, ბასრაში, კირკუკში, ბალადში, მოსულში, ბააქუბაში. საერთო ჯამში, აფეთქებების და თავდასხმების სერიის შედეგად, ერაყში 40-მდე ადამიანი დაიღუპა. ე.წ. "სუნიტური სამკუთხედის" ქალაქებში - ელ-ფალუჯაში, სამარაში, რამადსა და თიქრითში საარჩევნო უბნები პრაქტიკულად ცარიელი იყო. თუმცა სუნიტური მოსახლოების უარი არჩევნებში მონაწილეობის თაობაზე თავიდანვე იყო ცნობილი. არადა, სადამ ჰუსეინის მმართველობის დროს ერაყის პოლიტიკურ ცხოვრებაში სწორედ სუნიტური დიასპორის წარმომადგენლები დომინირებდნენ. სუნიტები, რომლებიც ერაყის მოსახლეობის 20 პროცენტს შეადგენენ, შიშობდნენ, რომ არჩევნების შედეგად ისინი უწინდელ პრივილეგიას დაკარგავდნენ და არც ხელისუფლებაში იქნებოდნენ წარმოდგენილი. აქედან გამომდინარე, მათთვის არჩევნების ჩაშლა, უდავოდ, ერთ-ერთი გამოსავალი იყო. თუმცა კვირას არჩევნები მაინც შედგა. თავისი ბოიკოტით სუნიტებმა არჩევნების შედეგებზე რაიმე გავლენის მოხდენის ყოველგვარი შანსი დაკარგეს. ახლა სუნიტურ მოსახლეობას მხოლოდ გამარჯვებულთა მხრიდან დიდსულოვნების იმედიღა უნდა ჰქონდეს.

კვირას ერაყში გამართულმა საყოველთაო არჩევნებმა მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო. არჩევნების მეორე დღესვე ევროპის თითქმის ყველა მეტ-ნაკლებად გავლენიანი გაზეთის პირველი გვერდი ამ თემას ეძღვნებოდა. აღსანიშნავია, რომ მიმომხილველთა უმრავლესობა მიესალმება არჩევნების ჩატარების ფაქტს და აღტაცებას გამოთქვამს ერაყელი ხალხის ვაჟკაცობის გამო, რომელიც არ შეუშინდა ტერაქტების საფრთხეს და მაინც მივიდა საარჩევნო ურნებთან.

"უნდა გვიხაროდეს თუ არა ეს არჩევნები? - კითხვას სვამდა გუშინ ფრანგული "მონდი" და თავადვე პასუხობდა: რა თქმა უნდა - ყოველ მიზეზგარეშე. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ერაყში აქამდე თავისუფალი არჩევნები არ ჩატარებულა." ფრანგულ გაზეთს, რასაკვირველია, არ ავიწყდება, რომ ხმის მიცემის პროცესი დაშინებისა და მუქარის ქვეშ მიმდინარეობდა, მუდმივ შიშში, რომ ვიღაც ფანატიკოსს აზრად მოუვა მთელი საარჩევნო უბნის აფეთქება. აი ასეთი იყო კვირას ერაყში არჩევნები - ანუ დემოკრატიის ზეიმს სულაც ვერ დაარქმევდი. თუმცა, იქვე ისიც უნდა ითქვას, რომ იგი აშკარად წინგადადგმული ნაბიჯია.

"უცხოური ოკუპაციის პირობებში ერაყში გამართული არჩევნები მხოლოდ და მხოლოდ დემოკრატიის პაროდიად თუ ჩაითვლება, - ამტკიცებდა სხვა გამოცემა, - ერაყელი ხალხის კოშმარის დასასრულებლად და ეროვნული ერთობის შესანარჩუნებლად აუცილებელია, მოიძებნოს საშუალება მართლაც რეალურად დემოკრატიული პროცესის დასაწყებად. აქ უმნიშვნელოვანესი როლი გაერო-მ უნდა ითამაშოს, რომელიც ქვეყნის რეორგანიზიიცის სტიმულირებას არა ყალბ არჩევნებზე დაყრდნობით, არამედ ვაშინგტონის გავლენისგან და იმპერიალისტური სტრატეგიისგან გათავისუფლებით შეძლებს".

ასე რომ, აშკარაა - ერაყისთვის ეს არჩევნები მხოლოდ ერთ-ერთი ეტაპია დემოკრატიული განვითარების გზაზე. მომავალი ხელისუფლება თანმიმდევრულად უნდა იბრძოდეს ძალადობისა და ქაოსის წინააღმდეგ და, პარალელურად, ეცადოს მრავალეროვან ქვეყანაში თანხმობას მიაღწიოს. მრავაჭირნახული ქვეყნის მოსახლეობას ამ მიზნისკენ მიმავალ გზაზე მხოლოდ წარმატება შეგვიძლია, ვუსურვოთ. მანამდე კი ერაყის ახალმა პარლამენტმა, რომელიც, როგორც ჩანს, შიიტური უმრავლესობის ინტერესების გამომხატველი იქნება, ქვეყნის ახალი კონსტიტუცია უნდა მიიღოს და მთავრობა ჩამოაყალიბოს.

# იუშენკომ თავისი მოწამვლის საიდუმლო ამოხსნა

**ამასობაში კი ვიქტორ იუშენკოს დედა გარდაიცვალა**

კოტე ელიზბარაშვილი

*კიევში უკრაინის პრეზიდენტის, ვიქტორ იუშენკოს დედა გარდაიცვალა. ვარვარა იუშენკო ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 87 წლის ასაკში დაიღუპა. 2004 წლის სექტემბრიდან იგი კიევის საავადმყოფოში იმყოფებოდა - მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა დიოქსინით ვიქტორ იუშენკოს მოწამვლის ისტორიის შემდეგ.*



ექიმების განცხადებით, დიოქსინით მოწამვლას იუშენკოს შრომისუნარიანობა არ შეუზღუდავს.

ვარვარა იუშენკო მთელი ცხოვრება ხორუჟივკაში მათემატიკის მასწავლებლად მუშაობდა. მან ორი ვაჟიშვილი გაზარდა, შვიდი შვილიშვილი და სამი შვილთაშვილი ჰყავდა. პრეზიდენტის დედა დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა თანასოფლელებში. ის ამბობდა, რომ მისი ცხოვრების კრედო ყოველთვის ასეთი იყო: "სიარული ისწავლე - მუშაობა დაიწყე". ვიქტორ იუშენკო მშობლების შესახებ ყოველთვის აღტაცებით საუბრობდა. ინაუგურაციის დღეს, 23 იანვარს, დამოუკიდებლობის მოედანზე გამოსულმა იუშენკომ ხალხისადმი მიმართვა მშობლებისთვის მადლიერების სიტყვებით დაიწყო. სხვადასხვა ინტერვიუში უკრაინის პრეზიდენტს ბევრჯერ განუცხადებია, რომ დედამ მას მოთმინება ასწავლა და აგრეთვე ის, რომ არასოდეს უნდა უპასუხო ბოროტებას ბოროტებით. ვარვარა იუშენკოს პანაშვიდი გუშინ კიევში ვლადიმირის ტაძარში გაიმართა. ის სოფელ ხორუჟივკაში, სოფლის სასაფლაოზე დაკრძალეს, მეუღლის, ანდრეი იუშენკოს გვერდით.

## მოწამვლის საიდუმლო გახსნილია

უკრაინის უშიშროების სამსახური ფლობს ინფორმაციას დიოქსინის წარმომავლობის შესახებ, რითაც უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშენკო მოიწამლა. "ასეთ დიოქსინს რუსეთის, ამერიკის და რიგი სხვა ქვეყნების ოთხ-ხუთ სამხედრო ლაბორატორიაში აწარმოებენ," - განაცხადა იუშენკომ 30 იანვარს, ტელეკომპანია "სი-ენ-ენ"-თან ინტერვიუში. ამ ინტერვიუს მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც მას გადაცემა "60 წუთისთვის" ჩამოართვეს, ტელეკომპანია "სი-ბი-ეს"-ის ინტერნეტ-გვერდზე გამოქვეყნდა. "ჩვენმა სპეცსამსახურებმა შემატყობინეს, როგორ მოხვდა ეს მასალა (დიოქსინი, რედ.) უკრაინაში, მტკიცებულება ამჟამად გენერალურ პროკურატურაშია, რომელიც ამ კითხვაზე საბოლოო პასუხს გაგვცემს," - აღნიშნა იუშენკომ.

ვიქტორ იუშენკოს (მაშინ - უკრაინის პრეზიდენტობის კანდიდატის) მოწამვლასთან დაკავშირებით საქმე უკრაინის გენერალურმა პროკურატურამ 2004 წლის 21 სექტემბერს აღძრა. 22 ოქტომბერს პროკურატურამ უკრაინელი ექსპერტების დასკვნა გამოაქვეყნა, რომლებმაც დაადასტურეს, რომ იუშენკოს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება "ლატენტური ვირუსული ჰერპესული ინფექციის აქტივიზაციით" იყო განპირობებული და 23 ოქტომბერს საქმე დაიხურა. მაგრამ იუშენკოს საქმის შემსწავლელმა უზენაესი რადას კომიტეტმა მისი მოწამვლის მცდელობა არ გამორიცხა. თუმცა, 11 დეკემბერს - მას შემდეგ, რაც ავსტრიული კლინიკა "რუდოლფინერჰაუზის" (Rudolfinerhaus) ექიმებმა იუშენკოს საბოლოო დიაგნოზი დაუსვეს იმის განცხადებით, რომ ის დიოქსინით იყო მოწამლული - გენერალურმა პროკურატურამ ამ საქმის ხელახალ გამოძიებაში დაბრუნება გადაწყვიტა.

სწორედ მაშინ, კლინიკის დირექტორის მიხაელ ციმპფერის განცხადებით, წინა დღეებში ჩატარებული ანალიზების შემდეგ, ექიმებმა ერთმნიშვნელოვანი დასკვნა გამოიტანეს. "არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ ბატონი იუშენკოს დაავადება დიოქსინისგან მოწამვლით არის გამოწვეული," - განაცხადა ციმპფერმა. მისივე სიტყვებით, უკრაინის მაშინდელი ოპოზიციის ლიდერის სისხლში არსებული დიოქსინის კონცენტრაცია ათასჯერ აღემატებოდა დადგენილ ნორმას. ციმპფერმა გამოთქვა მოსაზრება, რომ აღნიშნული შხამი წვნიანში იყო, რომელიც იუშენკომ უკრაინის უშიშროების სამსახურის მაღალი თანამდებობის პირებთან (შეხვედრას ესწრებოდნენ უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელი და მისი მოადგილე) საქმიანი შეხვედრის დროს მიიღო. კლინიკის დირექტორი ამბობდა, რომ იუშენკო კრიტიკულ მდგომარეობაში მოხვდა საავადმყოფოში, თუმცა "სიკვდილის პირას არ იყო". ექიმები თვლიან, რომ მოწამვლა იუშენკოს ჰოსპიტალიზაციამდე ხუთი დღის განმავლობაში მოხდა, ანუ 5-10 სექტემბრის პერიოდში. ავსტრიელი ექიმები სანამ ამ აღმოჩენამდე მივიდოდნენ, იუშენკოს დიაგნოზი "მწვავე პანკრიატიტი" იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ სანამ ექიმები საბოლოო დიაგნოზზე მარჩიელობდნენ, ამ ამბავს აღნიშნული კლინიკის მთავარი ექიმი ლოთარ ვიკე შეეწირა, რომელიც თანამდებობიდან გადადგა და მიზეზად მუშაობისგან გამოწვეული გადაღლილობა დაასახელა. თუმცა, მის სამსახურიდან დათხოვნას იუშენკოს მოწამვლის შესახებ ატეხილ დავას უკავშირებენ. სექტემბერში, როდესაც ვიკემ პირველმა გამოთქვა საკუთარი აზრი უკრაინის ოპოზიციური ლიდერის "უცნაური ავადმყოფობის" შესახებ, ექიმის მისამართით სატელეფონო მუქარა გაისმა (უნდა ვივარაუდოთ, რომ მუქარის ავტორები იუშენკოს ძირითადი ოპონენტის, ვიქტორ იანუკოვიჩის შტაბიდან იყვნენ). ავსტრიული პოლიცია იძულებულიც კი გახდა, ვიკე განსაკუთრებული დაცვის ქვეშ აეყვანა.

იუშენკოს აზრით, მოწამვლაში მისი პოლიტიკური მეტოქეების ხელი ურევია. "ეჭვი არ მეპარება, რომ ეს ჩემმა პოლიტიკურმა მეტოქეებმა გააკეთეს, მხოლოდ ისინი თუ მოიგებდნენ ჩემი სიკვდილით. ვიცი, როგორ ქვეყანაში ვცხოვრობ და ვის ხელში იყო ძალაუფლება, მაგრამ არ მეგონა, რომ ამ ადამიანებს ჩემს მოსაწამლად ამდენი ცინიზმი ეყოფოდათ," - განმარტა უკრაინის ახალმა პრეზიდენტმა. იმის შესახებ, რომ დიოქსინის წარმომავლობის დადგენა შესაძლებელი იყო, 2004 წლის 17 დეკემბერს ბრიტანულმა გაზეთმა "თაიმსმა" (The Times) განაცხადა. გაზეთის ინფორმაციით, სამმა ლაბორატორიამ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად დაადგინა დიოქსინის სახეობა, რითაც იუშენკო მოწამლეს და მათი გამოკვლევის შედეგები დაემთხვა. როგორც მანამდე აცხადებდნენ, სწორედ მომწამლავი ნივთიერების სახეობის დადგენა მისი წარმომავლობის დადგენას შეუწყობდა ხელს, რადგან მსგავსი სახის ნივთიერებას განსაზღვრულ ქვეყნებში აწარმოებენ.

სხვათა შორის, იუშენკომ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებიდან მალევე გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ მისთვის ცნობილი იყო იმ ადამიანთა სახელები, რომლებიც მის მოწამვლას ცდილობდნენ. ეს განცხადება მან უკრაინული ტელევიზია "მეხუთე არხთან" ექსკლუზიური ინტერვიუს დროს გააკეთა. ტელეარხის ჟურნალისტის შეკითხვაზე, არსებობენ თუ არა ამ ისტორიის შემდეგ ისეთი "ადამიანები, რომლებსაც ის არ აპატიებს", იუშენკომ განაცხადა: "ტანჯვამ, რითაც მე უკანასკნელი ასი დღის მანძილზე ვარსებობდი, ბოროტების ახალი გრძნობა არ მომიტანა. ეს გრძნობა ან ჩაქრა, ან თავისით წავიდა - შურისძიების სურვილი არ მაქვს, მაქვს სურვილი, რომ ამ ადამიანებმა კანონის წინაშე აგონ პასუხი".

დიოქსინი მაღალტოქსიკური ქლორის შემცველი შენაერთების დიდ ჯგუფს წარმოადგენს. მას გამოკვეთილი კარცეროგენური ეფექტი გააჩნია და დამღუპველად მოქმედებს ადამიანის ენდოკრინულ სისტემაზე, მათ შორის სქესობრივი ჰორმონების წარმოქმნაზე, ზოგადად, ჰორმონალურ სისტემაზე. გარდა ამისა, ეს ნივთიერება იმუნოდეფიციტსაც იწვევს. ცნობილია დიოქსიდინების ტერატოგენური ეფექტი - ისინი ემბრიონის ნერვულ უჯრედებს აზიანებენ, რაც დედის მუცელში მის განვითარებაზეც აისახება. დიოქსინით ხალხის მასობრივი მოწამვლის ყველაზე ცნობილი შემთხვევა 1976 წელს მოხდა იტალიის ქალაქ სევეზოში, როდესაც ქარხანაში მომხდარი აფეთქების დროს ჰაერში 20 კილოგრამი დიოქსინი გაიფრქვა. რამდენიმე საათში ქალაქის მოსახლეობას კანზე წითელი ლაქები გამოაჩნდა, ორი თვის შემდეგ იმ ადამიანს, რომელმაც ყველაზე დიდი დოზით იწვნია ამ ნივთიერების ზემოქმედება, კანზე გაუჩნდა წყლულები - ეგრეთ წოდებული ქლორაკნე. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, ვიქტორ იუშენკოს სახეზე ცვლილება იმავე მიზეზის გამო მოხდა და ის სწორედ ქლორაკნეთი იტანჯება. თუმცა, ავსტრიელი ექიმების განცხადებით, იუშენკოს შეუძლია სრულფასოვანი მუშაობა და ამბულატორიულ მკურნალობას ექვემდებარება.

# მორიგი საქველმოქმედო აქცია "შერატონ მეტეხი პალასში"

*გასული წლის ბოლოს, 26 დეკემბერს, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მომხდარი ძლიერი მიწისძვრისა და ცუნამის შედეგად დაღუპულთა საერთო რაოდენობამ, ბოლო მონაცემებით, 225 ათას ადამიანს მიაღწია, მილიონობით ადამიანი უსახლკაროდ დარჩა. დაზარალებული ქვეყნების მთავრობებმა, საერთაშორისო საზოგადოებას სასწრაფო ჰუმანიტარული დახმარებისთვის მიმართეს. საქველმოქმედო აქცია მათ დასახმარებლად გაიმართა თბილისში, სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასშიც", რომელიც მსგავს საქველმოქმედო ღონისძიებებს ხშირად მასპინძლობს.*




ლელა მარბიანი

"წითელი ჯვრის" საერთაშორისო ორგანიზაციის სპეციალურ ანგარიშს, რომელიც სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის ჰუმანიტარული დახმარებისთვის არის განკუთვნილი, ორიოდე დღეში საქართველოდან გადარიცხული ოცდაათი ათასამდე დოლარიც შეემატება. ამ რაოდენობის თანხის შეგროვება მოხერხდა სასტუმრო "შერატონ-მეტეხი პალასისა" და "ცუნამით დაზარალებულთა დახმარების კომიტეტის" ძალისხმევით გამართულ გალა-აქციაზე.

საქველმოქმედო საღამოზე დაპატიჟებული სამას ოცი სტუმარი, საქართველოში მოღვაწე დიპლომატიური კორპუსისა და ქართული და საქართველოში მოღვაწე უცხოური კომპანიების წარმომადგენლები იყვნენ. აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, აშშ-ს საელჩოს წარმომადგენელმა ქალბატონმა საბინა მაუმ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ დაპატიჟებას ყველა სტუმარი გამოეხმაურა და ყველამ სიამოვნებით შეიძინა ორმოცდაათ დოლარიანი ინდივიდუალური ბილეთი. საქართველოსთვის საკმაოდ მაღალი ფასის - 700 დოლარის მიუხედავად, არც კორპორატიული ბილეთები დარჩენილა გაუყიდავი. ასე, რომ სასტუმრო "შერატონის" საზეიმო დარბაზი სტუმრებს ვერ იტევდა.

საორგანიზაციო კომიტეტის წევრი ხუთი ქალბატონი და სასტუმროს გენერალური მენეჯერი რიჩარდ დოიტლი ყველაფერს ეცადნენ, რომ საქველმოქმედო საღამო თანხების მოძიების მხრივ, წარმატებული ყოფილიყო. მთელი საღამოს განმავლობაში იყიდებოდა სპეციალურად ამ ღონისძიებისთვის დაბეჭდილი ლატარიის ბილეთები, სასტუმროს ფოიეში გამოფენილი იყო "ჩუმ" აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი ქართველ შემოქმედთა ოცდაათამდე ნამუშევარი, საკმაო თანხა შევიდა ასევე ფოიეში მოწყობილი სახელდახელო ბარიდანაც.

აქციას ჰყავდა რამდენიმე სპონსორი. სწორედ მათ მიერ დაწესებული 21 პრიზი გათამაშდა საქველმოქმედო ლატარიაში. პრიზებს შორის იყო: სამი ახალი ციფრული კამერა, HP-ის კომპიუტერი თავისი მონიტორით, ექვსთვიანი უფასო საკაბელო მომსახურება "აიეტისგან", ასდოლარიანი სერტიფიკატი ისი-პარის სილამაზის სალონისგან, ორკაციანი საგზური თურქეთის ქალაქ ბოდრუმში სამოგზაუროდ, ორკაციანი სადილი რამდენიმე პრესტიჟულ თბილისურ რესტორანში და მრავალი სხვა.

საღამო, დაგეგმილზე გაცილებით მეტ ხანს - ღამის ორ საათამდე გაგრძელდა. თანხების ჩარიცხვა "კომიტეტის" ანგარიშზე ჯერ კიდევ გრძელდება.

# შედეგიანი ვიზიტი

*იმას, რომ საქართველოს ბუნება ტურიზმის განვითარების კარგი საწინდარია, უცხოელებიც აღნიშნავენ და ჩვენც კარგად ვიცით. საქართველოში ტურიზმის განვითარება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასთან რომ ასოცირდება ძველებსაც ახსოვდათ და არც ახალ ხელისუფლებას დავიწყნია. სფეროს განუვითარებლობას, დღემდე, ქვეყანაში არსებული მძიმე კრიმინოგენული სიტუაციით ხსნიდნენ. დღეს გვპირდებიან, რომ ტურიზმი საქართველოში აუცილებლად აყვავდება.*

თამარ მაისურაძე

ტურიზმის ქართველი ქომაგები იანვრის თვეში რამდენიმედღიანი ვიზიტით იმყოფებოდნენ ირანში, საიდანაც დაპირებებით "დატვირთულნი" დაბრუნდნენ. ოფიციალური შეხვედრების შემდეგ, როგორც საქართველოს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარემ, საბა კიკნაძემ აღნიშნა, ორი ქვეყნის წარმომადგენლებმა სამომავლო გეგმებზე მოილაპარაკეს. უნდა ითქვას, რომ ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ნიკა ვაჩეიშვილი და ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის წარმომადგენელი გიგი ყუფარაძე ისლამურ ქვეყანაში ირანის კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილის მიწვევით იმყოფებოდნენ.

**"ირანის სახელმწიფო ტურისტული კომპანიის პრეზიდენტთან, კერძო ტურისტული კომპანიებისა და სერვის-ცენტრების ხელმძღვანელებთან შეხვედრების შემდეგ, ხელი მოეწერა ორ შეთანხმებას ირანსა და საქართველოს შორის,"** - განახცადა გუშინ გამართულ შეხვედრაზე ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა. ამ შეთანხმების ფარგლებში, ორ ქვეყანას შორის მოხდება ტურიზმში დასაქმებული სპეციალისტების გაცვლა. მხარეები იმაზეც შეთანხმდნენ, რომ ამ ორ ქვეყანას შორის გაიოლდეს სავიზო რეჟიმი, შეიქმნას ერთობლივი ტურისტული პროდუქტი მესამე ქვეყნიდან ტურისტების მოსაზიდად. ირანმა გამოთქვა მზადყოფნა თეირანი-თბილისი-მოსკოვისა და მოსკოვი-თბილისი-თეირანის საჰაერო რეისის დანიშვნისა და ინვესტიციების სასტუმრო ბიზნესში ჩადების თაობაზე.

აღსანიშნავია, საქართველოსა და ირანს შორის 2005-2008 წლებისთვის გათვლილია გეგმა, რომელიც ისტორიული ძეგლების, სამუზეუმო ექსპონატების დაცვას, რესტავრაციასა და ლაბორატორიულ კვლევებს ითვალისწინებს. დაბალპროცენტიანი სესხი, რომელსაც ირანი საქართველოს გამოუყოფს, ძეგლთა რესტავრაციას მოხმარდება.

**"ტურიზმიც განვითარება, პარალელურად, ჩვენი ქვეყნის ფარგლებშიც უნდა მოხდეს. თბილისი-ზღვა-თბილისი - რეისი, რომლითაც საქართველოს მოსახლეობა სარგებლობს სოფლის ტურიზმის განვითარების შედეგად უნდა შეიცვალოს,"** - ამბობს საბა კიკნაძე, რომლის აზრითაც, შედეგს ისეთი ინერტული ბიზნესისგან, როგორიც ტურიზმია, სრული ორი სეზონის გასვლის შემდეგ მივიღებთ.

სსიფ GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით ტყიბულის რაიონის სოფელ საწირის საშ. სკოლის შენობის რემონტი.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება

**სოფელ საწირის სათემო კავშირთან "კურორტი საწირე"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"კურორტი საწირე"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ტყიბულის რაიონი,**
**სოფელ საწირის, სკოლის შენობა**
**საკონტაქტო პირი ხათუნა გვენეტაძე, სათემო კავშირი "კურორტი საწირე"-ს თავმჯდომარე**

2005 წლის 3 თებერვლიდან 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი)** ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **1 800** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ტყიბულის რაიონი**
**სოფელ საწირის, სკოლის შენობა**
**საკონტაქტო პირი ხათუნა გვენეტაძე, სათემო კავშირი "კურორტი საწირე"-ს თავმჯდომარე**

**2005 წლის 4 მარტი 13 საათამდე**.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **13:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

სსიფ GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით ამბროლაურის რაიონის სოფელ ჭრებალოს წყალსადენის რემონტი.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება

**სოფელ ჭრებალოს სათემო კავშირთან "ასკრიონი"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"ასკრიონი"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ამბროლაურის რაიონი,**
**სოფელ ჭრებალო, საკრებულოს შენობა**
**საკონტაქტო პირი დადაში კერვალიშვილი, სათემო კავშირი "ასკრიონი"-ს თავმჯდომარე**

2005 წლის 3 თებერვლიდან 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი)** ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **1 500** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ამბროლაურის რაიონი,**
**სოფელ ჭრებალო, საკრებულოს შენობა**
**საკონტაქტო პირი დადაში კერვალიშვილი, სათემო კავშირი "ასკრიონი"-ს თავმჯდომარე**

**2005 წლის 6 მარტს 13 საათამდე**.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **13:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

სსიფ GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით ამბროლაურის რაიონის სოფელ ბუგეულის წყალსადენის რემონტი.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება

**სოფელ ბუგეულის სათემო კავშირთან "მთის წყარო"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"მთის წყარო"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ამბროლაურის რაიონი,**
**სოფელ ბუგეული, სკრებულოს შენობა**
**საკონტაქტო პირი აბელ ფოფხაძე, სათემო კავშირი "მთის წყარო"-ს თავმჯდომარე**

2005 წლის 3 თებერვლიდან 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი)** ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **2 700** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ამბროლაურის რაიონი,**
**სოფელ ბუგეული, სკრებულოს შენობა**
**საკონტაქტო პირი აბელ ფოფხაძე, სათემო კავშირი "მთის წყარო"-ს თავმჯდომარე**

**2005 წლის 7 მარტს 13 საათამდე**.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **13:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

სსიფ GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო კრედიტი და აპირებს დააფინანსოს კრედიტის ნაწილით ქ. თეთრიწყაროს შიგა წყალმომარაგების ქსელის რეკონსტრუქცია.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება ქ. თეთრიწყაროს განვითარების სათემო კავშირთან "პირიმზე", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი "პირიმზე" იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველო, თეთრიწყაროს რაიონი,
ქ. თეთრიწყარო, ქალაქის საკრებულოს შენობა
საკონტაქტო პირი მერაბ წიკლაური, სათემო კავშირი "პირიმზე"-ს თავმჯდომარე

2005 წლის 2 თებერვლიდან 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით 2 800 ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველო, თეთრიწყაროს რაიონი,
ქ. თეთრიწყარო, ქალაქის საკრებულოს შენობა
საკონტაქტო პირი მერაბ წიკლაური, სათემო კავშირი "პირიმზე"-ს თავმჯდომარე.

2005 წლის 3 მარტის 14 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **14:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

სსიფ GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო კრედიტი და აპირებს დააფინანსოს კრედიტის ნაწილით გურჯაანის რაიონის სოფელ ჯიმითის საშუალო სკოლის რემონტი.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება სოფელ ჯიმითის განვითარების სათემო კავშირთან "ჯიმითი-2004", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი "ჯიმითი-2004" იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველო, გურჯაანის რაიონი,
სოფელი ჯიმითი, საშ. სკოლის შენობა
საკონტაქტო პირი ელზა დარჩიაშვილი, სათემო კავშირი "ჯიმითი-2004"-ს თავმჯდომარე

2005 წლის 2 თებერვლიდან 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით 2 700 ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველო, გურჯაანის რაიონი,
სოფელი ჯიმითი, საშ. სკოლის შენობა
საკონტაქტო პირი ელზა დარჩიაშვილი, სათემო კავშირი "ჯიმითი-2004"-ს თავმჯდომარე

2005 წლის 4 მარტის 14 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **14:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

# სამართალდამცველი თუ მოძალადე?

## მოწმეების დაკითხვამდე პროკურატურამ პასუხისგებაში დაჭრილი მისცა

ვასილ გულეური
გორიდან

*ხაშურში პოლიციელმა 21 წლის ბექა თომაძე ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრა და მიატოვა. ხაშურის პროკურატურამ კი, ბრალდებულის სახით, პასუხისგებაში თავად თომაძე მისცა.*



*პოლიციელმა ბექა თომაძე ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრა.*

ვასილ გულეურის ფოტო

ინციდენტიდან სამი დღის შემდეგ, პროკურატურას ჯერ კიდევ არ ჰყავდა დაკითხული მოწმეები, მათ შორის დიმიტრი ნემსაძე, რომელიც შემთხვევის ადგილას იმყოფებოდა თომაძესთან ერთად და პოლიციელთან ჩხუბის მონაწილეც იყო. მიუხედავად ამისა, ხაშურის რაიონული პროკურატურის გამომძიებელმა ვლადიმერ ტალახაძემ გამოიტანა დადგენილება ბექა თომაძის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ. დადგენილებაში წერია, რომ ბექა თომაძემ "ჩაიდინა პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის ხელის შეშლის მიზნით, ჩადენილი ძალადობით და ძალადობის მუქარით. მანვე ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო დაუფლების მცდელობა მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლის და ჯანმრთელობისთვის."

როგორც დადგენილებაშია აღნიშნული, "რკინიგზის სადგურისა და რკინიგზის ობიექტების მიმდებარე ტერიტორიებზე მოსალოდნელ დანაშაულთა აღკვეთისა და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით, სამსახურებრივ მოვალეობას, სხვა მუშაკებთან ერთად, ასრულებდა შს ხაშურის რაიგანყოფილების პოლიციელი, პოლიციის ზემდეგი გიორგი მეტივიშვილი, რომელსაც ეცვა სპეციალური ფორმა და თან ჰქონდა მასზე განპიროვნებული "მაკაროვის" სისტემის პისტოლეტი N6096, ერთი მჭიდით... მეტივიშვილს შემოესმა ყვირილის და ლანძღვა-გინების ხმა, რის გამოც იგი აღნიშნული ადგილისკენ გაემართა, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის აღკვეთის მიზნით, სადაც მისვლისას ნახა მთვრალ მდგომარეობაში მყოფი ორი მამაკაცი, რომელთაც მოუწოდა შეეწყვიტათ ხმაური და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, მაგრამ მათგან ერთ-ერთმა, ბექა თომაძემ იუკადრისა მისი მოთხოვნა და შეიტყო რა, რომ იგი იყო პოლიციელი, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის ხელის შეშლის მიზნით, ფიზიკური ძალადობით და ძალადობის მუქარით გამოხატა მის მიმართ წინააღმდეგობა"(სტილი დაცულია).

შემდეგ, როგორც დადგენილებაში წერია, თომაძე შეეცადა მეტივიშვილის "შარვლის საქამრესთან ბუდეში მოთავსებული ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის დაუფლებას, მაგრამ გ.მეტივიშვილმა მოასწრო იარაღზე ჩაჭიდება... მეტივიშვილმა გამაფრთხილებელი გასროლისთვის შეძლო იარაღის საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანა, ხოლო ბექა თომაძე კვლავ აგრძელებდა გ. მეტივიშვილთან ჭიდილს იარაღის დასაუფლებლად. მოხდა იარაღიდან რამდენიმე გასროლა, რის შემდეგაც ბექა თომაძემ მარჯვენა მკლავში მიიღო ორი ცეცხლნასროლი ჭრილობა, რის შემდეგაც იგი დაკავებული და სამედიცინო დახმარების მიზნით გადაყვანილი იქნა ხაშურის რაიონის საავადმყოფოში."

გამომძიებელი ადგენს, რომ დანაშაული "მთლიანად დადასტურებულია საქმეში არსებული შემდეგი მტკიცებულებებით: შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, დაზარალებულის გიორგი მეტივიშვილის (!) და მოწმეთა ჩვენებებით, ამოღების ოქმებითა და საქმეზე შეკრებილი სხვა მატერიალური მტკიცებულებების ერთობლიობით... ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემულ იქნეს ბექა თომაძე."

ხაშურის რაიონულმა პროკურორმა ამირან ნოზაძემ "24 საათისთვის" მიცემულ ინტერვიუში ისევე აღწერა მომხდარი შემთხვევა, როგორც გამომძიებლის დადგენილებაშია: **"გიორგი მეტივიშვილი ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას. მისი უფლებამოსილება იყო, რომ დაეცვა რკინიგზის მიმდებარე ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგი. ამ ფუნქციის განხორციელების დროს მას შემოესმა კამათის ხმა და გაემართა ამ ადგილისაკენ. შენიშნა, რომ ახალგაზრდები კამათობდნენ, მოუწოდა მათ წესრიგისაკენ. ამ დროს მათ შორის მოხდა შეკამათება, რა დროსაც პოლიციელს შეეხნენ ფიზიკურად. პოლიციელმა, ჰაერში გასროლის მიზნით, ამოიღო იარაღი. ჭიდილის დროს გავარდა ორი ტყვია, რომელთაგან ერთი მოხვდა მარჯვენა მხარში თომაძეს."**

**"პროკურორმა თავად მიიღო მონაწილეობა საგამოძიებო მოქმედებაში, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ, როდესაც ვერ მოახერხეს თომაძის დაკითხვა, რადგან იგი მძიმე მდგომარეობაში იყო, პროკურატურაში დაწერეს დადგენილება მისი ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ,** - ამბობს თომაძის ადვოკატი ზინაიდა კიკნაძე, **- გაუგებარია, როგორ არის მეტივიშვილი დაზარალებული, როდესაც ჯერ არ არიან დაკითხული თვითმხილველი მოწმეები. ამასთან, შემთხვევის დროს მეტივიშვილს არ ეცვა პოლიციელის ფორმა, არ არის ჩატარებული ექსპერტიზა. პროცესუალურ ნორმებში რომ ჩატეულიყვნენ და 48 საათში წარედგინათ ბრალი, ამიტომ გამოიტანეს ასეთი ცალმხრივი და არაობიექტური დადგენილება."**

გამომძიებლისა და პროკურორის ვერსიებს სრულიად ეწინააღმდეგება დიმიტრი ნემსაძის ნაამბობი. იგი სწორედ იმ დროს იმყოფებოდა პროკურატურაში, როდესაც ამირან ნოზაძეს ვესაუბრეთ. როდესაც პროკურორმა შეიტყო, რომ ნემსაძეს გაზეთისთვის ინტერვიუ უნდა მიეცა, უკმაყოფილება გამოთქვა და აღნიშნა, რომ პროკურატურის შენობაში ასეთი გამოკითხვებით ხელს ვუშლიდით გამოძიებას, ნემსაძეს კი უთხრა, ტელეფონის ნომერი დაეტოვებინა გამომძიებლისთვის და საჭიროების შემთხვევაში (!) თავად დაურეკავდნენ.

**"ჩვენ სახლში მივდიოდით, როდესაც შეგვხვდნენ ორნი, არც ერთს არ ეცვა პოლიციელის ფორმა,** - თქვა პროკურატურის შენობიდან გამოსვლისას "24 საათისთვის" მიცემულ "ჩვენებაში" დიმიტრი ნემსაძემ (იგი თომაძის სიძეა) - **გვკითხეს, სად მიდიხართო. ბექამ უპასუხა, რომ 9 აპრილის ქუჩაზე მივდიოდით, სახლში. თან ჩვენც დავინტერესდით, ვინ იყვნენ თავად და რატომ გაგვაჩერეს. ამის გამო, ერთმა ბექას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. ორივენი ნასვამები იყვნენ. ამას ჩხუბი მოჰყვა. ბექას კონდახი ჩაარტყა და წააქცია, მეც და მისი თანმხლებიც ვაშველებდით. შემდეგ მე მომადო იარაღი შუბლზე - გაგიხვრიტავო! სახეში გამარტყა და დავეცი. ამას მოჰყვა ორი გასროლა და ბექა რომ დაეცა, გაიქცა. მაცხოვრებლებმა გაიგეს სროლის ხმა და დარეკეს პოლიციაში."**

ბექა თომაძეს საავადმყოფოში პოლიციის ბადრაგი იცავს. ჩვენ მაინც მოვახერხეთ მისი ნახვა, თუმცა ინტერვიუს მოცემა ვერ შეძლო. როგორც მისმა ადვოკატმა ზინაიდა კიკნაძემ გვითხრა, რაიონის პროკურორის ამირან ნოზაძის სახელზე დაწერეს შუამდგომლობა მოწმეების დაკითხვისა და ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნით. დაჭრილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებამდე მისი დაკითხვა ვერ მოხერხდება. თუმცა, გარკვეულ ეჭვს იწვევს გამოძიების მიერ მისი თანმხლების, დიმიტრი ნემსაძისთვის ჩვენების ჩამორთმევის გაჭიანურება.

# პოლიციელები კონტრაბანდასთან ბრძოლას შეეწირნენ

*გუშინწინ ღამით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მომხდარ ორ შემთხვევას, რომელთა დროსაც ორი ქართველი პოლიციელი დაიღუპა, სამეგრელოს რეგიონის რწმუნებულისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მხრიდან მკაცრი განცხადებები მოჰყვა.*

როგორც ცნობილია, გუშინწინ, გვიან საღამოს, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში, რუსი სამშვიდობოების საგუშაგოს მახლობლად, ზუგდიდის რაიონის სოფელ შამგონასა და გალის რაიონის სოფელ თაგილონს შორის განლაგებულ ქართული პოლიციის საგუშაგოზე, შეიარაღებული პირები თავს დაესხნენ მანქანაში მსხდომ პოლიციის სპეცრაზმის წევრებს. თავდამსხმელებმა პოლიციის მანქანას მოულოდნელად ყუმბართმტყორცნებიდან და ავტომატებიდან ცეცხლი გაუხსნეს. სროლის შედეგად ერთი სპეცრაზმელი - ვიტალი დარასელია ადგილზე დაიღუპა, ორნი კი - კობა ბახტაძე და ჯემალ ლაგვილავა - მძიმედ დაიჭრნენ. დაჭრილები ზუგდიდის საავადმყოფოში გადაიყვანეს. მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. რაც შეეხება თავდამსხმელებს, ისინი შემთხვევის ადგილიდან უპრობლემოდ მიიმალნენ.

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის გიგი უგულავას განცხადებით, ბოროტმოქმედები ქართულ-აფხაზური შერეული დაჯგუფების წევრები იყვნენ, რომელთა სავარაუდო ვინაობა უკვე დადგენილია. ამასვე ადასტურებს აფხაზური მხარეც.

რაც შეეხება თავდასხმის მიზეზებს, რწმუნებული პოლიციელებთან ანგარიშსწორებას კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის გამკაცრებით ხსნის. გიგი უგულავას თქმით, კონტრაბანდული ტვირთები აფხაზეთიდან სწორედ შამგონას გავლით შემოდის და ამ უკანონო საქმიანობას ქართულ-აფხაზური კრიმინალური დაჯგუფებები მფარველობენ.

**"კონტრაბანდისტთა და მათი მფარველების მხრიდან მსგავსი ქმედებების მიუხედავად, ქართული მხარე კონტრაბანდასთან ბრძოლის შესუსტებას არ აპირებს. პირიქით, ბრძოლა კიდევ უფრო გაძლიერდება, ისინი კი, ვინც წინააღმდეგობის გაწევას შეეცდება, მკაცრად დაისჯებიან,"** - განაცხადა უგულავამ.

მეტიც, რწმუნებულის თქმით, საგუშაგოებზე კონტროლი გამკაცრდება და მდინარე ენგურთან საზღვარი უფრო ინტენსიურად გაკონტროლდება.

გიგი უგულავა გუშინ საკმაოდ მკაცრი გახლდათ კონფლიქტის ზონაში მოქმედი რუსეთის სამშვიდობო ძალების მიმართ.

**"რა აზრი აქვს რუსი სამშვიდობოების ყოფნას კონფლიქტის ზონაში, თუ მათი საგუშაგოდან 20 მეტრში მსგავსი თავდასხმები ხდება?!"** - აღნიშნა მან.

როგორც ცნობილია, მომხდარს რუსეთის სამშვიდობო ძალების პოლკოვნიკი ვიაჩესლავ ნაუმოვი გუშინწინვე გამოეხმაურა. მისი მტკიცებით, რუსეთის სამშვიდობო ძალების საგუშაგოს გავლით ზუგდიდის რაიონის ტერიტორიაზე არც ერთი შეიარაღებული პირი არ გადასულა.

ასევე კონტრაბანდისტის დევნისას დაიღუპა საპატრულო პოლიციის თანამშრომელი გელა კაკუბერი. კერძოდ, გუშინწინ, გვიან ღამით, კონტრაბანდული ტვირთის დევნისას გორის შესასვლელში საპატრულო პოლიციის მანქანა ავტოავარიაში მოჰყვა, რის შედეგადაც ერთი პოლიციელი დაიღუპა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საპატრულო ეკიპაჟი კარალეთის საგუშაგოდან "ნივის" მარკის ავტომანქანას დაედევნა, რომელსაც, სავარაუდოდ, კონტრაბანდული საქონელი გადმოჰქონდა. "ნივის" მძღოლი პოლიციელების მოთხოვნას არ დაემორჩილა და მანქანა არ გააჩერა. საპატრულო ეკიპაჟი ურჩ მძღოლს დაედევნა. გორის შესასვლელში, ბენზინგასამართი სადგურის მახლობლად, "ნივის" მძღოლმა ავარიული სიტუაცია შექმნა, რის შემდეგაც საპატრულო მანქანა ბენზინგასამართი სადგურის სარეკლამო ფირნიშის სვეტს შეეჯახა. შედეგად, ადგილზე გარდაიცვალა საპატრულო პოლიციელი გელა კაკუბერი, ეკიპაჟის მეორე წევრი კახაბერ ტერაშვილი კი ქალაქის საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმების ცნობით, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

სამართალდამცველებმა ვერ იპოვეს შემთხვევის ადგილზე ერთ-ერთი პოლიციელის კუთვნილი ტაბელური იარაღი. სავარაუდოდ, ის ავარიის ადგილიდან მოიპარეს.

"ნივის" მარკის ავტომანქანის მძღოლის ვინაობა, ჯერჯერობით, დადგენილი არ არის. მიმდინარეობს მოკვლევა.

სოფელ შამგონასთან და გორის ახლოს მომხდარ შემთხვევებს გუშინ სპეციალური ბრიფინგი მიუძღვნა შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა. გიგი უგულავას მსგავსად, მანაც უკომპრომისო ბრძოლა გამოუცხადა კონტრაბანდისტებს. ამასთან, მისი თქმით, დაღუპული პოლიციელების ხსოვნის პატივსაცემად, ხუთშაბათს 12 საათზე პოლიციის ყველა განყოფილება და საპატრულო პოლიცია ერთი წუთით შეწყვეტს მუშაობას და წუთიერი დუმილით გამოხატავს მწუხარებას.

**"მე პირადად ვესტუმრები თითოეული დაღუპულის ოჯახს და უზრუნველვყოფ იმას, რომ სახელმწიფომ ზედმიწევნით და დროულად შეასრულოს მასზე დაკისრებული სოციალური ვალდებულებები,"** - განაცხადა ვანო მერაბიშვილმა.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** თბილისის საოლქო სასამართლომ მოსამართლე მაია ივანიძის თავმჯდომარეობით ორშაბათს გამამართლებელი განაჩენი გამოუტანა ვაკე-საბურთალოს რაიონის საგამოძიებო ნაწილის ყოფილ უფროსს ზაზა მესხს და გამომძიებლებს: გიორგი ძიძიგურსა და მამუკა მდინარაძეს. მესხს, მდინარაძესა და ძიძიგურს რამდენიმე თვის წინ თბილისში, სამსახურებრივი უფლებამოსილებების გადამეტებით ასლან აბაშიძის მომხრე ბათუმელი სტუდენტების გათავისუფლებისათვის ჰქონდათ ბრალი წაყენებული. პროცესზე პროკურორი პაატა ჯაველიძე განსასჯელებისათვის პირობით სასჯელს ითხოვდა, რაც სასამართლომ არ გაიზიარა. გამომძიებლები აჭარის რევოლუციამდე დააკავეს, რომლებიც გარკვეული პერიოდის შემდეგ წინასწარი პატიმრობიდან თავდებით გაათავისუფლეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა გუშინწინ, გვიან ღამით, ჭავჭავაძის გამზირზე მძარცველთა ორგანიზებული ჯგუფის ორი წევრი დააკავეს. ვაკე-საბურთალოს რაიონის შს სამმართველოს უფროსის ზურაბ ბაქრაძის განცხადებით, დაკავებულია გურამ ჯიქია და ელდარ ტაბაღუა, რომლებმაც გენპროკურატურის პროკურორ ვაჟა ჯანყარაშვილის "მერსედესის" მარკის ავტომანქანიდან მოიპარეს ხელჩანთა პისტოლეტ "პსმ"-ით და პირადი ნივთებით. დაკავების დროს ეჭვმიტანილებისგან ამოღებულია "პსმ"-ის სისტემის ტაბელური იარაღი.

პოლიციის ცნობით, აღნიშნული პირები ძვირადღირებულ ავტომანქანებს საბურავებს უზიანებდნენ და როგორც კი მეპატრონე მათ შესაკეთებლად მანქანიდან გადმოვიდოდა, მძარცველები სალონიდან სხვადასხვა ნივთებს იპარავდნენ. როგორც პოლიციის უფროსი განმარტავს, აღნიშნული პირები, ძირითადად, ვაკე-საბურთალოს და მთაწმინდა-კრწანისის რაიონებში, ბანკების მახლობლად მოქმედებდნენ და, შესაბამისად, მათი მსხვერპლნი ბანკის თანამშრომლები ხდებოდნენ. გამოძიება ვარაუდობს, რომ აღნიშნული ჯგუფი ორკაციანი არ იყო და ეჭვმიტანილთა წრის გაზრდას არ გამორიცხავს. **ინტერ-პრესი**

# ბასილ მკალავიშვილისთვის განაჩენი გამოტანილია

*გუშინ ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ განაჩენი გამოუტანა გლდანიის ეპარქიის ყოფილ წინამძღვარს, შემდგომში ეკლესიიდან მოკვეთილ ბასილ მკალავიშვილს და მის რამდენიმე მომხრეს.*

წლების მანძილზე მართლმადიდებლობის სახელით ათასგვარი დანაშაულის ჩამდენი ყოფილი სასულიერო პირი შარშან მარტში სპეცოპერაციის შედეგად დააკავეს. ამ სპეცოპერაციის დროს მკალავიშვილის მომხრეთა მიერ სამართალდამცველთათვის წინააღმდეგობის გაწევის გამო, მათ წინააღმდეგ არსებულ საკმაოდ მსხვილ საქმეს კიდევ ერთი ბრალდება დაემატა.

როგორც ცნობილია, გასულ სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარემ, სხვისი ქონების განზრახ განადგურების გამო, ბასილ მკალავიშვილისთვის 7-წლიანი პატიმრობის შეფარდება მოითხოვა. იგივე ბრალდების გამო პროკურატურამ მკალავიშვილის აქტიური მომხრის პეტრე ივანიძის ექვსი წლით, ავთო კოროშინაძის კი ორ წლით ციხეში გაშვება მოითხოვა. მათთან ერთად განსასჯელის სკამზე მსხდომი კიდევ ხუთი განსასჯელისთვის კი პირობითი სასჯელის მისჯას ითხოვდა.

ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ პროკურატურის მიერ მოთხოვნილ სასჯელის ვადებს ცოტ-ცოტა ჩამოაკლო და ბასილ მკალავიშვილს ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. სასამართლოს ამავე გადაწყვეტილებით, ოთხი წლით პატიმრობა მიესაჯა პეტრე ივანიძეს, მერაბ კოროშინაძეს კი - ერთი წლით.

გუშინვე სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს მკალავიშვილის ოთხი მომხრე - ავთანდილ გაბუნია, მიხეილ ნიკოლოზიშვილი, ავთანდილ ჯანაძე და აკაკი მოსეშვილი. მათ სასჯელის ზომად პირობითი მსჯავრი შეეფარდათ.

მკალავიშვილის მომხრეთა პროტესტის ფორმები იმდენად ნაცნობია, რომ გუშინ პროცესი გაძლიერებული დაცვის ქვეშ მიმდინარეობდა. მიუხედავად ამისა, იმ ოთხი საათის მანძილზე, როცა მოსამართლე განაჩენს კითხულობდა, ხმაური დარბაზში საკმაოდ ხშირად ისმოდა. თავად მკალავიშვილმა კი მის მიმართ გამოტანილი განაჩენი ჯორჯ სოროსის მცდელობის ნაყოფად შერაცხა და ისიც თქვა, რომ საპყრობილეში მისი ლიკვიდაციაა დაგეგმილი.

მის და მის მომხრეთა ადვოკატებს უკვე გადაწყვეტილი აქვთ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების საოლქო სასამართლოში გასაჩივრება.

ყველა დაკავებულის პატიმრობის ვადა 2004 წლის 12 მარტიდან, მათი დაპატიმრების დღიდან აითვლება, აქედან გამომდინარე, თუ ზემდგომ ინსტანციებში განაჩენი არ შეიცვალა, კოროშინაძე სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან ერთ თვეში გათავისუფლდება, ივანიძე - სამ წელიწადში, ხოლო მკალავიშვილს კი სასჯელის მოხდა კიდევ ხუთი წლის განმავლობაში მოუწევს.

*24 საათი*

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

### ა ნ კ ე ტ ა

სახელი, გვარი..........

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი..........

საკონტაქტო ტელეფონი..........

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77. იურიდიული ოფისი "გაპი".

აფინანსებს ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო", პროექტს ახორციელებს გაზეთი "24 საათი"

# "სადა არს პატივი მთავრობისაი, მუნ არს მსგავსებაი ღმრთეებისაი, რამეთუ თქვენ, ხელმწიფენი უფალ-გყვნა ღმერთმან ქვეყანისა განგებასა" - უთხრა მამა გრიგოლმა აშოტ კურაპალატს


ვახო ბესელიას ფოტო


ვახო ბესელიას ფოტო

## გვერდის რედაქტორის სვეტი

უკვე ორი წელია, რაც გაზეთ "24 საათში", ორ კვირაში ერთხელ, პროექტ "კანონიერების კულტურის" ფორმატში, იბეჭდება მოსწავლეთა "წერილები მთავრობას".

წერილების ერთი ნაწილი ჩვენ ირგვლივ არსებულ კონკრეტულ პრობლემატიკას ეხება, ისეთ საკითხებს, რომელთა მოგვარება კონკრეტულ პირებზეა დამოკიდებული.

წერილების ნაწილი კი ზოგადი ხასიათი მსჯელობაა ქვეყნის და ქალაქის მდგომარეობაზე. ამ წერილებში არის იმედიც, კეთილგანწყობაც, ასაკის მიუხედავად, სამოქალაქო ცნობიერების მაღალი დონე, გულისხმიერება, მზადყოფნა კეთილი მოქმედებებისათვის, მაგრამ არის ამის საპირისპირო უიმედობაც და ხელის ჩაქნევის სურვილი - "ამ ქვეყანას არაფერი ეშველებაო" . მოსწავლეები ნეგატივსაც და პოზიტივსაც არგუმენტირებულად აღნიშნავენ.

მათთან უშუალო შეხვედრისას ეს უფრო თვალნათელია - შეხვედრაზე აქტიური მართლისმთქმელები და მახვილი გონების ახალგაზრდები, საგაზეთო წერილებს არ წერენ : აზრი არა აქვსო.

გაზეთი მოსწავლეთა წერილებს აგზავნის ადრესატებთან, რეკავს მათთან, გაზეთის საშუალებით ითხოვს ყურადღებას, მაგრამ გასულ წელს ერთეული შემთხვევების გარდა, რეაქცია მთავრობიდან არ არის. რიგ შემთხვევებში ეს პირდაპირ ქმედება უნდა იყოს და რიგ შემთხვევებში წერილზე ისევ წერილობითი პასუხი. მოსწავლეები გვთხოვენ, რომ შევახვედროთ მთავრობის წევრებს და სჯერათ, რომ ისინი აუცილებლად უპასუხებენ მათ შეკითხვებს. მაგალითად, ბატონმა გიორგი პაპუაშვილმა მოსწავლეებთან ორმხრივად საინტერესო შეხვედრა ჩაატარა, რომელსაც შემდეგ იუსტიციის სამინისტროს ახალი ინიციატივები მოჰყვა. 2003 წელს, მათი წერილების შესაბამისად, რამდენიმე მოქმედებაც განხორციელდა. აღვნიშნავ, რომ კომპანია "გურჯაანის ნაყინმა" მოამზადა ეკოლოგიური პროექტი ქაღალდის ნარჩენების მავნებლობის სალიკვიდაციოდ. სამწუხაროდ, მათი ერთ-ერთი ქმედების "უმოქმედო" შედეგი ვიხილეთ-თვალსაჩინოდ მოხატული ნაგვის ბუნკერები, რომლებიც ქუჩებში უნდა დადგმულიყო, დეკორის ფუნქციას ასრულებდა იმ დაწესებულების ეზოში, რომლის ერთადერთი საქმიანობა ქალაქში სისუფთავის დაცვაა. მიუხედავად არაერთგზის თხოვნისა, ხელმძღვანელი პირები წერილებზე რეაგირებას არ ახდენენ.

ბატონი ჭეიშვილი, ახლა უკვე პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი, დიდუბე-ჩუღურეთის გამგებლობის დროს ბევრი წერილის ადრესატი გახლდათ, მაგრამ ურეაქციო.

დღეს კიდევ ერთხელ ვთხოვთ საქართველოს მთავრობას - პრემიერ მინისტრით დაწყებულს და რაიონის გამგებლებით დამთავრებულს, რომ მიაქციონ ყურადღება მოსწავლეთა წერილებს. იყავით ყურადღებიანები და საქმიანები. ისინი კანონით კუთვნილს ითხოვენ თქვენგან და თქვენც კანონით გეკუთვნით მათ წერილებზე რეაქცია.

ისინი იმ ქვეყნის მოქალაქეები არიან, რომლის პატრონობა დღეს თქვენ დაგევალათ.

გვერდის ლიდად გამოტანილ "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან" მოტანილ ციტატას თუ წაიკითხავთ, ის უფრო დამაჯერებლად მიგახვედრებთ, რომ მოქალაქის უგულებელყოფის უფლება ხელისუფალს არა აქვს.

p.s. დღევანდელი ფოტოგვერდი მხოლოდ შეხსენებაა იმისა, რომ ჯერჯერობით, თქვენ ასეთ ქვეყანას უნდა უპატრონოთ.







იური ლობოდინის ფოტო



იური ლობოდინის ფოტო


ვახო ბესელიას ფოტო


გოგიტა ბუხაიძის ფოტო


ვახო ბესელიას ფოტო

პროგრამა " კანონიერების კულტურა" საქართველოს განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით მიმდინარეობს.

დაგვირეკეთ: 20-24-24 ; ელ. ფოსტა: dkuprava@24hours.ge
მოგვწერეთ: თბილისი ვაჟა ფშაველას 45, გაზეთი "24 საათი" - დალი კუპრავა
შემდეგი გვერდი გამოვა 13 თებერვალს

პრემიერა ახლოვდება



B2

ყოველ სამშაბათს



B3

„დინამო" ჯამარაულით ძლიერდება



B4

# უნარ-ჩვევები - საგანი ახალი თაობისთვის

მაია ჭალაგანიძე

*ჩვენი ქვეყნის თითქმის 14-წლიანი დამოუკიდებლობის მიუხედავად, განათლების საბჭოთა სისტემა მხოლოდ ახლა ინგრევა. ამის ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი ხანგრძლივი დისკუსიების, სამართლიანი თუ უსამართლო ბრალდების შემდეგ მიღებული განათლების ახალი კანონიც არის. თუმცა, ერთიანი გამოცდების ქართული მოდელი კანონზე ადრე დაწესდა და საგნებთან ერთად მისაღებ გამოცდებზე აბიტურიენტთა უნარ-ჩვევების გამოსავლენი ტესტების იდეაც ცოტათი ადრე დაიბადა. უნარების სწავლა არც ერთ საკოლაში არ შეიძლება. ეს სხვა დისციპლინების სწავლის დროს მიღებული ირიბი ცოდნაა. წლევანდელი აბიტურიენტები, ისინი, ვინც ახალ მისაღებ გამოცდებს პირველი უნდა შეერკინონ, 10 წელია სხვადასხვა ტიპის, დონის და ტრადიციების სკოლებში სწავლობენ. ამ ათი წლის განმავლობაში მათ გადაიტანეს სიცივე, უშუქობა, ეპიდემია, პედაგოგთა დაბალი ხელფასი, მშობელთა უმუშევრობა, განათლების კორუმპირებული სისტემა, რამდენიმე ჯანყი, ერთი დიდი რევოლუცია და ბევრჯერ შეწყვეტილი სასწავლო პროცესი. როგორ წარდგებიან ისინი მისაღებ გამოცდებზე? - ამ "საზოგადოდ, ზოგად უნართა ტესტით გამოცდის ჩატარება იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ ავლენს, თუ რამდენად მწყობრი, ლოგიკური აზროვნება აქვს აბიტურიენტს, შეუძლია თუ არა მას მოვლენათა შორის კავშირის დანახვა, ფაქტებისა და არგუმენტების გამიჯვნა, დასკვნის გამოტანა - ამ უნართა გარეშე უმაღლესი განათლების მიღება და პროფესიონალად ჩამოყალიბება შეუძლებელია," - ამბობს საგანმანათლებლო ტესტირების სამსახურის ევროპული ნაწილის ხელმძღვანელი, ჩვენი მთავარი კონსულტანტი სტივენ ბაკერი, რომელთან შეხვედრაც, სამწუხაროდ, არ მოხერხდა. სამაგიეროდ, შევხვდით კონსულტანტებს ისრაელიდან - გილად სოფერსა და სეფი პუმპაინს, რომლებიც ამ საკითხზე მომუშავე ქართულ ჯგუფს ტესტების შექმნის მეცნიერულად გამოკვლეულ და აპრობირებულ მეთოდს სთავაზობენ. მიუხედავად იმისა, რომ განათლების საბჭოთა მიდგომები ინგრევა, როგორც ჩანს, ცნობილ საბჭოთა თეზისს - "სწავლა, სწავლა და სწავლა", ყველა დროისა და განზომილების ყმაწვილები უნდა შეეგუონ.*

**- გაქვთ თუ არა სხვა ქვეყნებში მსგავს პროექტებზე მუშაობის გამოცდილება და რა იყო თქვენთვის საინტერესო საქართველოში მუშაობის პროცესში?**

**სეფი პუმპაინი,** ***ტესტირებისა და შეფასების ისრაელის ნაციონალური ინსტიტუტის ვერბალური ნაწილის ჯგუფის ხელმძღვანელი:***

ჩვენ პირადად, აქამდე მსგავს პროექტში ჩართული არ ვყოფილვართ, მაგრამ ჩვენი ცენტრი ბრაზილიაში მსგავს პროექტში მუშაობდა და ამგვარი გამოცდილება გვაქვს. პირველად საქართველოში ვმუშაობთ და ოპტიმისტურად ვართ განწყობილნი.

**- რაიმე წარმოდგენა გქონდათ აქაურ საგანმანათლებლო სისტემაზე?**

- ბევრი არაფერი ვიცოდით, მაგრამ დაგვხვდა მონდომებული და ძლიერი ჯგუფი, რომელიც საჭირო ეფექტის მისაღწევად ყველაფერს აკეთებს. ამ ჯგუფის წყალობით, შეიძლება ითქვას, რომ გეგმები ბოლომდე მივიყვანეთ.

**- კონკრეტულად რა დაგეგმეთ?**

**გილად სოფერი:** პირველ რიგში, ტესტების ვერბალური ნაწილის ფსიქომეტრული ანალიზის თეორიული ცოდნის გადმოცემა გვსურდა. მეორე მიზანი ტესტების შექმნა და ჩამოყალიბება იყო. ამ გეგმების შესრულებას სამი ვიზიტი დასჭირდა. როცა ჩამოვდიოდით, ვფიქრობდით, რომ ტესტური დავალებების უცხოურიდან თარგმნა გახდებოდა საჭირო, თუმცა უნარების ქართული ჯგუფის დიდი მონდომებისა და მუშაობის შედეგად ორიგინალური ქართული ტესტები შეიქმნა და ეს ძალზე მნიშვნელოვანია.

**- რა სპეციფიკის არის ქართული ტესტები?**

- ტესტის პირდაპირი მიზანი უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარებისას აბიტურიენტის შესაძლო წარმატების პროგნოზირებაა. ტესტი ვერბალურ (ანუ, სიტყვიერ) და მათემატიკურ ნაწილებად იყოფა. ამ უკანასკნელში ელემენტარული რაოდენობრივი აზროვნების გამოვლენა იგულისხმება. მნიშვნელოვანია, რომ ამ ტესტის ქართული ვერსია ისრაელში გამოყენებული ანალოგიისგან განსხვავდება. როგორც ჩანს, გამოცდების ფორმატიც განსხვავდება, რადგან იქ მომავალ სტუდენტებს მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტში და არც ერთ სხვა საგანში არ ცდიან. ამ ტესტში მიღებული ქულები ატესტატის ქულებთან ჯამდება. გამოცდილებამ აჩვენა, რომ ასეთი მიდგომა უმაღლესში სწავლის პირველი სასწავლო წლის შედეგების პროგნოზირებისთვის ყველაზე ეფექტურია. საქართველოში ეს მოდელი არ გამოდგებოდა, რადგან სკოლებში სწავლის ხარისხი განსხვავებულია და შედეგიც არ იქნებოდა სტანდარტიზებული.

თავად ვერბალური ნაწილიც რამდენიმე ქვეტესტისგან შედგება და ყოველ მათგანს კონკრეტული ფუნქცია აქვს.

**სოფო დოლიძე,** ***ზოგადი უნარების ტესტის შემქმნელი ჯგუფის ხელმძღვანელი:*** ტესტების შესადგენი მეთოდების ნაწილი ამერიკულიდან არის აღებული, ხოლო ნაწილი - ევროპულიდან. რაოდენობრივ ნაწილში კონსულტანტი ამერიკიდან გვყავს, ხოლო ვერბალურ ნაწილში - ისრაელიდან. ჩვენი ამოცანა საერთაშორისო გამოცდილების პრინციპების დაცვა იყო. თავად ტესტები შინაარსობრივად, არც თარგმნილია და არც ადაპტირებული, ეს ორიგინალური, ქართული დავალებებია. ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ ყველა მოცემული დავალება საქართველოს მოსწავლეებზეა გამოცდილი. მაისში, ივნისში, ოქტომბერსა და დეკემბერში თბილისის სახელმწიფო სკოლებში და ფასიანი და სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების პირველკურსელებში კვლევები ჩავატარეთ. ვიმუშავეთ რეგიონებშიც - გორში, თელავში, სიღნაღში, ბათუმსა და ქუთაისში. გვინდოდა ტესტი აუცილებლად საშუალო სირთულისა ყოფილიყო და ასე იქნება ყოველ წელს. თუ მოსწავლეები უნარების მხრივ გაძლიერდებიან და სკოლები ამაზე იქნებიან ორიენტირებულნი - ტესტების სირთულეც მოიმატებს. წელს იქნება საკმაოდ რთული დავალებებიც, რომელსაც აბიტურიენტების მხოლოდ 10-15 პროცენტი ძლევს და იქნება ძალიან მარტივი დავალებები - ისეთები, რომელთაც აბიტურიენტთა 80-90 პროცენტი გაართმევს თავს.

**სეფი პუმპაინი:** ტესტის ვერბალურ ნაწილზე დისკუსიები დიდხანს მიმდინარეობდა. ნელნელა მივხვდით, რომ ისრაელში შექმნილი ტესტების ანალოგიები საქართველოსთვის შესაფერისი თუნდაც ორ ერს შორის კულტურული განსხვავებიდან გამომდინარე არ იქნებოდა და პირიქითაც - საქართველოში შექმნილი ვერსია ისრაელისთვის არ იქნებოდა გამოსადეგი.

**გილად სოფერი:** იყო ისეთი დავალებებიც, რომელთაც ჯგუფის წევრები ადვილად ხსნიდნენ, ჩვენ კი - გვიჭირდა. ეს, ალბათ, იმითაც აიხსნება, რომ საქართველოსა და ისრაელში სხვადასხვაგვარად აზროვნებენ. ჩვენ ჯგუფს შევთავაზეთ რაციონალური და თეორიული სამუშაო ჩარჩო, ბაზა, რომლის საფუძველზეც ის კონკრეტული დავალებები უნდა შეექმნათ, რომელიც ყველაზე მისაღები იქნებოდა ქართული საზოგადოებისთვის.

**- რას იტყვით, როგორი იქნება ის გამოშვება, ვინც მისაღებ გამოცდებს ამ ტესტით ჩააბარებს და ამ პრინციპებით ისწავლის?**

**გილად სოფერი:** ჩვენ არ ვიცით, როგორი იყო წინა გამოშვებები და, ალბათ, შედარებას ვერ შევძლებთ. იმის თქმა შეგვიძლია, თუ რა იქნება სამომავლოდ - შეირჩევიან ღირსეულები და უმაღლეს სასწავლებლებში საუკეთესონი განაგრძობენ სწავლას. დარწმუნებულები ვართ, რომ ტესტები კარგად არის შედგენილი, მაგრამ დროთა განმავლობაში არც გარკვეული ცვლილებებია გამორიცხული. ეს არის საკმაოდ რთული და დროში გაწელილი პროცესი.

**სეფი პუმპაინი:** ამ ჯგუფის პროფესიონალიზმში დარწმუნებული ვართ და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებებს თამამად ვანდობთ. ტესტი სამართლიანი და სანდოა. აქ არ არის ე.წ. ღია ბოლოიანი პასუხები, ანუ, როდესაც 4 პასუხიდან ერთია სწორი და ამას გამსწორებელი ამოწმებს. ზოგადი უნარების ტესტებს გამსწორებელი არ შეამოწმებს. ფურცლებს სკანერზე გადაიღებენ და კომპიუტერული სისტემა შეაფასებს.

**- როგორ შეხვდენ აბიტურიენტები ახალ მეთოდს?**

**სოფო დოლიძე:** უფრო ინტერესით და ხალისით, ვიდრე მათი მშობლები. ისე, საკმაოდ ბეჯითი შრომა სჭირდება, რადგან ეს 100-დავალებიანი ტესტია.

იმისთვის, რომ აბიტურიენტი მისაღები გამოცდებისთვის მოემზადოს, არსებობს ნიმუშთა კრებულები მათემატიკაში, უცხო ენებისა და ქართულისთვის. ზოგადი უნარების ტესტისთვის მსგავსი კრებული, დაახლოებით, მარტის დასაწყისისთვის ისევ გამოვა. აქ იქნება 140 დავალება და აბიტურიენტს ამ წიგნის საშუალებით მომზადება შეეძლებათ. ტესტები მხოლოდ თანამედროვე ბავშვების მონაცემებზე დაყრდნობით კეთდება.

**- ჩვენს სკოლებში სწავლა დიფერენცირებულია - ზოგან სუსტად ასწავლიან, ზოგან ძლიერად. სუსტებისთვის დამცავი მექანიზმი დევს?**

- ეს უნარები ყველა ბავშვს აქვს. თუ, ვთქვათ, მათემატიკაში არ იცის, როგორ უნდა გამოიყვანოს პროცენტი და სხვა - ამისთვის მას აქვს კრებული, რომელშიც ყველა საკითხია მოცემული თავისი განმარტებებით. მას შეუძლია დაჯდეს, მოემზადოს და შეივსოს დანაკლისი ბაზისურ წიგნიერებაში.



*სეფი პუმპაინი:* მივხვდით, რომ ისრაელში შექმნილი ტესტების ანალოგიები საქართველოსთვის შესაფერისი, თუნდაც ორ ერს შორის კულტურული განსხვავებიდან გამომდინარე, არ იქნებოდა.



*გილად სოფერი:* შეირჩევიან ღირსეულები და უმაღლეს სასწავლებლებში მხოლოდ საუკეთესონი განაგრძობენ სწავლას.



*სოფო დოლიძე:* ტესტები შინაარსობრივად, არც თარგმნილია და არც ადაპტირებული. ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ ყველა დავალება საქართველოს მოსწავლეებზეა გამოცდილი.




## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
ჟან-ჟაკ ბრიკერი, მორის ლესაგი
"ინსტიქტი"
რეჟისორი: ოთარ ეგაძე
დას: 20:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
ლაშა ბუღაძე
"ნუგზარი და მეფისტოფელი"
რეჟისორი: გიორგი თავაძე
ფასი: 3 და 5 ლარი
დას: 19:00 სთ.

## კინოთეატრები

**რუსთაველი**
"ნიუ იორკის ტაქსი"
დას: 13:00; 18:00; 20:00; 22:00 სთ.

"განრისხებული"
დას: 15:00 სთ.

**ამირანი**
"ბრიჯიტ ჯონსი 2"
დას: 14:30 სთ.

"შეხვედრა ფაკერებთან"
დას: 12:00; 17:00; 19:30; 22:00 სთ.
ფასი: 7-დან 10 ლარამდე.

## გამოფენები

**საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
გამოფენა "შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება"

**თბილისის ისტორიის მუზეუმი "ქარვასლა"**
"ქარვასლასა" და სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში დაცული ექსპონატთა გამოფენა

**ჰობი**
ელდარ ქავშბაიას ნამუშევართა პერსონალური გამოფენა
"დახურული ქოლგები"
I დარბაზი

თანამედროვე ქართველ მხატვართა ნამუშევრების
გამოფენა (ფერწერა)
II დარბაზი

**სურათების ეროვნული გალერეა**
კავკასიური ნაივური მხატვრობა

**ვერნისაჟი**
ელენე ახვლედიანი და ქეთევან მაღალაშვილი კერძო კოლექციებიდან.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* ***culture@24hours.ge***

# პრემიერა ახლოვდება

## უნდა ვიცოდეთ, რის საფუძველზე შევქმნათ ახალი

სოფო კილასონია

*მისი დებიუტი და მისი პირველი "ბალ-მასკარადი" 1989 წლის 14 იანვარს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სცენაზე შედგა. ეს გამოსვლა ნოდარ ანდღულაძემ ნინო ანანიაშვილის სცენაზე გამობრწყინებას შეადარა. ის დღე დაუვიწყარი გამოდგა ნუგზარ გამგებლისთვის. პედაგოგის ასეთი შეფასება-შედარება კი დღემდე მეტად საამაყო და სასიამოვნოა. მსგავსი ლამაზი მოგონება ბევრი აქვს ახლა უკვე ვალერიანო გამგებელს, იმდენად ბევრი და მომხიბვლელი, რომ, როგორც თვითონ ამბობს, მთელი სიცოცხლე ეყოფა.*


იური ლობოდინის ფოტო

თბილისის სცენაზე დებიუტიდან სამი წელი გადის და ნუგზარ გამგებელი ბარსელონაში ფრანცისკო ვინიასის სახელობის ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსის გრან-პრის მფლობელი ხდება. ამ გამარჯვებას მოჰყვა პამპლონაში ხულიო გაიარეს სახელობის საერთაშორისო კონკურსზე მოპოვებული ლაურეატის წოდება და ხოსე კარერასის სპეციალური პრემია საუკეთესო ტენორისთვის. შემდეგ მადრიდში ავონსოს სახელობის საერთაშორისო კონკურსი, პირველი პრემია და დამსახურებული კონტრაქტი მადრიდის თეატრთან. **"ესპანელები ეჭვით უყურებენ ყველა უცხოელს, ვინც მათ საყვარელ სარსუელის ჟანრს შეეხება. არალათინურენოვანნი მას იშვიათად მღერიან. ამიტომ ჩემთვის დიდი ამოცანა იყო, რომ მაშინ, ესპანური ენის უცოდინარს, ღირსეულად შემესრულებინა იგი. ამ ამოცანას მშვენივრად გავართვი თავი. დარბაზიდან ხმა მოდიოდა: ეს უცხოელი, იტალიელი, ყველაზე საუკეთესოა ჩვენს დასშიო, - ვერ გაერკვიათ, საიდან ვიყავი. ასეთი მოგონება ბევრი მაქვს, რადგან ბევრი წარმატება მქონია." -** იხსენებს ვალერიანო გამგებელი.

ალბათ, სწორედ ამ წარმატებებმა გამოიწვია ის, რომ ქართველმა ტენორმა საბოლოო არჩევანი ესპანეთზე შეაჩერა. როგორც თავად მითხრა, ხალხმა მალე გაიცნო იგი და თავადაც კარგად შეეთვისა იქაურობას. ნუგზარ გამგებელი დღესაც მადრიდში მოღვაწეობს და ცხოვრობს საკუთარ ოჯახთან ერთად, თუმცა სხვადასხვა თეატრის სცენაზე გამოდის, მათ შორის რომის ოპერის თეატრში, სადაც 2001 წლიდან მიწვეული სოლისტია.

1995-1996 წლებში გამგებელი ალფრედო კრაუსის ხელმძღვანელობით სრულყოფს საკუთარ ვოკალურ ტექნიკას. **"1995 წელს დიდმა ესპანელმა ტენორმა ალფრედო კრაუსმა თავის საუკეთესო საზაფხულო მასტერკლასზე მიმიწვია. შეუძლოდ ვგრძნობდი თავს, გაციებული ვიყავი და ისე ვერ ვაჩვენე საკუთარი შესაძლებლობები, როგორც საჭირო იყო. მერე მადრიდში დავიწყე მეცადინეობა, საკუთარ თავზე მუშაობა."** ამის შემდეგ გამგებელს შემოქმედებითი პაუზა თითქმის არ ჰქონია. ერთიმეორის მიყოლებით ასრულებდა ახალ-ახალ პარტიებს, სწრაფად ფართოვდებოდა მისი რეპერტუარი. 1997 წელს კატალონიის თეატრში შედგა გამგებლის დებიუტი (ხოზეს პარტია) ბიზეს "კარმენში". შემდეგ წარმატებით გამოდის ბერლინის საოპერო სცენაზე ჰერცოგის პარტიით ოპერაში "რიგოლეტო". აქედან მოყოლებული, ვალერიანო გამგებლის შემოქმედებას ფართოდ ეცნობა ესპანეთის, საფრანგეთის, პორტუგალიის, იტალიის მსმენელი, სადაც ასრულებს მთავარ პარტიებს ოპერებში: "ტოსკა", "ნაბუქო", "სოფლის პატიოსნება", "ბოჰემა", ასევე ტენორის პარტიებს ვერდისა და მოცარტის რეკვიემში და ბეთჰოვენის მე-9 სიმფონიაში.

2002 წელს პარმაში, ფონტანელოს ფესტივალზე წარმოდგენილ "აიდაში" შესრულებულმა რადამესის პარტიამ ვალერიანო გამგებელს იტალიელ მსმენელთა და კრიტიკოსთა დიდი აღიარება მოუტანა. მის რეპერტუარში, ასევე, დიდი ადგილი უკავია ბეთჰოვენის "ფიდელიოს", ალბენინის "მერლინს", მასნეს "ტაისსა" და სხვებს.

**ღმერთმა მიბოძა ჟინი, ტალანტი, ხმა და ის პედაგოგები, რომლებიც ჩემს ირგვლივ მუდამ ტრიალებდნენ. თავის დროზე ჩემს გვერდით აღმოჩნდა გოჩა ბეჟუაშვილი, რომელიც ძალიან დამეხმარა, აღმედგინა ჩემი ხმა სამხედრო სამსახურის შემდეგ, ნოდარ ჯაფარიძე და ნოდარ ანდღულაძე, რომლის სახელთანაც არის დაკავშირებული ჩემი წარმატებები, ჩემი განვითარება, როგორც ვოკალური, ისე ადამიანური. ჩვენ ცხოვრება ვისწავლეთ ნოდარ ანდღულაძის სახლში, "სანტა ჩეჩილიას კონსერვატორიაში," როგორც მას ლადო კანდელაკი უწოდებს, -** მიპასუხა ნუგზარ გამგებელმა, როცა მას წარმატებათა მთავარი მიზეზების ჩამოთვლა ვთხოვე.

ჩვენი საუბარი თბილისის ოპერის თეატრსა და მის რეფორმებსაც შეეხო. აღმოჩნდა, რომ ვალერიანო გამგებელსაც ისევე უხარია თეატრში მიმდინარე პროცესები, როგორც საგასტროლოდ ჩამოსულ სხვა ქართველ შემსრულებლებს: **"სულითა და გულით მივესალმები ამ გარდაქმნებს. ეს პროცესი ძალიან მტკივნეულია, თუმცა გარდაუვალი. ამის გარეშე თაობათა ცვლა არ მოხდება. ერთადერთი, რაც ოდნავ მაშინებს, ისაა, რომ ახალგაზრდა თაობამ არ მოსპოს ის საუკეთესო, რაც ძველ თაობას ჰქონდა. თუ ჩვენ გავიგებთ, რის საფუძველზე შევქმნათ ახალი, მაშინ ვიქნებით ვაჟკაცები, მთავარი ესაა. თუ არა და, შეიძლება ისიც დავანგრიოთ, რაც გვაქვს და ახალიც ვერაფერი შევქმნათ. მეტი სიფრთხილეა საჭირო ამ თემასთან დაკავშირებით, მაგრამ, ვფიქრობ, გზა, რომელსაც თეატრის ახალი ხელმძღვანელობა ადგას, ნამდვილად სწორია. მიხარია, რომ ჩვენს თეატრში მოვიდა დავით საყვარელიძე - ახალი იდეებითა და ახლებური გეგმებით, ზაზა აზმაიფარაშვილი - უნიჭიერესი პიროვნება, დიდი ტრადიციების მქონე ადამიანი. მას მხარში დგომა სჭირდება და სულ მალე გავიგებთ, რა შეუძლია მის ხელსა და ტალანტს..."**

საუბრის ბოლოს ბატონმა ნუგზარმა მოკლედ მიამბო ევროპის საოპერო ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებზე. იგი ამაყობს, რომ მთელ ევროპაში, დიდ თუ პატარა სცენებზე, ქართველთა ხმები ისმის და იტალიური ტრადიციების შენარჩუნებას საქართველო უკეთ ახერხებს, ვიდრე თავად იტალია. **"მე ყოველთვის დიდი პასუხისმგებლობით გამოვდივარ ჩვენს სცენაზე. ევროპაში ისეთი დონე აღარ არის, როგორიც იყო და რითიც ბრწყინავდა ოპერის ჟანრი. სამწუხაროდ, უკვე დიდი ხანია, ის დეგრადაციის გზას დაადგა. სწორად არ მართავენ ამ დარგს. იმისთვის, რომ შეისწავლო ვოკალი, ჩვენი სკოლა მშვენიერია. იტალიას დღეს სახელი დარჩა მხოლოდ, აქ მეტის სწავლა შეიძლება. საქართველო უკეთესად ინახავს იტალიურ ტრადიციებს. სხვათა შორის, თავის წიგნში ნოდარ ანდღულაძე ამბობს, რომ სხვა ერის წარმომადგენლები უფრო კარგად ინახავენ იტალიურ ტრადიციებს, ვიდრე თავად იტალიელები. სამწუხაროდ, ასეა. თუმცა, შესაძლოა, ჩვენდა სასიხარულოდ. რამდენი მომღერალი მისცა პატარა საქართველომ ევროპას? ისინი სხვადასხვა არენაზე გავიდნენ, ყველამ თავისი გზა მონახა, დიდ თუ პატარა სცენაზე, ყველგან ისმის მათი ხმები. ეს ძალიან კარგია."** - შესაძლოა, ამ მოსაზრებას ბევრი არ დაეთანხმოს, ზოგიც დაეჭვდეს. თუმცა, ისინი, ვინც ამ ბოლო დროს იტალიელ გასტროლიორთა შესრულებით გამართულ სპექტაკლებზე ბრძანდებოდნენ ან ევროპაში მოღვაწე ქართველთა წარმატებების შესახებ კარგად მოეხსენებათ, სანამ საკუთარ პოზიციას დააფიქსირებენ, ჩემი რესპონდენტის ამ მოსაზრებას ნამდვილად ჩაუფიქრდებიან. თუმცა, ნუ ავჩქარდებით, დაველოდოთ 4, 5 და 8 თებერვალს, ვერდის "აიდას" სპექტაკლებს, რომელშიც ვალერიანო გამგებლის გვერდით შვიდი ქართველი გასტროლიორი, ჩვენი თეატრის განახლებული დასი, ორკესტრი და თეატრის სხვა სოლისტები წარდგებიან მაყურებლის წინაშე და დასკვნები, მით უფრო, რადიკალური, შემდეგ გავაკეთოთ.

*მოკლედ*

# მორიკონე თბილისს ეწვევა



"თბილისში წელს ჩამოვა ლეგენდარული იტალიელი კომპოზიტორი ენიო მორიკონე", - განაცხადა გუშინ თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის გენერალურმა დირექტორმა დავით საყვარელიძემ. ამჟამად ოპერის თეატრსა და მორიკონეს შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობს; კომპოზიტორი, სავარაუდოდ, მაისში ან შემოდგომაზე ესტუმრება საქართველოს. მუსიკოსი ოპერის თეატრის ორკესტრთან ერთად საკუთარ ნაწარმოებებს შეასრულებს.

ენიო მორიკონე 1928 წელს რომში დაიბადა. ავტორია ისეთი ცნობილი ფილმების მუსიკისა, როგორიცაა: "ერთხელ ამერიკაში", "საჰარა", "წითური სონია", "მგელი", "რვაფეხა" და სხვა. ***ინტერ-პრესი***

# ფოთის თეატრის დირექტორი გარდაიცვალა

გუშინ ფოთში 50 წლის ასაკში ინფარქტით გარდაიცვალა ქალაქის თეატრის დირექტორი ალექსანდრე ჯანელიძე. ალექსანდრე ჯანელიძე ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორად ბოლო 17 წელი მუშაობდა. ***მედია ნიუსი***

# გამოხმაურება გასტროლებზე

როგორც ცნობილია, ნინო ქათამაძე და ჯგუფი "ინსაითი" გასტროლებზე გაემგზავრნენ. კონცერტები დაგეგმილია მოსკოვში, უკრაინასა და შვეიცარიაში. პირველ კონცერტს ნინო ქათამაძე "ინსაითთან" ერთად კლუბ "16 ტონში" გამართავს. რუსეთში უკვე გამოეხმაურნენ ქართველი მუსიკოსების სტუმრობას. გთავაზობთ ნაწყვეტს მოსკოვური ონლაინ-პრესიდან: "ქართველმა ჯაზ-ქალბატონმა ნინო ქათამაძემ და მისმა ჯგუფმა "ინსაითმა" თავისი გამორჩეული, ერთდროულად გულიანი და რთული განწყობის ემოციური სიმღერებით გაითქვეს სახელი. ქართული ტექსტი სიმღერებს რბილ ფსიქოდელიურობას აძლევს, მშობლიური და გასაგებია მათთან ყველაფერი. ნინო აჭარაში დაიბადა. ამ მხარის სილამაზე ჩადებულია მის ხასიათსა და მდიდრულ ვოკალში, რაც მის შემოქმედებას შთამბეჭდავს ხდის. გრძნობების სიღრმიდან ამოვარდნილი ვოკალი ქარიშხალივითაა. სამოყვარულო სცენაზე გამოსვლას ნინო ბათუმის მუსიკალურ სასწავლებელში შესვლისთანავე იწყებს. პროფესიული კარიერა 1999 წელს "ინსაითის" დამაარსებელთან და ნიჭიერ მხატვართან გოგი ყაჭეიშვილთან თანამშრომლობისას იწყება. წარმატებები თან სდევს; ამ წარმატებების კულმინაცია კი 2002 წელს დგება: ნინო დიდ ბრიტანეთში საქართველოს დღეებზე, ფესტივალზე გამოდის; კონცერტზე მსმენელი ექსტაზით ჰყვება მის კომპოზიციებს. 2002 წელს ნინო ქათამაძისთვის მოაქვს ევროპული აღიარება, პრემიები, პრესტიჟული რადიოეთერი. მოსკოვში ნინო ცოტა ხნის წინათ გაიცნეს, მაგრამ მომღერალმა მოასწრო გამოსვლა დედაქალაქის საუკეთესო კლუბებში. ქართული ფოლკლორისა და ჯაზური იმპროვიზაციების არაჩვეულებრივი მიქსი ჯგუფ "ინსაითის" პროფესიონალი მუსიკოსების მიერ სრულდება და ჰარმონიულად ერწყმის ნინოს ვოკალს."


ლევან ხერხეულიძის ფოტო

როგორ ელიან ნინო ქათამაძესა და "ინსაითს" უკრაინასა და შვეიცარიაში, ან როგორ შთაბეჭდილებას მოახდენენ ქართველი მუსიკოსები ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ევროპაში, ამის შესახებ მოგვიანებით.

# გარეპებული რეალობა

## შავკანიანები მუსიკაში

შორიდან ძნელია, ამერიკულ პოპ-მუსიკაში მიმდინარე ცვლილებებზე მსჯელობა. თუმცა, მუსიკალური ტელეარხების შინაარსი გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. სწორედ ამ არხებზე დაყრდნობით, პლუს კომპაქტდისკების გაყიდვების მაჩვენებლებით, ჟურნალი "ბილბორდი" ადგენს შემდეგს: ბოლო პერიოდში რეპმა და ჰიპ-ჰოპმა ამერიკულ კულტურაზე უპრეცედენტო გავლენა მოიპოვა.

ამის დასტური იქნება "გრემის" 47-ე ცერემონიალიც, რომელიც 13 თებერვალს ლოს ანჯელესში, სტეიპლზის ცენტრში გაიმართება. მართალია, რეპერებს წინათაც მოუპოვებიათ პრიზები წამყვან კატეგორიებში, მაგრამ ახლა საქმე სულ სხვაგვარადაა. ახლა კეინი უესტი ათ ნომინაციაში ლიდერობს. მას ფეხდაფეხ მოსდევენ აშერი და ალიშა ქიზი, ორივე - რვა-რვა ნომინაციით.

რაც მთავარია, სამივე მათგანი წარდგენილია "გრემის" უმთავრეს ჯილდოზე - წლის ალბომზე. ასეთი რამ ამერიკის ხმის ჩამწერი აკადემიის ყოველწლიურ ცერემონიალზე კი პირველად ხდება. ანუ, აშერი, უესტი და ქიზი გახლავთ პირველი ურბანული ტრიო, რომელიც მთავარი "გრემისთვის" იბრძოლებს.

საგულისხმოა ისიც, რომ სამივე ალბომი მილიონობით ეგზემპლარითაა გაყიდული. "ნილსენ საუნდსქენის" მონაცემებით:

აშერის Confessions - 8.2 მილიონი ეგზემპლარი;

ქიზის The Diary of Alicia Keys - 3.9 მილიონი ეგზემპლარი;

უესტის The College Dropout - 2.5 მილიონი ეგზემპლარი.

"ის, რომ რიტმ-ენ-ბლუზისა და ჰიპ-ჰოპის შემსრულებლები "გრემის" ნომინაციებში ლიდერობენ, ცალსახად მეტყველებს მსოფლიო მუსიკალური გემოვნების შეცვლაზე. აშკარაა, რომ ამერიკას დანარჩენებიც უბამენ მხარს. მსოფლიო თითქოს გარეპებულია. ეს ის მუსიკა გახდა, რომლითაც ვცხოვრობთ და რომლითაც ვსუნთქავთ. ის ყველგანაა: რადიოში, "ემ ტი ვი"-ზე, ტელერეკლამებში, ფილმების თანმხლებ ალბომებში", - აცხადებს ხმის ჩამწერი კომპანია "ვირჯინ რექორდსის" ურბანული მუსიკის განყოფილების პრეზიდენტი ჯერმენ დუპრი.

ხმის ჩამწერი კომპანია "ბი ემ ჯი"-ს ხელმძღვანელი ქლაივ დევისი კი დასძენს, რომ ასეთ აშკარად გამოკვეთილ ტენდენციას საფუძველი თავის დროზე ფი დიდიმ, ლორენ ჰილმა, "აუთქასთმა" და "ფუჯიზმა" ჩაუყარეს: "ეს ერთდროულად ევოლუციური და რევოლუციური პროცესი იყო, რომელმაც კულმინაციას წელს მიაღწია".

კულმინაციური მომენტის შემადგენელი ნაწილია "გრემიც". კომპანია "ზომბა ლეიბლის" ხელმძღვანელი ბერი ვეისი ფიქრობს, რომ "გრემის" გემოვნება უკვე რეალურად ასახავს თანამედროვე მსმენელის გემოვნებას:

"გრემის" დროს მთავარი ფსონი ყოველთვის როკ-ენ-როლზე კეთდებოდა ხოლმე და არა შავკანიანების მუსიკასა და ჰიპ-ჰოპზე. ახლა კი სახეზეა კულტურის მეტამორფოზა. ბოლოს და ბოლოს, "გრემის" ამომრჩეველი რიტმ-ენ-ბლუზსა და ჰიპ-ჰოპს ისევე აღიარებს, როგორც აღიარებს ბრიუს სპრინგსტინის შემოქმედებას".

ანუ, "გრემი" შავკანიანთა მუსიკასთან შეხვედრაზე თვითონ წავიდა. პირველი ნაბიჯი გაბედულად გადადგა და წლევანდელ კატეგორიებს კიდევ რამდენიმე ნომინაცია დაუმატა:

"საუკეთესო თანამედროვე რიტმ-ენ-ბლუზის ალბომი (რიტმ-ენ-ბლუზისა და ჰიპ-ჰოპის ჰიბრიდული პროექტებისთვის)";

"საუკეთესო ურბანულ/ალტერნატიული შესრულება";

"რეპ/სიმღერის "საუკეთესო თანამშრომლობა";

და "საუკეთესო სიმღერა რეპში".

"ყველანაირად ვეცადეთ დავკონტაქტებოდით რიტმ-ენ-ბლუზი/რეპის დაჯგუფებებს. უამრავი გემოვნების ადამიანი დავიქირავეთ, უამრავი მუსიკალური ჟანრის წარმომადგენელი და მსმენელი, რათა უკვეთ დაგვენახა ის, რისი დანახვაც საჭიროა", - ასე ახსნა ხმის ჩამწერი აკადემიის პრეზიდენტმა ნილ პორტნოუმ ახალი ინიციატივები.

გამოდის, რომ წელს დაჩაგრული და უკმაყოფილო არავინ იქნება. რასაც ვერ ვიტყვით შარშანდელზე. თუ 2004 წელს წლის ალბომი "აუთქასთის" კრებული გახდა, სამაგიეროდ დაიჩაგრა 50 ცენტი, რომელიც ამ ნომინაციაზე უსამართლოდ არ იყო წარდგენილი. "აუთქასთის" გარდა კი იგივე ტიტულისთვის ერთადერთი რეპერი - მისი ელიოტი იბრძოდა თავისი დისკით Under Construction.


ლორენ ჰილი - პირველი მასშტაბური გარღვევა "გრემიზე"


ფი. დიდი - "გრემის" შავკანიანი ვარსკვლავი.


აშერი და ლუდაკრისი.


ელიშა ქიზი 2005 წლის "გრემიზე" ტრიუმფის გამეორებას ელის.

თუმცა, რიტმ-ენ-ბლუზი/რეპისა და "გრემის" ურთიერთობა მხოლოდ 90-იანი წლებით არ შემოიფარგლება. 1973 წელს სეზონი სტივი უანდერმა გახსნა. მისი Innervisions წლის საუკეთესო ალბომი გახდა. შემდეგ წლებში იგივე ტიტული მოიპოვა მისმა ორმა ალბომმა: Fulfillingness' First Finale (1974 წ.) და Songs in the Key of Life (1976 წ.).

უანდერის შემდეგ რიტმ-ენ-ბლუზი/რეპის სამყაროდან პირველი დიდი გარღვევა ბიონსეს ეკუთვნოდა. შარშან მან ხუთი სტატუეტი წაიღო შინ, განსხვავება უბრალოდ ის იყო, რომ მისი ჯილდოები ადგილობრივ - რიტმ-ენ-ბლუზი/რეპის სფეროებს ვერ გასცდა.

ცალკე თემაა ალიშა ქიზი და ინდი არი. 44-ე "გრემის" ცერემონიალზე, 2002 წელს, რიტმ-ენ-ბლუზის საკმაოდ მრავალრიცხოვან ამალას (მერი ჯი. ბლაიჯი, აშერი) არი ედგა სათავეში. თუმცა, მან შვიდი კატეგორიიდან ვერც ერთში ვერ მოიპოვა ჯილდო. სამაგიეროდ ჟანრი ასახელა ალიშა ქიზმა - 2002 წელს მან ხუთი "გრემი" მიიღო, მათ შორის "წლის სიმღერა" და "წლის ახალი შემსრულებელი".

თუმცა, ეს ცალკეული შემთხვევებია. მუსიკის ისტორიკოსები კი ცდილობენ ზუსტად აღადგინონ ის მომენტი, როცა რიტმ-ენ-ბლუზი მუსიკალურ მეინსტრიმში მოექცა. ზოგი ზუსტ თარიღად 1997 წელს და ფი დიდის გამარჯვებას ასახელებს. რეპერმა მაშინ "გრემი" ნომინაციაში - დუეტის ან ჯგუფის მიერ საუკეთესო რეპ-შესრულება - მიიღო სიმღერისთვის I'll be Missing You ფეით ევანსთან და 112-თან ერთად. ასევე დაჯილდოვდა "გრემით" საუკეთესო რეპ-ალბომისთვის No Way Out.

კრიტიკოსთა ნაწილისთვის კი, რიტმ-ენ-ბლუზის მეინსტრიმში მოქცევას ლორენ ჰილს უნდა ვუმადლოდეთ. ფი დიდის შემდეგ, 1999 წელს ათი ნომინაციიდან ხუთი ჯილდო მოიპოვა. შესაბამისად, მისი ალბომი The Miseducation of Lauryin Hill რეპ/ჰიპ-ჰოპის ნამდვილ გარღვევად გამოცხადდა.

ასეა თუ ისე, გარღვევა სახეზეა და წლევანდელი "გრემიც" ყველაზე ფერადკანიანი იქნება. ეს, ცხადია, თავში ნახსენებ მილიონობით გაყიდული ეგზემპლარების რიცხვს კიდევ უფრო გაზრდის. მიღწეულით ხომ რეპერები არ კმაყოფილდებიან. აშერის პრეს-აგენტი ამბიციურად აცხადებს - "მისი დისკები დიდი წარმატებით საღდება, მაგრამ ხომ ცხოვრობენ სადმე ბოიზეში ან დი მოინში ახალგაზრდები, რომელთაც არჩევანი აშერზე ჯერაც არ შეუჩერებიათ? "გრემის" პრიზები სწორედ მათ დაეხმარება აშერის არჩევაში".

რეზიუმეს სახით კი მუსიკალური ინდუსტრიის ვეტერანი კლარენს ავანტი დასძენს:

"მსოფლიო იცვლება. შავკანიანთა მუსიკა წამყვანი ხდება. რასაც ვერ ვიტყვით წარსულზე. იყვნენ ლუი არმსტრონგები და დიუკ ელინგტონები, მაგრამ საუკეთესო ულუფა სწორედ ბენი გუდმენებსა და დანარჩენებს ერგებოდათ ხოლმე. თუ როკ-ენ-როლიდან გავიხსენებთ მაგალითებს, იქაც იგივე სიტუაცია იყო: მოღვაწეობდნენ ჩაკ ბერი და ლიტლ რიჩარდი, მაგრამ ელვის პრესლი მაინც უსწრებდათ. ახლა ძალიან მიხარია, რომ ყველაფერი შეიცვალა. "გრემიმ" ეს მუსიკა დიდ სცენაზე გაიყვანა. რეპი და ჰიპ-ჰოპი მუსიკალურ სამყაროში გადამწყვეტი ფაქტორი გახდა".

მოკლედ, 13 თებერვალს "გრემი" შავკანიანთა მუსიკის ზეიმად გადაიქცევა. დიდი გამარჯვებული სავარაუდოდ კეინი უესტი იქნება.

მანამდე კი, კიდევ ერთი ახალი ამბავი ვრცელდება. "გრემის" კონცერტს ნეო-სოულ როკ-ჯგუფი "მარუნ 5" გახსნის. "ალბათ This Love-ს ვიმღერებთ, თუ ბოლო წუთში არ გადაიფიქრეს და არ გვითხრეს, კარგი, მაშინ Superfreak-ს შეასრულეთო", - ამბობს მომღერალი ადამ ლევინი.

მართალია, წლევანდელ "გრემიზე" რეპერები და ჰიპ-ჰოპერები არიან მთავარ როლში, მაგრამ "მარუნ 5"-მაც მოახერხა ორ ნომინაციაში გასვლა. ბიჭების სადებიუტო ალბომიდან Songs About Jane უკვე რამდენიმე სიმღერაა გაჰიტებული. თვითონ დისკი გამოსვლის დღიდან - 2002 წლის ივნისიდან რვა მილიონი ეგზემპლარითაა გაყიდული. 2004 წელს კი ის ბესტსელერი ალბომების ნუსხაში მეშვიდე ადგილზე იყო.

ასე რომ, ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ 13 თებერვალს და ვნახოთ, შედგება თუ არა ლექსსენის ამერიკელი კოლეგების ტრიუმფი.

---

დათო ტურაშვილის სვეტი

## ყოველ სამშაბათს



SMS

### მოკლე ტექსტური შეტყობინება

(მათთვის, ვისაც მობილური ტელეფონი გააჩნია)

ნამდვილად არ მეგონა, თუ საქართველოში ამდენ ადამიანს გააკვირვებდა ის, რაც ჩემთვის სრულიად ნათელია და ქვეყანაში, სადაც ასე ხშირად ლაპარაკობენ წარსულსა და საკუთარი ისტორიის ბრწყინვალებაზე, არ ეცოდინებოდათ ამ ისტორიის დასაწყისი. მართალია, უკანასკნელი ორასი წლის მანძილზე და განსაკუთრებით კი საბჭოთა პერიოდში (გასაგები მიზეზების გამო), ეთნოგენეზისის საკითხებზე საუბარსაც კი მონდომებით ერიდებოდნენ, მაინც ვერ წარმოვიდგენდი, რომ აუცილებელ ცოდნას, ასეთი მანძილით დავშორდებოდით. საკუთარი წარმომავლობის ცოდნა კი, ჩვენის ღრმა რწმენით, სწორედ რომ აუცილებელია და მით უმეტეს, დღევანდელ საქართველოში; ქვეყანაში, რომელსაც კიდევ ერთხელ მიეცა შანსი, დაუბრუნდეს დედაევროპას და შემიძლია გულწრფელად ვაღიარო, რომ ეს ტერმინი, ჩემი მოგონილია. თუმცა, დანარჩენი, არაფერი მომიგონებია და ჩვენ, ქართველები, ნამდვილად ვეკუთვნით იბერიულ ცივილიზაციას და უძველესი ევროპელების შთამომავლებიც ვართ. ღმერთმა დამიფაროს და საკმაოდ შორსა ვარ ურაპატრიოტიზმისაგან, მაგრამ ნებისმიერმა ქართველმა, ნებისმიერი ქართველი (და არაქართველი) მეცნიერის ნაშრომებში (ვისაც ამ საკითხებზე უმუშავია), შეუძლია ამოიკითხოს ის, რასაც ვამტკიცებ, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ეპოქაში ქართველ მეცნიერებს სრულიად საწინააღმდეგოს დამტკიცებისას აძლევდნენ ჯილდოებსა და პრივილეგიებს. ქართველ (საბჭოთა) მეცნიერებს სწორედ იმის დამტკიცებაში აძლევდნენ ლენინის ორდენებს, რომ ჩვენ ევროპელები არა ვართ და რუსეთის გარეშე არსებობა არ შეგვიძლია, მაგრამ ქართველ მეცნიერებს შორის მაინც იყვნენ პატიოსანი ადამიანები, ვისთვისაც ჭეშმარიტება უფრო დიდი ფასეულობა იყო (და არის), ვიდრე აკადემიკოსობა და პირადი კეთილდღეობა. თუმცა, მათი ტექსტების, კვლევისა და ნაშრომების აფიშირება და წახალისება, ბუნებრივია, არ ხდებოდა (თუნდაც საქართველოში) და ალბათ ისიც ლოგიკურია, რომ, რაც რუსეთის ფაქტორამდე საქართველოში უმრავლესობისთვის იყო ცნობილი, დღეს მხოლოდ უმცირესობისთვისაა ნათელი. სამწუხაროა, რომ უზარმაზარ უპირატესობას, რაც გვაქვს (ევროპული ინტეგრაციისა და ევროპულ სივრცეში დაბრუნების თვალსაზრისით), უბრალოდ, ვერ ვიყენებთ და მთავარი უპირატესობა კი ჩვენი მოტივაციაა. ჩვენ გვაქვს მოტივაცია ჩვენს უძველეს სახლში დაბრუნებისათვის და არა უბრალო ახირება, რომ ცივილიზებულ ევროპასთან ურთიერთობა გვირჩევნია რუსეთთან ერთად წვალებასა და ნგრევას. ეს მთავარი მოტივაცია ჩვენი ნათესაობაა ევროპელების წინაპრებთან და საბჭოთა პერიოდის მეცნიერულ აქცენტებსა და ორიენტირებს (როგორც ყველაფერს დანარჩენს), პოლიტიკა და იდეოლოგია განსაზღვრავდა. სწორედ ამიტომაც ჰქონდათ ყოველგვარი წახალისება იმ ქართველ (და საერთოდ საბჭოთა) მეცნიერებს, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ბასკები ჩვენი ნათესავები არიან და ამ მოსაზრებას შესაბამისი, გრანდიოზული რეკლამაც ჰქონდა.

რასაკვირველია, ბასკებთან (ნამდვილად) გვაკავშირებს ნათესაობა, როგორც ერთ-ერთ იბერიული წარმომავლობის ხალხთან, მაგრამ ასეთივე ხარისხით გვენათესავებიან ესპანეთში მცხოვრები იბერიელების სხვა ჩამომავლებიც, თუმცა, მათ შესახებ (ესპანეთში ჩვიდმეტი ავტონომიაა), ქართველი მეცნიერები დუმდნენ. მიზეზი კი მარტივია - ფრანკოსთან დაპირისპირებული ბასკეთის კომუნისტებისადმი მოსკოვის აქტიურ დახმარებასა და მხარდაჭერას, იდეოლოგიური გამართლება და საფუძველიც სჭირდებოდა ინტერბრიგადების შესაქმენლად და საბჭოთა კავშირი, არა მხოლოდ მორალურად, ფიზიკურადაც კი ეხმარებოდა ბასკებს და ბასკური ETA-ს პირველი თაობის ინსტრუქტორებიც რუსი ოფიცრები იყვნენ და ბასკებიც ტერორის გზას (პალესტინელების არ იყოს), რუსების კარნახით დაადგნენ. ფრანკომაც ყველაზე მეტად მაინც ბასკები შეავიწროვა და საბჭოთა იდეოლოგებმაც ნიკო მარი, როგორც კი დასჭირდათ, ხალისით გაიხსენეს. ამიტომაც გასაგებია, რომ ქართველ მეცნიერებს, საბჭოთა პერიოდში, მხოლოდ ბილბაოსა და სან-სებასტიანის უნივერსიტეტებში აგზავნიდნენ მივლინებით და უარსაც ვინ იტყოდა. საბჭოთა ხელისუფლებასაც არ უთქვამს უარი ლტოლვილების მიღებაზე ესპანეთის სამოქალაქო ომის შემდეგ და სულაც არ იყო შემთხვევითი, რომ მათი საკმაოდ დიდი ნაწილი, საქართველოში მოხვდა. ესპანეთის კომუნისტური პარტიის მაშინდელი ლიდერის დოლორეს იბარურის ოჯახიც საქართველოში აღმოჩნდა განაწილების მიხედვით და მისი ვაჟი ხოსე დიასი კარგა ხანს, თბილისელი ქალების კუმირიც იყო. რადგან ვახსენე და სიტყვამ მოიტანა, აქვე იმ ხოსე დიასის ტრაგიკულ აღსასრულზეც მოგახსენებთ. ხოსესაც თბილისელი (და საერთოდ ქართველი გოგონები) დიდად მოსწონდა თურმე, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების კრიტიკას კი, საჯარო ადგილებშიც არ ერიდებოდა მანამ, სანამ მისი ლიკვიდაციის საკითხი არ დადგა. იგი გადმოაგდეს სასტუმრო "თბილისის" მეოთხე სართულიდან, სადაც დაჟინებით ამტკიცებდა, რომ სოციალიზმი და კომუნიზმი ესპანეთში, სულ სხვაგვარად წარმოუდგენიათ ადამიანებს...

ბავშვობაში, ზემო ვერის მიტოვებულ სასაფლაოზე (არ მახსოვს რა საქმეზე შეპარულებმა), ხოსე დიასის საფლავი აღმოვაჩინეთ და მერე, ოცი წლის შემდეგ ეს საფლავი სიამაყით ვაჩვენე ესპანეთიდან ჩამოსულ ხოსე დიასის აცრემლებულ ნათესავებს - არ გვეგონა, თუ მივაგნებდითო. მადლობის მოსმენისას დავიმორცხვე და მათთვის აღარ მითქვამს, რომ სასაფლაოებზე ვგიჟდები და სიამოვნებით დავდივარ ხოლმე, როცა დრო მაქვს. ახლაც რომ მქონდეს დრო, სასაფლაოებზე ბევრ სხვასაც მოგახსენებდით, მაგრამ არც თქვენ გაქვთ დრო და ჩვენც სათქმელიდან, აშკარად გადავუხვიეთ...

*გაგრძელება იქნება*



## დავით კოვზირიძის სვეტი

## ვის არ ჰქონია კლიმაქსი?!

სეზონის დასაწყისში მადრიდის "რეალი" ძალიან წააგავდა ათას მამრ კოლეგაზე გადამხტარ გადაბერებულ ჰოლივუდელ ძუ მსახიობს, ურიცხვი ოსკარის, პალმის რტოსა და სხვა სიამტკბილობათა მფლობელს, რომელმაც ამ პრემიებიდან მიღებული მილიონების ნახევარი საკუთარი თავის კოსმეტიკურ რემონტზე დახარჯა და, სამწუხაროდ, ძველებურად ველარავის აღაგზნებს. ვერც სექსუალურ და ვერც წმინდა წყლის პროფესიულ ამბავში.

თქვენი არ ვიცი და მე ძალიან მეცოდებიან ასეთი დივები. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ოქროს ძაფებით დაჭიმული სახის გამო, ძილის დროს თვალებს ველარ ხუჭავენ. გვერდში დამწოლი და საყურებელიც რომ აღარავინ ჰყავთ?! რა არის მაინც ცხოვრება, ამ საწყლებს, იმის საშუალებაც აღარა აქვთ, თვალდახუჭულებმა გაიხსენონ სიყმაწვილის ცუღლუტობანი.

და რადგან ეს ორდენოსანი ქალბატონები შარშანდელი შემოდგომის "რეალს" შევადარე, ლოგიკურ ჯაჭვს ბოლომდე მივყვები და გეტყვით, რომ 2004-ის შემოდგომაზე მადრიდული "ელ გალაქტიკოც" მეცოდებოდა.

არ მინდა, ვინმეს ეგონოს, რომ ვინაიდან "ბარსელონას" ვქომაგობ, მომენტით ვისარგებლე და ბოლმას ვანთხევ. არა, გენაცვალე, არც მე და არც ერთი ნაღდი გულშემატკივარი არ იკადრებს, ვთქვათ, ბრაზილიის თაყვანისცემის გამოისობით დიეგო არმანდო მარადონას დედის გინებას. მერე რა, რომ დიეგიტო მორფინისტია და კოკაინს ვერაფრით ელევა - არავის გაგვიკეთებია იმის ნახევარიც კი, რაც ფეხბურთელმა მარადონამ ხელით ჰქმნა 1986 წლის ცხელ მექსიკურ ზაფხულს.

ვიღაცის სიყვარულის გამო ვიღაცის თათხვა უკვე სენად იქცა და ეს ნამდვილად არაა კარგი თვისება. რადგან - თუ ფეხბურთზე მსჯელობისას არაობიექტური ხარ, ესე იგი, სოკერს ცალმხრივად, ნახევრად უყურებ (მხოლოდ "შენიანების" კარგს და "იმათ" ცუდს ამჩნევ). ცალმხრივი კი არაფერი ვარგა, მოძრაობის გარდა.

მოდით, თანამედროვე ფეხბურთით შემოვიფარგლოთ და ვაღიაროთ: მარკო ვან ბასტენი, რომარიო ფარიასი, რობერტო ბაჯო, რონალდო, ზინედინ ზიდანი, იურგენ კლინსმანი, ძმები ლაუდრუპები, ერიკ კანტონა, პაოლო მალდინი, გაბრიელ ბატისტუტა, ანდრეი შევჩენკო, რონალდინიო, ენცო ფრანჩესკოლი, პოლ გასქოინი და კიდევ რამდენიმე ჯიგარი - ეს ის ხალხია, რომელსაც ყოველმა კულტურულმა ფანმა უნდა მიაგოს პატივი. კი, შეიძლება ზოგიერთი მათგანი მახინჯია, ზოგი არაქურდულად ცხოვრობს და ზოგსაც ღვინო-დუდუკი-ქალები ევასება, მაგრამ ამისთვის მათი ბოლმიანი ლანძღვა არ შეიძლება, რადგან ფეხბურთი არც პოდიუმია, არც ქუჩა და, მით უმეტეს, არც მონასტერი. ფეხბურთელს ერთადერთი რამ ევალება - მოედანზე გასვლა და ჩვენთვის მაქსიმალური სიამოვნების მონიჭება. ზემოთ ჩამოთვლილი პატივცემული საზოგადოებისგან კი პირადად მე სიამოვნების გარდა არაფერი მიმიღია.

უკაცრავად ამ ერთგვარი ლექციისთვის, ჭკუის სწავლებას ნამდვილად ვერავის გავუბედავ, მაგრამ ძალიან მწყინდა, როცა 2004 წლის მიწურულს უამრავი ქომაგი იყო გახარებული "რეალის" გაფარჩაკებით. ფეხბურთელთა მსგავსად, არსებობს კლუბები (ნაკრებებიც), რომელთაც დაუკანონებელი იმუნიტეტი იცავს და რომელთა კლიმაქსიც არავის უნდა უხაროდეს. მიზეზი მარტივია - უამკლუბებოდ ფეხბურთი მუღამს კარგავს.

კარგი სანახავი იყო, "ბარსელონამ" "რეალს" რომ გადაურბინა ბოლო "ელ კლასიკოში"? ბუნებრივია, თბილისური ფანობის კატალონიურმა ფრთამ გაიხარა, თუმცა, ეს არ იყო სრულფასოვანი სიხარული, რადგან იმ დღეს "კამპ ნოუზე" ჩვეული დონე, ბრძოლა, გაქაჩვა-გამოქაჩვა და ქართულზე არანაკლებ მადლიანი ესპანური გინება არ ყოფილა. არავითარი ადრენალინი!

ვისაც ფეხბურთი უთამაშია, დამეთანხმება, რომ ასეთ მოგებას მარილი აკლია. სხვადასხვაგვარად, მაგრამ ყველა უკმაყოფილოა - მოგებულიც, წაგებულიც და ამ ამბის თვითმხილველიც. არ ჯობია, კოჭებში რომ მოგხვდება და მერე ორჯერ უფრო მაგრად მიარტყამ? ლამაზ გოლს რომ გაგიტანენ და უფრო ლამაზს შეუგდებ? ანგარიშში ჩამორჩენით გალიზიანებული, მეტოქეს რომ აუხირდები, საქმის გარჩევაში აჯობებ და თამაშს შემოუტრიალებ, ეს ხომ საერთოდ ზღაპარია! და რა გემრიელია ამის შემდეგ შხაპის ქვეშ დგომა, თამაშის ღიმილნარევი მოგონება და მერე ქუჩაში ამაყად გასვლა...

ფეხბურთს გაუმარჯოს, ფეხბურთს!

ჰო, "რეალზე" ვლაპარაკობდი. ფეხბურთისდა სასიკეთოდ, მადრიდელები კრიზისიდან გამოდიან. ეს მას შემდეგ, რაც ვარსკვლავთკრებულს ბრაზილიელი ვანდერლეი ლუშემბურგო ჩაუდგა სათავეში - ერთ დროს ნაკრებთან ერთად რაღაც-რუღაცების მომგები და, მიუხედავად ამისა, თანამდებობიდან მოხსნილი კაცი (იმ პერიოდში 82 მოთამაშე მოსინჯა ეროვნულ გუნდში, რამაც შვა ეჭვი, თითქოს მწვრთნელი ფულს იღებდა უნიჭოთაგან), რომელიც თავად არის პიჟონი, მაგრამ სხვა პიჟონებს ვერ იტანს. ამას მოწმობს ბატონი ვანდერლეის კონფლიქტი დევიდ ბექჰემთან, რომელიც სპაისბოის მარცხითა და მორჩილებით დამთავრდა.

მთავარი, რაც ამ უდავოდ ნიჭიერმა მწყემსმა შეძლო, გახლავთ "სამეფო კლუბში" დისციპლინის მოგვარება. ეს ნამდვილად არაა იოლი საქმე გუნდში, რომელშიც ყოველ მეორეს სახლში "უგდია" "ოქროს ბურთი" ან სხვა მსგავსი ძვირფასეულობა. გახსოვთ "რეალი" ორიოდე თვის წინ? როგორი მედიდურობით დაიარებოდნენ მოედანზე ყველაფრის მომგები ბიჭები და როგორ უგებდნენ მათ გამარჯვებას დამშეული უცნობები. მხოლოდ ერთხელ გამოფხიზლდნენ, მხოლოდ მაშინ აენთოთ თვალები, როცა "სანტიაგო ბერნაბეუზე" ასევე გაჭირვებაში მყოფმა "რომამ" 2:0 წაუყვანა. ის მატჩი "რეალმა" 4:2 მოიგო და პირველ წრეში ერთადერთხელ ითამაშა მეფური ფეხბურთი.

მოყვარულები და სპეციალისტები ერთხმად გაიძახოდნენ, რომ მადრიდელებმა ყველაფერი მოიგეს ინდივიდუალურ, სანაკრებო თუ საკლუბო დონეზე და დაკარგეს მთავარი - მოტივაცია, გამარჯვების წყურვილი. ეს მართლაც ასე გახლდათ და პრობლემები სხვაც მრავლად იყო (როგორც ყველგან, სადაც ბევრ ნიჭიერ ადამიანს უუნარო ბოსი ხელმძღვანელობს), მაგრამ დღეს მდგომარეობა შეიცვალა: მადრიდის "რეალმა" საკადრისი ფეხბურთის თამაში დაიწყო - ყველა დარბის, ყველა მუშაობს, ყველა ქმნის, ყველა ემორჩილება მწვრთნელს.

ვერ გეტყვით, რამდენს მიაღწევს "სამეფო კლუბის" ისტორიაში პირველი ბრაზილიელი მწვრთნელი, რომელმაც სამშობლოში მრავალი საკლუბო მწვერვალი დაიპყრო. მაგრამ ფაქტია, რომ მიმდინარე სეზონში, სულ ცოტა, სამით მეტ დიდებულ სპექტაკლს ვნახავთ: "რეალი"-"იუვენტუსი", "იუვენტუსი"-"რეალი" და "რეალი"-"ბარსელონა".

*მომავალ სამშაბათამდე.*

ფეხბურთი

# „დინამო" ჭამარაულით ძლიერდება

მიხეილ აბაიშვილი

ორი დღეა, რაც თბილისის "დინამო" დაბრუნდა კვიპროსიდან, სადაც ხუთი სპარინგმატჩი გამართა. "დინამომ" სამი მატჩი წააგო, ერთი ფრედ დაასრულა და მხოლოდ ერთი მოიგო. მიუხედავად იმისა, რომ თამაშები საკონტროლო-მოსამზადებელი იყო და შედეგს ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა, "დინამოს" მთავარი მწვრთნელის გია გეგუჩაძის თქმით, ეს მატჩები სხვადასხვა მიზეზის გამო გუნდმა საჭირო დონეზე ვერ ჩაატარა. 3 თებერვალს "დინამო" მორიგ შეკრებაზე, ესპანეთის კურორტ მალიორკაზე მიემგზავრება, სადაც "მარბელას თასის" საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. გუნდი სამ შეხვედრას გამართავს. მატჩები 5, 7 და 9 თებერვალს შედგება. "დინამოს" მეტოქეები იქნებიან მოსკოვის "სპარტაკი", სანკტ პეტერბურგის "ზენიტი" და დონეცკის "შახტარი". სამივე გუნდი ანგარიშგასაწევი ძალაა. დასტურად იმის თქმაც კმარა, რომ "შახტარმა" ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშების ჯგუფურ ტურნირში კატალონიური "ბარსელონა" დაამარცხა დიდი ანგარიშით 3:0. ასეთ მეტოქეებთან მატჩის წინ "დინამოს" გაძლიერება ნამდვილად არ აწყენს. როგორც კლუბის პრესატაშემ ლევან სალუქვაძემ გვითხრა, ახლა "დინამო" სწორედ ამ პროცესშია.

"კლუბმა წლის დასაწყისიდანვე განაახლა სასელექციო მუშაობა. უკვე გვყავს ოთხი ახალწვეული. მათგან ორთან - ბაბუნაშვილთან და ნოზაძესთან კონტრაქტები უკვე გაფორმებულია. თითქმის გადაწყვეტილია საქართველოს ნაკრების ნახევარმცველის გოჩა ჯამარაულის მშობლიურ კლუბში დაბრუნების საკითხი. თუ მოულოდნელი არაფერი მოხდა, ხვალ ოფიციალურად გაცხადდება ჯამარაულის "დინამოში" ჩარიცხვის საკითხი. იგი გუნდთან ერთად გაემგზავრება ესპანეთში და "მარბელას თასის" ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. როგორც "მარბელას თასამდე", ისე ამ ტურნირიდან დაბრუნების შემდეგაც იგეგმება სხვა ქართველი ფეხბურთელების გადმობირება, რომელთა გვარებს ჯერჯერობით არ დავასახელებ.

სულ უფრო ღრმავდება "დინამოს" პრეზიდენტის ბადრი პატარკაციშვილის მიერ ცნობილ ბრაზილიურ კლუბთან "კორინთიანსთან" დამყარებული კონტაქტები. ამ კონტაქტების წყალობით, თბილისის "დინამოს" სულ მალე მაღალი კვალიფიკაციის ბრაზილიელი ფიზმომზადების მწვრთნელი ეყოლება. იგეგმება ახალგაზრდა ბრაზილიელი ფეხბურთელების "დინამოში" მოწვევა, რადგან პატარკაციშვილის მიერ დაგეგმილი განვითარების სტრატეგიის მიხედვით, "დინამო" მოკლე ხანში ევროპული დონის კლუბად უნდა ჩამოყალიბდეს", - განუცხადა "24 საათს" ლევან სალუქვაძემ.

"დინამოს" პრესატაშემ არ გაგვიმხილა, თუ რომელი ქართველი ფეხბურთელების გადმობირებას ეშურება "დინამო". თუმცა, არსებული ინფორმაციის თანახმად, გეგუჩაძის ყურადღების არეალში თბილისის "თბილისის" ფეხბურთელები არიან.



გობიტა ბუხაიძის ფოტო

*გოჩა ჭამარაული ამიერიდან თბილისის "დინამოში" ითამაშებს.*

# რონალდო: "მუდამ მე მცვლიან"



*რონალდო: "მინდა, ყოველთვის ვითამაშო და გუნდს დავეხმარო".*

პირველი გვერდიდან

- უკეთესი იქნება, თუ ამ კითხვით ჩვენს პრეზიდენტს მიმართავთ. მე არ ვიცი, ადრიანო რას ფიქრობს. თუ რომელიმე ფეხბურთელს გუნდიდან წასვლა სურს, ის ამას გააკეთებს. მით უფრო, თუ მისი პერსონით რომელიმე გრანდია დაინტერესებული. თუ ფეხბურთელმა რაიმე გადაწყვიტა, მისი გაჩერება, ალბათ, შეუძლებელია. მადრიდის "რეალში" გადმოსვლა ყველა ფეხბურთელის ოცნებაა. ეს მსოფლიოს საუკეთესო კლუბია და აქ ყველას უნდა თამაში. თუმცა, ჯერ ის უნდა გაირკვეს, მართლა არსებობს თუ არა კლუბის მხრიდან დაინტერესება. მე არ ვერევი იმაში, რასაც კლუბის ხელმძღვანელობა ფიქრობს.

**- ხომ არ გეჩვენება, რომ მადრიდის "რეალს" ფორვარდები აღარ სჭირდება? ისინი ისედაც ბევრნი არიან. მით უმეტეს, რომ ზაფხულში კლუბს რობინიო შეუერთდება.**

- რა თქმა უნდა, მაგრამ მე ყოველთვის მიხარია, როცა გუნდში საუკეთესოები მოდიან. ჩვენ დიდ გუნდს შევქმნით - ყველანი შეტევაში... დე, ყველანი მოვიდნენ. მხოლოდ იმ პირობით, თუ მე ძირითად შემადგენლობაში ვითამაშებ (იცინის). მე და ადრიანო შეტევაში, ოუენი და რაულიც... ჩვენ ერთმანეთს კი შევეწყობით, მაგრამ ეს მწვრთნელისთვის დიდი პრობლემა იქნება. ყველა თამაში - 8:7 ან 7:7 დასრულდება. ძალიან სახალისო იქნება.

**- სხვათა შორის, ოუენი აქტიურად უკაკუნებს ძირითადი შემადგენლობის კარებს. ის შენს შემდეგ გუნდის მეორე ბომბარდირია. როგორ შეაფასებ მის თამაშს პირველი წრის შემდეგ?**

- მას სათამაშო დროისა და გოლების წარმოუდგენელი შეხამება აქვს. როცა მინდორზე გამოდის, თითქმის ყველა მატჩში გოლი გააქვს. ამას გარდა, მინდორზე შესანიშნავად გადაადგილდება და მეტოქის მოტყუებასაც არ ერიდება. თუმცა, ჩვენ ადრეც ვიცოდით, თუ როგორი მაღალი კლასის ფორვარდი იყო ოუენი.

**- "მალიორკასთან" მატჩში შეცვლის გამო რატომ გქონდა ასეთი მძაფრი რეაქცია?**

- ნორმალური რეაქცია მქონდა... მე არ მინახავს ფეხბურთელი, რომელიც თავისი შეცვლით კმაყოფილი იქნება. გული მწყდება, როცა მცვლიან. მინდა, ყოველთვის ვითამაშო და გუნდს დავეხმარო. გავლიზიანდი, მაგრამ საკუთარი თავის მოთოკვა შევძელი და ემოციები გასახდელში შესვლამდე გადმოვაფრქვიე. უბრალოდ, არ გამიმართლა - იქ კამერა იყო დამონტაჟებული და ყველაფერი დააფიქსირა.

**- მოგბეზრდა, რომ მუდმივად გცვლიან?**

- არა. ყველაფერი მესმის. ახსნა-განმარტებას არასოდეს ვითხოვ. არც მაშინ, როცა მცვლიან და არც მაშინ, როცა სასტარტო შემადგენლობაში მაყენებენ. ლუშემბურგო აკეთებს იმას, რაც გუნდისთვის საუკეთესოდ მიაჩნია. მან არ უნდა გაითვალისწინოს ფეხბურთელთა სურვილები. აქ ხელშეუხებლები არ არსებობენ, მაგრამ ყოველთვის, როცა ვინმეს ცვლიან, ეს "ვინმე" მუდმივად მე ვარ.

**- თხუთმეტი დღის შემდეგ "იუვენტუსია"...**

- მინდა, რაც შეიძლება სწრაფად შევხვდეთ მათ, რადგან გულში ხინჯად მაქვს, რომ ნახევარფინალი წავაგეთ მაშინ, როცა ფინალში გასვლის კარგი შანსი გვქონდა და ფინალიდან ერთ ნაბიჯზე ვიდექით. თუმცა, მერჩივნა, მათ მოგვიანებით შევხვედროდით, რადგან ეს მატჩი ფინალს იმსახურებს.

**- რა შეგიძლიათ თქვათ ვისენტე დელ ბოსკეს თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ?**

- მე ვისენტესთან შესანიშნავი ურთიერთობა მქონდა. მას არავისთვის არაფერი აქვს დასამტკიცებელი. ის შესანიშნავი ადამიანი და მწვრთნელია. შევდივარ მის მდგომარეობაში. მისთვის თურქეთში მუშაობა დიდი გამოცდა იყო. მან არ იცოდა ენა და რთულ პირობებში უწევდა მუშაობა.

ინფოთეკა

### სოლარიმ კონტრაქტი გააგრძელა

ბოლოს და ბოლოს, მოხდა ის, რასაც "სამეფო კლუბის" ყველა გულშემატკივარი ელოდა. გუნდის ხელმძღვანელობამ - ფლორენტინო პერესმა, ემილიო ბუტრაგენიომ და არიგო საკიმ სანტიაგო სოლარის ახალი კონტრაქტი შესთავაზეს. ახალი შეთანხმება სამ წელიწადზეა გათვალისწინებული, ხოლო არგენტინელის ხელფასი თითქმის ანალოგიური იქნება მოქმედისა. ამას გარდა, კონტრაქტში არის ბევრი პუნქტი, რომელზეც პრემიალურების რაოდენობა იქნება დამოკიდებული. მაგალითად, ჩატარებული მატჩების რაოდენობა (45 წუთზე მეტი დრო), გუნდის მიერ მოპოვებული ჯილდოები და გამარჯვებების რაოდენობა.

გუნდი "ნუმანსიასთან" მატჩისთვის ემზადებოდა, როცა ფლორენტინო პერესმა სოლარის ახალი კონტრაქტის დადება შესთავაზა, ფეხბურთელი დაარწმუნა, რომ კლუბი მის მიმართ დიდი პატივისცემით არის გამსჭვალული და ძველებურად სჯერა მისი. პერესის თქმით, კლუბი დიდხანს მუშაობდა სოლარისთან ახალი კონტრაქტის თაობაზე და ამ შეთანხმებას არაფერი აქვს საერთო არც ფეხბურთელის ბოლოდროინდელ წარმატებებთან (გოლი "მალიორკას" კარში) და არც ბოლო პრესკონფერენციაზე საკმაოდ გულახდილ საუბართან.

შეგახსენებთ, რომ "სამეფო კლუბთან" სოლარის კონტრაქტი 2006 წლის 30 ივლისს იწურება და ფეხბურთელის მიმართ დაინტერესება უკვე გამოთქვეს ევროპული ფეხბურთის ისეთმა გრანდებმა, როგორებიც "ბარსელონა" და "მანჩესტერ იუნაიტედი" არიან.

რაც შეეხება კიდევ ორი ფეხბურთელის - სესარისა და ალბერტ სელადესის კონტრაქტი გაგრძელების საკითხს, ამასთან დაკავშირებით ჯერჯერობით არაფერი შეცვლილა. სოლარის მსგავსად, მათი კონტრაქტიც 2006 წლის 30 ივლისს იწურება.

### შევჩენკო ისვენებს

"მილანის" უკრაინელი თავდამსხმელი ანდრეი შევჩენკო განუსაზღვრელი ვადით დაემშვიდობა მოედანს მას შემდეგ, რაც "ბოლონიის" წინააღმდეგ მატჩის დროს ფეხის ტრავმა მიიღო.

გამოკვლევამ დაადასტურა, რომ ფორვარდს მყესი აქვს გაწყვეტილი. "მილანის" სამედიცინო სამსახურის ხელმძღვანელმა ჯიმ მეერსენმა განაცხადა, რომ მხოლოდ სათანადო გამოკვლევის შემდეგ შეძლებს მისი გამოჯანმრთელების ზუსტი ვადის განსაზღვრას.

ასე რომ, კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება, შეძლებს თუ არა კლუბის საუკეთესო ბომბარდირი (13 გოლი ამ სეზონზე) თამაშს "მანჩესტერ იუნაიტედის" წინააღმდეგ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალურ მატჩში, რომელიც 22 თებერვალს გაიმართება.

### ზიკუ სამშობლოში დააბრუნეს

მილანის "ინტერმა" რუმინელი ფეხბურთელი იანის ზიკუ იჯარით გადასცა მის ყოფილ გუნდს ბუქარესტის "დინამოს".

ნახევარმცველმა სამშობლო შარშან დატოვა იმ მიზნით, რომ იტალიის ჩეპიონატში მიიღებდა მონაწილეობას, თუმცა, ძირითად შემადგენლობაში მაინც ვერ მოხვდა. "ინტერმა" ფეხბურთელი იჯარით "პარმასაც" დაუთმო, მაგრამ რუმინელმა ვერც იქ შეძლო თავის გამოჩენა.

### შავიერი "რომაში" ითამაშებს

პორტუგალიის ეროვნული ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი აბელ შავიერი "რომაში" ითამაშებს. პორტუგალიის მასობრივი საინფორმაციო წყაროები იტყობინებიან, რომ 32 წლის ფეხბურთელი იტალიურ კლუბს კონტრაქტის პირობებზე უკვე შეუთანხმდა და ვარჯიშიც ჩაატარა ლუიჯი დელ ნერის ხელმძღვანელობით.

### ჯემბა-ჯემბა "ასტონ ვილაშია"

"ასტონ ვილას" ხელმძღვანელობა შეუთანხმდა "მანჩესტერ იუნაიტედს" კამერუნელი ნახევარმცველის ერიკ ჯემბა-ჯემბას ყიდვის შესახებ. "როიტერსის" ცნობით, ოფიციალური განცხადება "ასტონ ვილას" ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

ორშაბათს, ზამთრის სატრანსფერო პერიოდის უკანასკნელ დღეს, ფეხბურთელმა სამედიცინო შემოწმება გაიარა.

ჯემბა-ჯემბა "მანჩესტერ იუნაიტედმა" 2003 წლის ივლისში საფრანგეთის კლუბ "ნანტისგან" შეიძინა, თუმცა, ძირითად შემადგენლობაში არ ათამაშებდა. პრემიერლიგაში მან მხოლოდ 20 მატჩი ჩაატარა.

ინფოთეკა

## კოლოჩინი "დეპორტივოში" გადავიდა

"დეპორტივომ" კონტრაქტი გააფორმა არგენტინელ მცველ ფაბრიციო კოლოჩინისთან. ფეხბურთელზე უფლებები "მილანს" ეკუთვნოდა, თუმცა, ბოლო დროს, არგენტინელი იჯარის წესით თამაშობდა "ალაბესში", "ატლეტიკოსა" და "ვილიარეალში".

## რუმინეთი ახალი მწვრთნელის მოლოდინშია

რუმინეთის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ოქტავიან ბელუ პენსიაზე გავიდა. მისი შემცვლელის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია.

## "ევერტონმა" გრავესენის შემცვლელი იპოვა

ინგლისურმა კლუბმა "ევერტონმა" სეზონის დამთავრებამდე იჯარის წესით "რეალ სოსიედადისგან" მიკელ არტეტა აიყვანა.

22 წლის ფეხბურთელმა კარიერა "ბარსელონაში" დაიწყო, შემდეგ ფრანგულ "პესეჟესა" და შოტლანდიურ "რეინჯერსშიც" მოასწრო თამაში. "ევერტონში" მან მადრიდის "რეალში" გადასული ტომას გრავესენი შეცვალა.

## რონალდინიო - 100 მილიონ გირვანქა სტერლინგად

ესპანური კლუბის "ბარსელონას" ხელმძღვანელობამ აღნიშნა, რომ შეუძლია, თავის საუკეთესო ფეხბურთელს რონალდინიოს შეელიოს, ოღონდ ყიდვის მსურველს ეს სიამოვნება 100 მილიონი გირვანქა სტერლინგი დაუჯდება.

განცხადება კატალონიელებმა მას შემდეგ გააკეთეს, რაც ბრაზილიელმა ფორვარდმა აღიარა, რომ ძალიან სიამოვნებს მადრიდის "რეალისა" და ლონდონის "ჩელსის" მიერ მის მიმართ გამოჩენილი ინტერესი, თუმცა, ფეხბურთელმა აქვე ისიც დასძინა, რომ სავსებით კმაყოფილია "ბარსელონაში" თამაშით და გუნდის შეცვლას არ აპირებს.

"რონალდინიო არ იყიდება. ის "ბარსელონას" სიმბოლოა, თუმცა, თუ რომელიმე კლუბს მისი შეძენა მოუნდება, კონტრაქტის ერთ-ერთი პირობის თანახმად, 100 მილიონი გირვანქა სტერლინგის გადახდა მოუწევს," - განაცხადა "ბარსელონას" ფინანსურმა დირექტორმა ფერან სორიანომ.

## ანელკა მოვიდა, როდრიგესი წავიდა

ინგლისური კლუბის "მანჩესტერ სიტის" ფორვარდმა ნიკოლა ანელკამ საბოლოოდ გააფორმა სამწელიწადნახევრიანი კონტრაქტი თურქულ "ფენერბახჩესთან". 25 წლის ფრანგი, რომლის ტრანსფერი 2002 წლის ივლისში "პესეჟედან" "სიტიში" 10 მილიონი გირვანქა სტერლინგი დაჯდა, ახალი წლიდან ზურგის ტრავმის გამო ვერ ახერხებდა თამაშს.

ორშაბათს დილით ანელკა კერძო თვითმფრინავით სტამბულში ჩაფრინდა. აეროპორტში მას თურქული კლუბის უამრავი გულშემატკივარი შეეგება.

არაოფიციალური ინფორმაციით, რთული ხასიათით ცნობილი ფეხბურთელისთვის თურქებმა "მანჩესტერ სიტის" შვიდი მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაუხადეს. ლეგიონერისთვის ადგილის გასათავისუფლებლად თურქეთის სუპერლიგის ლიდერმა კონტრაქტი გაუუქმა ბრაზილიელ ფაბიანო ლიმა როდრიგესს.

## "ადიდასი" და "ჩელსი" შეთანხმდნენ

ლონდონის "ჩელსის" ხელმძღვანელობამ გამოაცხადა მისი ახალი ტექნიკური სპონსორის ვინაობა. ეს გახლავთ ცნობილი გერმანული კომპანია "ადიდასი".

კლუბის ოფიციალური საიტის ცნობით, ახალი რვაწლიანი შეთანხმება, რომლის მიხედვითაც "ჩელსი" ყოველწლიურად 12 მილიონამდე გირვანქა სტერლინგს მიიღებს, 2006 წლის პირველი ივლისიდან შევა ძალაში.

## კანდელა "ბოლტონის" ფეხბურთელი გახდა

31 წლის მცველმა ვენსან კანდელამ ხელი მოაწერა ხუთთვიან კონტრაქტს "ბოლტონთან".

"ივნისში გადაწყვეტილებას მივიღებ: ან "ბოლტონთან გავაგრძელებ კონტრაქტის ვადას, ან კარიერას დავასრულებ," - განაცხადა ფრანგმა ფეხბურთელმა.

ჭადრაკი

# ლეკო საუკეთესოა



პეტერ ლეკომ ვეიკ-ან-ზეეს ტურნირი მოიგო.

უნგრელი დიდოსტატის პეტერ ლეკოს გამარჯვებით დასრულდა მე-19 კატეგორიის საჭადრაკო სუპერტურნირი, რომელიც ჰოლანდიის ქალაქ ვეიკ-ან-ზეეში მიმდინარეობდა. ბოლო ორი წლის უცვლელი გამარჯვებული ინდოელი დიდოსტატი ვიშვანათან ანანდი ამჯერად მხოლოდ მეორე იყო.

კლასიკურ ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონმა ვლადიმირ კრამნიკმა კი, რომელიც ასევე ტურნირის ფავორიტთა შორის სახელდებოდა, მეოთხე ადგილი გაიყო სამ მოჭადრაკესთან - თანამემამულე ალექსანდრ გრიშჩუკთან, ინგლისელ მაიკლ ადამსთან და უნგრელ იუდით პოლგართან. B კატეგორიის ტურნირი კი უკრაინელმა მოჭადრაკემ სერგეი კორიაკინმა მოიგო.

ყველა მოჭადრაკეს თავისი ადგილი უკანასკნელმა ტურმა მიუჩინა. ვიღაცას გაუმართლა იმედები, ვიღაცას - არა. შეგახსენებთ, რომ მე-12 ტურის შედეგების მიხედვით ვიშვანათან ანანდმა ტურნირის ლიდერ პეტერ ლეკოსთან ქულათა დეფიციტი ნახევარ ქულამდე შეამცირა. შაბათს ანანდმა ინგლისელი მაიკლ ადამსი დაამარცხა და - 7,5 ქულა მოაგროვა. ლეკომ კი უაღრესად დაძაბულ პოზიციაში ვერ მოძებნა მომგებიანი ვარიანტი ბულგარელ ვესელინ ტოპალოვთან შეხვედრაში.

ბოლო ტურში ლეკო თანამემამულე იუდით პოლგარს ხვდებოდა, ხოლო ანანდს უნდა მოეძებნა გამარჯვების გზები ტურნირის აუტსაიდერ ივან სოკოლოვთან შეხვედრაში, რომელიც შეჯიბრებაზე უფრო იმით იყო ცნობილი, რომ ქულებს ანაწილებდა. გამარჯვების თეორიულ შანსს ინარჩუნებდა ტოპალოვიც, რომელსაც 7 ქულა ჰქონდა და პეტრ სვიდლერს ხვდებოდა.

ლეკომ და პოლგარმა თამაში ფრთხილად დაიწყეს და ცდილობდნენ, მოვლენები არ დაეჩქარებინათ. როგორც ჩანს, მეტოქეებმა საერთო ენა გამონახეს და გადაწყვიტეს, დალოდებოდნენ, როგორ განვითარდებოდა მოვლენები სხვა დაფებზე. თუმცა, ასეთ მშვიდ პარტიაშიც კი ლეკომ თანდათანობით უპირატესობა მოიპოვა. შეუპოვარმა პოლგარმა მდგომარეობა გამოასწორა. 22-ე სვლაზე მხარეები ყაიმზე შეთანხმდნენ. ახლა ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული, შეძლებდა თუ არა ანანდი აუტსაიდერ სოკოლოვის დამარცხებას.

საერთოდ, ვეიკ-ან-ზეეს ბოლო ორი ტურნირის გამარჯვებული შეიძლებოდა ცრუმორწმუნეც გამხდარიყო. ანანდთან კვირის შეხვედრამდე სოკოლოვს ტურნირზე არც ერთი მატჩი არ ჰქონდა მოგებული. ჰოლანდიელმა ექვსი მატჩი ყაიმით დაასრულა, ხოლო ექვს შეხვედრაში დამარცხდა. თანაც, ერთი ყაიმი სოკოლოვმა ტურნირის გამარჯვებულ ლეკოსთან შეხვედრაში დააფიქსირა. ეს პირველ ტურში მოხდა.

კვირას სოკოლოვმა ანანდს ნამდვილი ბრძოლა გაუმართა. არადა, უკვე დებიუტში ინდოელს ჰქონდა შანსი, ლეკო დასწეოდა. მას ზედმეტი პაიკი გაუჩნდა. თუმცა, პარტია 48-ე სვლაზე ეტლის ენდშპილში დასრულდა. ჰოლანდიელმა გვიან, მაგრამ მაინც გადაწყვიტა, მტკიცე ხასიათი გამოემჟღავნებინა.

საერთოდ, მე-13 ტური ნაკლებად შედეგიანი გამოდგა. რომ არა ლუკ ვან ველი, რომელმაც ინგლისელი ნაიჯელ შორტი დაამარცხა, ტურში გამარჯვება საერთოდ არ დაფიქსირდებოდა. სხვათა შორის, ამ გამარჯვებით ჰოლანდიელმა ლუკ ვან ველიმ თავის ანგარიშზე ტურნირის ერთადერთი გამარჯვება ჩაიწერა.

შეჯიბრების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი ბულგარელი ვესელინ ტოპალოვის მესამე ადგილი იყო. აღსანიშნავია, რომ ტოპალოვი მსოფლიო რეიტინგშიც მესამე პოზიციაზეა. ბოლო ტურში ბულგარელმა ყაიმი ითამაშა პეტრ სვიდლერთან და 7,5 ქულით სამეულში დამკვიდრდა.

ამდენად, ტურნირის შედეგები შეიძლება სხვადასხვაგვარად შეჯამდეს. თუმცა, იმთავითვე შეიძლება ითქვას, რომ ვეიკ-ან-ზეეს წლევანდელი ტურნირი გარკვეულწილად უნიკალური იყო. A კატეგორიის ტურნირში მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს 14-მა საუკეთესო მოჭადრაკემ, რომელთა საშუალო რეიტინგი 2720-ს აღემატება.

შეჯიბრებაში პირველი ათეულის ყველა მოჭადრაკეს შეეძლო თამაში. ერთადერთი გამონაკლისი უძლიერესთა შორის რუსეთის ჩემპიონი გარი კასპაროვი იყო. თუმცა, ეს მისი მიზეზით არ მომხდარა. ნიდერლანდებში მსოფლიოს საუკეთესო რეიტინგის მქონე მოჭადრაკის გამოუცხადებლობა იმის ბრალია, რომ მან ჰოლანდიურ მხარესთან ვერ მოასწრო კონტრაქტის გამოფრმება, რომლის მიხედვითაც 2005 წლის იანვარში უნდა გამართულიყო მატჩი რუსტამ კასიმჯანოვთან.

პრინციპში, ლეკოს გამარჯვება, მიუხედავად იმისა, რომ მას ტურნირის ფავორიტად არ მიიჩნევდნენ, სენსაციად არ შეიძლება მოინათლოს. უნგრელ დიდოსტატს ძლიან კარგი მწვრთნელები და სეკუნდანტები ჰყავს. შარშანდელ სეზონში მან უამრავ ტურნირში მიიღო მონაწილეობა და შესანიშნავი პრაქტიკა მიიღო, რასაც კრამნიკი და ანანდი მოკლებულნი იყვნენ. რაც შეეხება ანანდს, ის უფრო თავისი ქორწილით იყო დაკავებული, კრამნიკმა კი მთელი ყურადღება კლასიკურ ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლისკენ მიაპყრო.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ლეკო | 13 | 4 | 9 | 0 | 8,5 |
| ანანდი | 13 | 4 | 8 | 1 | 8 |
| ტოპალოვი | 13 | 4 | 7 | 2 | 7,5 |
| პოლგარი | 13 | 3 | 8 | 2 | 7 |
| ადამსი | 13 | 2 | 10 | 1 | 7 |
| გრიშჩუკი | 13 | 2 | 10 | 1 | 7 |
| კრამნიკი | 13 | 2 | 10 | 1 | 7 |
| ბრუსონი | 13 | 3 | 7 | 3 | 6,5 |
| პონომარიოვი | 13 | 3 | 7 | 3 | 6,5 |
| ვან ველი | 13 | 1 | 11 | 1 | 6,5 |
| სვიდლერი | 13 | 2 | 8 | 3 | 6 |
| შორტი | 13 | 2 | 7 | 4 | 5,5 |
| მოროზევიჩი | 13 | 2 | 5 | 6 | 4,5 |
| სოკოლოვი | 13 | 0 | 7 | 6 | 3,5 |

კრივი

# ყველაფერში დამნაშავე დედაა




გიგა გურასაშვილი

*გვინდა - არ გვინდა, საქმე ასეა: ბრიტანელი მძიმეწონოსანი ლენოქს ლუისი რინგზე არ დაბრუნდება. ყოველ შემთხვევაში, წლეულს არა. ბევრი იმსჯელეს თუ ცოტა, ჟურნალისტებმა დაასკვნეს, რომ ვიტალი კლიჩკოსთან რევანშის ჩაშლაში დამნაშავე ლუისის დედაა.*

კიდევ ერთხელ გავიმეორებთ იმას, რამაც ცოტა ხნის წინათ კრივის გულშემატკივარი აალაპარაკა. კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) ყოფილმა ჩემპიონმა თქვა, უკრაინელთან შესარკინებლად მზად ვარ, ოღონდ დიდ ფულზეო. ლუისს 21 მილიონი ფუნტი სტერლინგის (დაახლოებით 40 მილიონი დოლარი) სახით მართლაც შეჰპირდნენ დიდ ჰონორარს. ბრიტანელმაც, - ასეთ ფულზე უარს ნამდვილად არ ვიტყვიო. ერთი სიტყვით, ვიტალი კლიჩკოსთან განმეორებითმა შეხვედრამ რეალური სახე მიიღო. კრივის სამყაროში იმაზე დაიწყეს მსჯელობა, სად და როდის უნდა გამართულიყო მძიმეწონოსანთა შეხლა. უკრაინელის გულშემატკივრები უფრო იმით ხარობდნენ, რომ ვიტალის რევანშის საშუალება ეძლეოდა, მაგრამ... ყველაფერი მაინც საეჭვოდ ჩანდა. ლუისმა მოგვიანებით იუარა და, ისევე როგორც შარშან, პენსიაზე წასვლის განცხადებით გამოსვლისას თქვა, რომ რინგზე დაბრუნებას აღარ აპირებს, სურს დარჩეს იმ იშვიათ მძიმეწონოსან ჩემპიონთა შორის, რომლებმაც დიდების მწვერვალზე ყოფნისას მიატოვეს კარიერა.

ბრიტანული გამოცემა "დეილი მირორი" რომელიც ლუისის რინგზე დაბრუნების ამბავს იუწყებოდა, პენსიონერი ჩემპიონის უარს ჩაეძია და დაასკვნა: ყველაფერში ლუისის დედა ვაიოლეტია დამნაშავეო.

ვაიოლეტ ლუისმა, რომელიც მომავალ ჩემპიონს უმამოდ ზრდიდა, მართლაც დიდი როლი შეასრულა შვილის შემდგომ წარმატებებში, მაგრამ როდესაც დრო დადგა, დედამ შვილს რინგიდან წასვლა სთხოვა. პროფესიული რინგიდან კი სწორედ ვიტალი კლიჩკოსთან პირველი და ერთადერთი ორთაბრძოლის შემდეგ წავიდა. შეგახსენებთ, რომ უკრაინელისა და ბრიტანელის ჩხუბი შარშან, 21 ივნისს, ლოს ანჯელესში გაიმართა. მიუხედავად იმისა, რომ ექვსი რაუნდის განმავლობაში კლიჩკოს მიყავდა ანგარიში 58:56, ექიმმა მატჩის რეფერისთან მოთათბირების შემდეგ ორთაბრძოლის შეწყვეტა მოითხოვა. კლიჩკოს ტექნიკური ნოკაუტით წაგება ჩათვალა.

რა თქმა უნდა, მაშინდელი მარცხი უკრაინელს დღემდე ხინჯად აქვს. აქედან გამომდინარე, რევანშის მოსურნეს ლუისის რინგზე დაბრუნების ალბათობამ იმედის ნაპერწკალი გაუღვივა და განმეორებით ჩხუბზეც უმალ თანხმობა განაცხადა, მაგრამ რა? კვლავ იმედგაცრუება. "საწყენია, რომ ლენოქსი რინგზე არ ბრუნდება და დაპირებული რევანშიც დაპირებად რჩება", - განაწყენებული აცხადებდა კლიჩკო.

თუმცა, უკრაინელისთვის მეტოქეები ყოველთვის მოიძებნება. ახლახან დონ კინგი საკუთარი ქვეშევრდომისთვის, ერთხელ ლუისის დამმარცხებელ ჰასიმ რაჰმანისთვის ვიტალისთან ჩხუბს აკვარახჭინებდა კიდეც. თითქოს მათ დაპირისპირებას წინ არაფერი ედგა, რომ რინგზე გაურკვევლობამ დაისადგურა. მართალია, თავდაპირველად კლიჩკო-რაჰმანის დაპირისპირების თარიღად 14 მაისი სახელდებოდა, მაგრამ ბოლო დროს ბანაკებმა ბრძოლის ჩატარების თარიღად სხვადასხვა ვერსია დაასახელს. გაურკვევლობაა არა მარტო თარიღთან, არამედ ბრძოლის ველის შერჩევასთან დაკავშირებითაც. ამბობენ, ამ ჩხუბს ლას ვეგასი ან ნიუ იორკი უმასპინძლებსო.

ინფოთეკა

## შვეცარიიდან საფრანგეთში

საფრანგეთის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი კრისტიან კარამბე შვეიცარიულ გუნდ "სერვეტიდან" გადავიდა საფრანგეთის ჩემპიონატის აუტსაიდერ კლუბ "ბასტიაში", სადაც ხუთ თვეს ითამაშებს.

## ჰიუიტი დაინიშნა

ავსტრალიის ღია ჩემპიონატის ფინალისტმა ლეიტონ ჰიუიტმა მსახიობ ბეკ კართრაიტზე დაქორწინება გადაწყვიტა. ამის შესახებ წყვილმა გუშინ განაცხადა. ჩოგბურთელმა შეყვარებულს მას შემდეგ სთხოვა ხელი, რაც "დიდი სლემის" ტურნირზე მარატ საფინს დაუთმო პირველობა.

ლეიტონმა და ბეკმა ხუთი წლის წინათ გაიცნეს ერთმანეთი, თუმცა, რამდენჯერმე დაშორდნენ ერთმანეთს.

ჰიუიტი, რომელსაც მალე 24 წელი უსრულდა, თებერვალში ბელგიელ ჩოგბურთელ კიმ კლიისტერსზე უნდა დაქორწინებულიყო, მაგრამ ნიშნობა რამდენიმე თვის წინათ ჩაიშალა.

კართრაიტი, რომელიც ავსტრალიელი ტელემაყურებლისთვის სერიალით "Home and Away" გახდა ცნობილი, ახლახან დაშორდა მსახიობ ბიუ ბრედს.

ავსტრალიის ღია ჩემპიონატის დროს 21 წლის გოგონას მშობლებსა და დასთან ერთად ხშირად ხედავდნენ მაყურებელთა შორის. ფინალური მატჩის შემდეგ ჩოგბურთელმა შეყვარებულს საჯაროდ გადაუხადა მადლობა მხარდაჭერისთვის.

*მოამზადა ნინო ტიკარაძემ*

TV-სპორტი

## სამშაბათი. 1 თებერვალი

**НТВ+ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 საფეხბურთო უიკ-ენდი
13:00 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი - გერმანიის ჩემპიონატი. "კაიზერსლაუტერნი" - "შალკე"
14:45 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
15:40 თავისუფალი დარტყმა
15:55 "ფუტბოლისტიკა"
16:25 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
17:20 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
17:50 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
18:55 თავისუფალი დარტყმა
19:10 სახვალიო ტელეპროგრამა
19:15 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
20:15 ლიბერტადორესის თასის წინ
20:45 ჩემპიონთა ლიგა. სეზონი 2004-2005. "ბარსელონა" - "მილანი"
22:40 თავისუფალი დარტყმა
22:55 ინგლისის ჩემპიონატი. "არსენალი" - "მანჩესტერ იუნაიტედი". პირდაპირი ტრანსლაცია
00:50 საფრანგეთის ლიგის თასი. ნახევარფინალი. "სტრასბური" - "სენტ-ეტიენი"

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 13:00, 16:00, 21:30 პრესცენტრი
10:20, 21:45 "ქრონიკა"
10:25, 13:15 "ჰარმონიის ფორმულა"
13:35 "ჰოკეი-პლუს"
13:55 ჩოგბურთი. WTA ტურნირი ტაილანდში. მატჩი მარტინა ჰინგისის მონაწილეობით. პირდაპირი ტრანსლაცია
15:30 "სპორტული გლობუსი" - "Trans World Sport"
16:15 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. გადამწყვეტი მატჩი
18:10 ხელბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი ტუნისში. ვაჟები. სლოვენია - ტუნისი. ძირითადი წრე. პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (18:45) - პრესცენტრი
20:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
21:00 სნოუბორდი. მსოფლიო თასის ეტაპი რუსეთში
21:50 სახვალიო ტელეპროგრამა
21:55 "ჰოკეი-პლუს"
22:10 ხელბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი ტუნისში. ვაჟები. რუსეთი - საბერძნეთი. ძირითადი წრე. პირდაპირი ტრანსლაცია
23:45 ჩოგბურთი. WTA ტურნირი ტაილანდში. მატჩი მარტინა ჰინგისის მონაწილეობით. შესვენებისას (00:15) - ახალი ამბები
01:00 ჰოკეი ბურთით. მსოფლიო ჩემპიონატი ყაზანში. ნორვეგია - რუსეთი

**EUROSPORT**

10:30 "ოლიმპიური თამაშები". ტელეჟურნალი
11:00 ველოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში. კროსი
12:00 ფეხბურთი - ევროგოლები
13:00 მულტისპორტი - აი, მესმის!
13:30 მულტისპორტი. იტალია-2006
13:45 სამთო თხილამურები. მსოფლიო ჩემპიონატი იტალიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
14:45 სამთო თხილამურები. მსოფლიო ჩემპიონატი იტალიაში
15:45 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასის ეტაპი იაპონიაში
16:15 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასის ეტაპი იაპონიაში
17:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი პოლონეთში
18:30 ფეხბურთი - ევროგოლები
19:30 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი იტალიაში
21:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგის კლასიკა. გერმანიისა და იტალიის კლუბების საუკეთესო მატჩები
22:00 მულტისპორტი. იტალია-2006
22:15 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
23:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა. საერთაშორისო ასპარეზობა
01:00 ტრიალი. სადარბაზო მსოფლიო ჩემპიონატი საფრანგეთში
02:00 ახალი ამბები
02:15 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგის კლასიკა. ესპანეთისა და ინგლისის კლუბების საუკეთესო მატჩები

# "ბერმუდის სამკუთხედი" - მიგნება (აღმოჩენა) თუ შეცდომა?!

პირველი გვერდიდან

ბუნებრივია კითხვა, რასთან გვაქვს საქმე? ლოგიკას მოკლებულ, ინჟინრულად გაუმართლებელ გადაწყვეტილებასთან, თუ პრინციპულად სწორ მიგნებასთან, რომელიც ობიექტური მიზეზების გამო ვერ იქნა მიღწეული?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა სადღეისოდ აქტუალური და საყურადღებოა, რადგან, როგორც ჩანს, ქალაქის ხელმძღვანელობა აპირებს, უარი თქვას ამ ნოვაციაზე, თუმცა დარწმუნებულია, რომ მოძრაობის ძველი სქემის აღდგენა კარგს არაფერს მოიტანს, ხოლო ამ ღონისძიებაზე გაწეული ხარჯები არა თუ წყალში გადაყრილი იქნება, არამედ რევერსირებას კიდევ დამატებითი ხარჯები დასჭირდება.

გამოსავალი თითქოს ჩანს ჭავჭავაძე-კეკელიძის ქუჩების გადაკვეთაზე მიწისქვეშა გვირაბის მოწყობაში, მაგრამ ეს საკმაოდ ძვირად ღირებული სიამოვნებაა და დიდ დროს მოითხოვს, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რამდენად ეფექტური იქნება ეს ახალი პროექტი.

ამიტომ აზრს მოკლებული არ უნდა იყოს იმის გარკვევა, თუ რა ხდება "ბერმუდის სამკუთხედში".

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა იმით უნდა დავიწყოთ, რომ სატრანსპორტო ინჟინერია ისეთივე სერიოზული საინჟინრო დარგია, როგორც არქიტექტურა, მშენებლობა, ჰიდროტექნიკა თუ სხვა რომელიმე საინჟინრო დარგი. ამდენად, ტრანსპორტის სფეროში ესა თუ ის გადაწყვეტილება არათუ გარკვეულ ლოგიკას თუ პრინციპებს უნდა ეყრდნობოდეს, არამედ სათანადო გეგმარების, გათვლების, მოდელირების თუ საინჟინრო საქმეში მიღებული სხვა მეთოდების გამოყენებით უნდა წყდებოდეს, რაც საწინდარი და საფუძველი უნდა იყოს ამა თუ იმ პროექტის ეფექტურობისა და წარმატებისა.

სამწუხაროდ, ეს ბანალური ჭეშმარიტება საზოგადოების მიერ ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის გაცნობიერებული.

განა შეიძლება, ვთქვათ, ჰიდროელექტროსადგური აიგოს ისე, რომ მას არ ჰქონდეს პროექტი და სათანადო გათვლები, არ იყოს ჩატარებული ჰიდროლოგიური პროცესების მოდელირება, ამასთან არა მარტო უშუალოდ ელექტროსადგურის ზონაში, არამედ მდინარის მთელი კალაპოტის გასწვრივ - სათავიდან ზღვის შესართავამდე. არ იყოს ამ სფეროსთან დაკავშირებულ სხვადასხვა ექსპერტთა შეფასებები, რათა გამოვლენილი იყოს ყველა მოსალოდნელი ნეგატიური შედეგი და მოძებნილი იყოს გზები და საშუალებები, რომლებიც მათ გამორიცხავდნენ.

ვფიქრობთ, რომ "ბერმუდის სამკუთხედის" მოწყობის გადაწყვეტილების მიღება ამ პრინციპების დაცვით მოხდა. ამიტომ, მართალია დაგვიანებით, მაგრამ ახლა მაინც, საჭიროა გაანალიზდეს პროექტის ავ-კარგი და შემდეგ იყოს მიღებული ახალი გადაწყვეტილებები.

რა ხდება "ბერმუდის სამკუთხედში"?

აქ უნდა გავიხსენოთ, თუ როგორ ხდებოდა ადრინდელი სატრანსპორტო სქემისას სამკუთხედის ქუჩებზე ტრანსპორტის მოძრაობა.

ვაკიდან წამოსული და საბურთალოს, თამარ მეფის გამზირისა და სანაპიროსკენ მიმართული ნაკადები ჰკვეთდნენ ჭავჭავაძის გამზირს და ვარაზისხევზე ჩამოსვლის შემდეგ გმირთა მოედანზე ნაწილდებოდნენ სათანადო მიმართულებებით. ამასთან, ეს ნაკადები ჰკვეთდნენ როგორც საბურთალოდან კოსტავას ქუჩისაკენ, ასევე პირიქით მიმართულ სატრანსპორტო ნაკადებს, რაც დაძაბულ სიტუაციას ქმნიდა გმირთა მოედნის ამ მონაკვეთზე.

ამავდროულად კოსტავას ქუჩიდან რუსთაველის გამზირისაკენ მიმავალი ნაკადები, ფილარმონიის წინ, კვეთდნენ რუსთაველიდან ვაკის მიმართულებით მოძრავ სატრანსპორტო ნაკადებს და ამ გადაკვეთისგან გამოწვეული შეფერხება ფაქტობრივად ბლოკავდა ტრანსპორტის მოძრაობას კოსტავას ქუჩაზე. ანალოგიური სიტუაცია იყო მელიქიშვილის გამზირისა და ვარაზისხევის გადაკვეთაზე, რის გამოც ორივე კვანძში წარმოიქმნებოდა საცობები.

სატრანსპორტო სამკუთხედში ქუჩებზე ცალმხრივი მოძრაობის ორგანიზაციას უნდა გამოერიცხა ზემოთ აღნიშნული გადაკვეთები და შეექმნა ტრანსპორტის უწყვეტი მოძრაობის პირობები, რასაც თავის მხრივ უნდა მოჰყოლოდა მოძრაობის სიჩქარის და სათანადოდ ქუჩის გამტარუნარიანობის ზრდა, ტოქსიკური გამონაბოლქვის შემცირება და სათანადო ეკოლოგიური ეფექტი.

ყურადსაღებია, რომ სატრანსპორტო ნაკადების ასეთი ორგანიზაცია წარმატებით გამოიყენება ბევრი ქალაქის პრაქტიკაში, განსაკუთრებით კი ქალაქის ცენტრალური ბირთვის ზონაში, რომელიც ისტორიულად ჩამოყალიბებული ვიწრო ქუჩების ქსელით არის ფორმირებული. ამდენად "ბერმუდის სამკუთხედი", როგორც საინჟინრო გადაწყვეტილება, პოტენციურად სწორი და სათანადო ეფექტის მომცემი უნდა ყოფილიყო.

რატომ ვერ იქნა მიღწეული პოზიტიური ეფექტი, და უფრო მეტიც, სიტუაცია ერთგვარად გაუარესდა კიდეც?


ბესო გულაშვილის ფოტო

ამაზე პასუხი მნიშვნელოვანია არა მარტო იმიტომ, რომ გამოიკვეთოს მიღებული სქემის ავ-კარგი, არამედ გამოჩნდეს ის გზები, რომლითაც შესაძლებელი იქნება პროექტში ჩადებული პოტენციური შესაძლებლობების სრული ამოქმედება.

საქმე კი შემდეგშია: ვაკიდან წამოსულ და საბურთალოს, თამარ მეფის გამზირისა და სანაპიროსაკენ მიმართულმა ნაკადებმა, რომელიც წინა სქემის დროს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვარაზისხევით გმირთა მოედანზე ჩამოდიოდა, მიმართულება იცვალა და თავი მოიყარა ფილარმონიის წინ, სადაც ეს ნაკადები 180 გრადუსით ბრუნდება და შედის კოსტავას ქუჩაზე, რომლის გავლითაც ასევე გმირთა მოედანზე ხვდება.

ამავდროულად, რუსთაველის გამზირიდან ვაკისკენ მიმავალმა ტრანსპორტმა, რომელიც მელიქიშვილის გამზირით მოძრაობდა, ასევე შეიცვალა მიმართულება და კოსტავას ქუჩაზე გადაინაცვლა, ამდენად კოსტავას ქუჩის შესასვლელში, რომელიც ამ ქუჩის ყველაზე ვიწრო, ანუ ეგრეთწოდებულ "ბოთლის ყელს" წარმოადგენს, თავი მოიყარა ორმა მძლავრმა ნაკადმა.

კოსტავას ქუჩის ყელი, სადაც შესაძლებელია ოთხრიგი მოძრაობის მოწყობა, გამტარუნარიანობის თვალსაზრისით, არ უნდა ყოფილიყო მალიმიტირებელი რგოლი, რადგან ამ ყელში შემავალი ჯამური ნაკადი (ორი რიგი მელიქიშვილის გამზირიდან და ორი რიგი რუსთაველის გამზირიდან) ტოლფასია ყელის გამტარუნარიანობისა. სინამდვილეში ეს ასე არ მოხდა და კოსტავას ქუჩის შესასვლელი ყელი გახდა სატრანსპორტო საცობის წყარო.

შედარებით ნაკლები სირთულის კვანძი წარმოიქმნა ვარაზისხევისა და მელიქიშვილი-ჭავჭავაძის ქუჩის გადაკვეთაზე, სადაც ვაკიდან ქალაქის ცენტრისაკენ მომავალი ნაკადების შერწყმა, ვარაზისხევიდან ცენტრისაკენ მიმავალ სატრანსპორტო ნაკადებთან (განსაკუთრებით ტროლეიბუსების მარცხნივ მოხვევა) ასევე წარმოადგენს საცობების წარმოქმნის პოტენციურ წყაროს, თუმცა სიტუაციას ერთგვარად არეგულირებს ქუჩების გადაკვეთაზე მომქმედი შუქნიშანი.

მაშ, რატომ არ იმუშავა პოტენციურად სწორმა საინჟინრო გადაწყვეტილებამ?

აქ ყურადღება უნდა გამახვილდეს არა მარტო იმ გაუთვალისწინებელ საკვანძო მომენტებზე, რომელმაც განაპირობა უარყოფითი შედეგი, არამედ ერთი შეხედვით უმნიშვნელო ფაქტორებზე, რომელიც ჯამში სერიოზულ ნეგატიურ შედეგს იძლევა.

პირველი და ყველაზე მთავარი შეცდომა არის მელიქიშვილის გამზირიდან კოსტავას ქუჩაზე შემავალი სატრანსპორტო ნაკადის სპეციფიკური თავისებურებების გაუთვალისწინებლობა. საქმე ის არის, რომ მელიქიშვილის გამზირზე მოძრავ ტრანსპორტს უხდება ფილარმონიის წინ უაღრესად მცირე რადიუსის მოსახვევში 180 გრადუსით შემობრუნება, რის გამოც კოსტავას ქუჩის ყელში შესვლის სიჩქარე უაღრესად დაბალია. ეს კი მნიშვნელოვნად ამცირებს ამ ყელის გამტარუნარიანობას. ამასთან ეს სატრანსპორტო ნაკადი, რომელიც გმირთა მოედანზე სათანადოდ საბურთალოს, თამარ მეფის გამზირისა და სანაპიროს მიმართულებით უნდა გადაადგილდეს, საჭიროებს კოსტავას ქუჩის მარცხენა მხრიდან მარჯვენა მხარეს გადაწყობას. ამ დროს ხდება რუსთაველის გამზირიდან კოსტავას ქუჩაზე შემავალი იმ სატრანსპორტო ნაკადის გადაკვეთა, რომელიც შემდგომში, გმირთა მოედნიდან ვაკისაკენ მიემართება და საჭიროებს მარჯვენა მხრიდან მარცხენა მხარეზე გადაწყობას.

ქუჩის დასაწყისში, სავალ ნაწილზე სათანადო მარკირების (უწყვეტი გამყოფი ხაზის) არარსებობა განაპირობებს იმას, რომ სატრანსპორტო ნაკადების გადაწყობა იწყება კოსტავას ქუჩაზე შესვლისთანავე, სადაც მოძრაობის სიჩქარე, როგორც აღვნიშნეთ, მოხვევის მცირე რადიუსის გამო, უაღრესად დაბალია. ეს იწვევს ნაკადების ბლოკირებას. ამას ხშირად ემატება ისიც, რომ კოსტავას ქუჩის დასაწყისში, არც თუ იშვიათად, გაჩერების ამკრძალავი ნიშნის მოქმედების ზონაში, გაჩერებულია ავტომობილები, რაც ფაქტობრივად ანახევრებს ყელის გამტარუნარიანობას. მოძრაობის შეფერხების კიდევ ერთი მიზეზი დაზიანებული სავალი ნაწილია (კოლექტორების თავსახურებთან და ქუჩის სხვადასხვა ადგილას არსებული ორმოები).

ყველაფერი ეს ერთად აღებული ქმნის საცობის წარმოშობის წინაპირობებს.

ეს მოსაზრებები არ მოითხოვს დიდ დასაბუთებას, რადგან სატრანსპორტო ნაკადები კოსტავას ქუჩის ყელის გავლის შემდეგ, ტექნიკური ბიბლიოთეკის მისასვლელთან, წესრიგდება და გმირთა მოედნამდე შეუფერხებლად მოძრაობს.

რა გააუმჯობესებს "ბერმუდის სამკუთხედში" მდგომარეობას?

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ ლაპარაკია მხოლოდ იმ ღონისძიებებზე, რომლებიც არ მოითხოვენ საფუძვლიან და ძვირად ღირებულ ცვლილებებს, კერძოდ, საჭიროა:

- ფილარმონიის წინ არსებული მობრუნების ადგილის გადანაცვლება, ამ ადგილის ფიქსირებისათვის აგებული ჯებირის გარეთ. ამით, ჯერ ერთი, ოდნავ მაინც გაიზრდება მობრუნების რადიუსი და მეორე, რაც უფრო მნიშვნელოვანია, შემობრუნებულ ტრანსპორტს მიეცემა შესაძლებლობა, კოსტავას ქუჩაზე შესვლამდე დაიწყოს მოძრაობის სიჩქარის გაზრდა და ვიწრო ყელში შევიდეს ამ ადგილისათვის დასაშვები სიჩქარით.

- ტრანსპორტის შემობრუნების ადგილიდან რუსთაველის გამზირზე და კოსტავას ქუჩაზე (ტექნიკურ ბიბლიოთეკამდე) დაიხაზოს უწყვეტი გამყოფი ხაზები და დაიკიდოს სათანადო საგზაო ნიშნები, რათა გამოირიცხოს სატრანსპორტო ნაკადების გადაწყობის მცდელობა ქუჩის დასაწყისში.

- კატეგორიულად აიკრძალოს კოსტავას ქუჩის სავალი ნაწილის მთელ მონაკვეთზე ავტომობილების არა თუ დგომა, არამედ გაჩერებაც კი (საერთოდ გაჩერებების და სადგომების ორგანიზაცია მთელი ქალაქის მასშტაბით სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. ეს საკითხი რომ სავსებით იგნორირებულია ქალაქის პრაქტიკაში, იქიდანაც ჩანს, რომ არ არის არც ერთი ორგანიზებული გაჩერების ადგილი, რომელიც მონიშნული იქნება სათანადო საგზაო ნიშნით, ამდენად ეს საკითხი ცალკე სერიოზული განხილვის საგანი უნდა გახდეს).

- დაუყოვნებლივ ჩატარდეს კოსტავას ქუჩის საფარის კაპიტალური შეკეთება, ორმოების ლიკვიდაციის მიზნით.

- ქუჩის დასაწყისის ორივე მხარეს ტროტუარებზე მოეწყოს დეკორატიული ჯებირები სავალ ნაწილზე ფეხით მოსიარულეთა მოხვედრის გამორიცხვის მიზნით.

- კოსტავას ქუჩაზე მოიჭრას ჭადრები და შეიცვალოს მცირე ზომის ნარგავებით (ან მოხდეს მათი გადაბელვა), რათა გამოირიცხოს ხის ტოტებით ქუჩის გადახურვის გამო ქუჩის შევიწროების ფსიქოლოგიური ეფექტი.

- მოიშალოს ვერის ბაღის შესასვლელის წინ საზოგადო ტრანსპორტის გაჩერების "კუნძულები" და გაჩერება გადატანილი იქნას ქუჩის განაპირას, მიწისქვეშა გადასასვლელთან, რათა გამოირიცხოს საზოგადო ტრანსპორტში ჩაჯდომა-გადმოსვლის დროს ფეხით მოსიარულეთა მიერ სავალი ნაწილის გადაკვეთა.

- მოიშალოს ან დამოკლდეს ტექნიკური ბიბლიოთეკის წინ საზოგადო ტრანსპორტის გაჩერებისათვის არსებული "კუნძული". გაჩერება მოეწყოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინ მიწისქვეშა გადასასვლელთან არსებულ "ჯიბეში". ამით ასევე გამოირიცხება ფეხით მოსიარულეთა მიერ სავალი ნაწილის გადაკვეთის შემთხვევები.

რაც შეეხება ვარაზისხევსა და მელიქიშვილი-ჭავჭავაძის გამზირების გადაკვეთას - პირველ რიგში, საჭირო იქნება გაიზარდოს ვარაზისხევიდან მელიქიშვილის გამზირზე ტრანსპორტის მოხვევის რადიუსი ამ ქუჩების გადაკვეთის კუთხის მცირე რეკონსტრუქციით, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის გადაკვეთის კვანძის გამტარუნარიანობას.

უფრო რადიკალური ღონისძიება იქნება ვარაზისხევზე მიწისზედა ფეხით გადასავლელი ხიდის აგება. ვარიზისხევის რელიეფი საშუალებას იძლევა ფეხით მოსიარულეთათვის ხიდზე ასვლის სიმაღლე არ იყოს დიდი, ამასთან ვარაზისხევზე ჩამოსვლისათვის გამოყენებული იყოს უნივერსიტეტში ასავლელი და მის მოპირდაპირე მხარეს არსებული კიბეები. ამით შესაძლებელი იქნება - ვარაზისხევიდან მელიქიშვილისა და ჭავჭავაძის გამზირზე ტრანსპორტის შესვლა მოხდეს უწყვეტი მოძრაობით და გამოირიცხოს შუქნიშნით რეგულირება. ეს გაზრდის ქუჩების გამტარუნარიანობას და შეამცირებს განსაკუთრებით მავნე კომპონენტების შემცველ გამონაბოლქვს, რომელიც გამოიყოფა დგომისა და აღმართზე მოძრაობის დაწყებისას.

ასევე პოზიტიური ეფექტი ექნება ჩაის სახლის წინ არსებული "კუნძულის" მოშლა ან დამოკლება, რითაც კეკელიძის ქუჩიდან ჭავჭავაძის გამზირზე შემსვლელი ნაკადები მდორედ შეერწყმება ვაკიდან ცენტრისაკენ მიმავალ ნაკადებს.

"ბერმუდის სამკუთხედის" მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებების გამოხატვა ერთობ სარისკო საქმეა, რადგან ეს იდეა სერიოზულად არის დასკრედიტირებული არა მარტო მოსახლეობის, არამედ ქალაქისა და ქვეყნის ხელმძღვანელობის თვალში. უფრო მეტიც, უკვე არსებობს კეკელიძე-ჭავჭავაძის ქუჩების გადაკვეთაზე გზაგამტარის მშენებლობის პროექტი, რომელიც "ბერმუდის სამკუთხედის" ალტერნატივად განიხილება და, როგორც ჩანს, მაღალ დონეზე დიდი მხარდაჭერით სარგებლობს. რა თქმა უნდა, სხვადასხვა დონეზე ქუჩების გადამკვეთი გზაგამტარის აშენება კარდინალურად გააუმჯობესებს ტრანსპორტის მოძრაობის პირობებს კეკელიძისა და ჭავჭავაძის ქუჩების გადაკვეთის ადგილას, მაგრამ ამ კვანძში პრობლემების გადაწყვეტამ, მოსალოდნელია, სერიოზულად გაართულოს ისედაც დაძაბული მდგომარეობა გმირთა მოედანზე და ფილარმონიის წინ. ამდენად, ზემოთ აღნიშნული პროექტი განხილული უნდა იყოს არა იზოლირებულად, არამედ "ბერმუდის სამკუთხედის" სატრანსპორტო კვანძთან კომპლექსში. საკითხისადმი ასეთმა მიდგომამ, შესაძლებელია, ამ პროექტთან ერთობლიობაში დღის წესრიგში დააყენოს სხვა არანაკლებ რთული და ძვირად ღირებული საინჟინრო ნაგებობების მშენებლობის აუცილებლობის საკითხი.

ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება საწყისს ეტაპზევე აუცილებლად მიგვაჩნია, რათა შემდეგში კვლავ არ მოხდეს ის, რაც "ბერმუდის სამკუთხედის" მიმართ მოხდა. ამ შემთხვევაში დანაკარგები უკვე ექვსნიშნა რიცხვებად იქნება გამოხატული და კიდევ ერთი პროექტის წარუმატებლობა, მოსალოდნელია, სერიოზულ ჩრდილს მიაყენებს ქალაქის ხელმძღვანელობის იმიჯს.

რაც შეეხება "ბერმუდის სამკუთხედის" პროექტს, აქაც ურიგო არ იქნება ერთ კომპლექსში განხილული იყოს ამ სატრანსპორტო კვანძის მიმდებარე ქუჩების ქსელიც, სადაც მოძრაობის ახალი სქემის პირობებში სერიოზულად დაიძაბა სატრანსპორტო სიტუაცია.

მეორე მხრივ, საყურადღებოა, რომ არსებობს იმის პოტენციური შესაძლებლობა, რომ სამკუთხედის მიმდებარე ქუჩებზე ტრანსპორტის მოძრაობის სქემის გაუმჯობესებით, არა მარტო გადაიჭრას ეს პრობლემა, არამედ კიდევ უფრო გაიზარდოს "ბერმუდის სამკუთხედის" ეფექტურობა.

ამ მიმართებით გვინდა, რამდენიმე მოსაზრება განვიხილოთ.

- ვაკიდან ცენტრისაკენ მოძრავი ტრანსპორტისათვის რუსთაველის გამზირზე, ფილარმონიიდან სასტუმრო "ივერიამდე", ცალმხრივი მოძრაობის ორგანიზაცია. ამასთან ამ მონაკვეთზე, საზოგადო ტრანსპორტისათვის საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობისათვის ცალკე ზოლის შენარჩუნება.

- ცენტრიდან კოსტავას ქუჩისაკენ მიმართული ტრანსპორტის ცალმხრივი მოძრაობის ორგანიზაცია ახვლედიანისა და ქიაჩელის ქუჩებზე. დღეისათვის ეს ქუჩები უფრო მეტად არის გამოყენებული ტრანსპორტის სადგომ ადგილად, ვიდრე მოძრაობისათვის, რაც ქალაქისათვის უაზრო ფუფუნებაა, ამიტომ აქ საჭიროა გაჩერების აკრძალვა მთელი დღე-ღამის განმავლობაში ან დღის საათებში მაინც.

ამ ღონისძიების განხორციელების პარალელურად აუცილებელი იქნება ელბაქიძის აღმართზე ტრანსპორტის მოძრაობის სქემის ადეკვატური შეცვლა, კერძოდ:

- ელბაქიძის აღმართიდან რუსთაველის გამზირზე ცენტრისაკენ მოძრაობა საჭირო იქნება, განხორციელდეს მარცხნივ მოხვევით, ხოლო - კოსტავას ქუჩისაკენ მიმავალი ტრანსპორტისა კი, რუსთაველის გამზირზე შესვლის შემდეგ, სასტუმრო "ივერიის" წინ შემობრუნებით ახვლედიანისა და ქიაჩელის ქუჩებისაკენ.

- რუსთაველის გამზირიდან ელბაქიძის დაღმართისაკენ მიმავალი ტრანსპორტი გადაირთოს შოთა მესხის ქუჩით რეზო თაბუკაშვილის ქუჩაზე და შემდგომ სასტუმრო "ივერიის" ქვეშ არსებულ გვირაბში.

"ბერმუდის სამკუთხედთან" მიმართებაში ტრანსპორტის მოძრაობის ორგანიზაციის სქემის გარკვეული გაუმჯობესების შესაძლებლობაა თვით გმირთა მოედანზეც.

გმირთა მოედნის ქვეშ გადის სერიოზული გამტარუნარიანობის გვირაბი, თითოეულ მხარეს სამმხრივი ზოლით, რომლის პოტენციალი მხოლოდ უმნიშვნელოდაა გამოყენებული. ამ ინჟინრული ნაგებობის გამოყენების ეფექტურობა მნიშვნელოვნად გაიზრდება, თუ კოსტავას ქუჩიდან, გმირთა მოედნის გავლით საბურთალოსაკენ მიმავალი ტრანსპორტი მიმართული იქნება ცირკის მხარეს არსებულ პანდუსზე და მარჯვნივ მოხვევით გაივლის მოედნის ქვეშ გვირაბში. ამით გამოირიცხება გმირთა მოედანზე სატრანსპორტო ნაკადების გადაკვეთის ორი წერტილი, რომლებიც იქმნება კოსტავას ქუჩიდან გმირთა მოედანზე შემოსული ნაკადების გადაკვეთით, ერთი მხრივ, საბურთალოდან თამარ მეფის გამზირისაკენ, მეორე მხრივ კი, თამარ მეფის გამზირიდან ვარაზისხევისაკენ მიმართულ ნაკადებთან. ეს მნიშვნელოვნად გაამარტივებს გმირთა მოედანზე სატრანსპორტო სიტუაციას.

ასევე ეფექტური იქნება, ჭავჭავაძის გამზირზე ვარაზისხევიდან ვაკისკენ მოძრავი ტრანსპორტის ცალმხრივი მოძრაობის ორგანიზაცია სახანძრო დეპომდე, ამასთან ერთად ამ მონაკვეთზე ვაკიდან ცენტრისაკენ მოძრავი საქალაქო ტრანსპორტი მოძრაობისათვის შენარჩუნებული უნდა იყოს ერთი რიგი და ვაკიდან ცენტრისაკენ მოძრავი მთელი ტრანსპორტი გადართოს ფალიაშვილის ქუჩაზე.

აქ განხილული წინადადებები, რა თქმა უნდა, სერიოზულ გათვლებს და პროფესიონალურ ანალიზს უნდა დაექვემდებაროს, მით უმეტეს, რომ საზოგადოების ნეგატიური დამოკიდებულება, რომელიც "ბერმუდის სამკუთხედის" მიმართ შეიქმნა, მოსალოდნელია, ჯაჭვურ რეაქციას გამოიწვევს და ყველა ახალ წინადადებას სერიოზული წინააღმდეგობა შეხვდება. უფრო მეტიც, ამ ღონისძიებების ეფექტურობის შემთხვევაშიც კი საჭირო იქნება წინმსწრები სერიოზული მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარება და მოსახლეობის სათანადო ინფორმირება.

"ბერმუდის სამკუთხედისა" და მის მიმდებარე ქუჩებზე ტრანსპორტის მოძრაობის სქემის გაუმჯობესება, რა თქმა უნდა, უაღრესად მნიშვნელოვანია, მაგრამ ქალაქის მასშტაბით მაინც ლოკალური ღონისძიებაა.

საქმე ის არის, რომ ტრანსპორტის მოძრაობის სერიოზული შეფერხებები და საცობები ქალაქის კიდევ ბევრ ადგილას შეინიშნება. არც თუ იშვიათია შემთხვევები, როცა აღმაშენებლის, წერეთლის, გამსახურდიას გამზირებზე და სხვა ადგილებში მოძრაობა მთლიანად არის პარალიზებული. ეს მაშინ, როცა ქალაქის ქუჩების ქსელს გააჩნია მნიშვნელოვანი რეზერვები, რომელთა ამოქმედება, სატრანსპორტო ნაკადების რაციონალურად განაწილების გზით, რადიკალურად შეცვლიდა მდგომარეობას.

ამ მხრივ, პირველ რიგში, ყურადღება იმაზეა გასამახვილებელი, რომ მთელი რიგი გადატვირთული მაგისტრალების პარალელური ქუჩები არაეფექტურად არის დატვირთული.

ავიღოთ რუსთაველის გამზირი და თაბუკაშვილის ქუჩა, რომელიც ამჟამად უმოქმედოდაა მიწისძვრით დაზიანებული შენობების გამო. ამ ქუჩაზე შესაძლებელია რუსთაველის გამზირიდან მნიშვნელოვანი სატრანსპორტო ნაკადების გადანაწილება, ამასთან ამოქმედდება ძვირად ღირებული ინჟინრული ნაგებობა, გვირაბი სასტუმრო "ივერიის" ქვეშ, რომელსაც დღეს ფაქტობრივად ფუნქცია აქვს დაკარგული.

ანალოგიური მდგომარეობაა გამსახურდიას გამზირზე, სადაც, სასტუმრო "აჭარიდან" დაწყებული ვაჟაფშაველას გამზირამდე, ხშირად წარმოიქმნება საცობები. ეს მაშინ, როცა იმავე მონაკვეთზე, მისი პარალელური კოსტავას ქუჩის გამტარუნარიანობა 20-25 პროცენტით თუ არის ათვისებული.

იგივე ითქმის აღმაშენებლის გამზირზე, მის პარალელურ წინამძღვრიშვილისა და უზნაძის ქუჩებზე და სხვა მთავარ მაგისტრალებზე.

ეს მაგალითები, ვფიქრობთ, მიგვანიშნებს იმაზე, რომ დღის წესრიგში აქტუალურად დგას ქალაქის გენერალური სატრანსპორტო სქემის რადიკალური მოდერნიზაციის საკითხი.

იმდენად, რამდენადაც მოკლე პერიოდში არ არსებობს სათანადო რესურსები, რათა ეს საკითხები გადაწყდეს რთული და ძვირად ღირებული ინჟინრული ნაგებობების მშენებლობით, ერთადერთ რეალურ შესაძლებლობად რჩება არსებული ქუჩების გამტარუნარიანობის მაქსიმალურად გამოყენება.

ეს თავის მხრივ დღის წესრიგში აყენებს ქალაქის ქუჩებზე ტრანსპორტის მოძრაობის სქემების საფუძვლიან რეორგანიზაციას, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს ქუჩებზე სატრანსპორტო ნაკადების თანაბრად გადანაწილებას, ტრანსპორტის გაჩერებასა და დგომის ადგილების მოწესრიგებას, საქალაქო ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობებს შორის ფუნქციების გადანაწილებას და მათი სამარშრუტო სქემის რაციონალურ ორგანიზაციას; წინააღმდეგ შემთხვევაში, უახლოეს პერიოდში მოსალოდნელია ქალაქში სატრანსპორტო სიტუაციის მკვეთრი გაუარესება, რადგან ავტომობილიზაციის ტემპები გაცილებით წინ უსწრებს ახალი ქუჩების და მაგისტრალების მშენებლობის და რეკონსტრუქციის ტემპებს.

ამ პრობლემების მიმართ სერიოზული მიდგომა მით უფრო აუცილებელია, რადგან ქალაქის ხელმძღვანელობის მიერ მიმდინარე წელს გათვალისწინებულია მასშტაბური ღონისძიებები, რომლებიც მომართულია ქალაქის ქუჩების კეთილმოწყობისაკენ. თუ ამას პარალელურად მოჰყვება სატრანსპორტო ნაკადების ორგანიზაციის ახალი ეფექტური სქემების დანერგვა, ამ ძალისხმევის შესაბამისი ეფექტი გაცილებით შთამბეჭდავი იქნება.

სახელი ____
გვარი ____
ასაკი ____
სიმაღლე ____

მისამართი ____

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ____

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა____________ თარიღი________

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა

# სუსტი რგოლი

## მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, გონებამახვილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

ანკეტა გამოგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დააკრათ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გამოსახული, მასზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადაღებული უნდა იყოს ერთი წლის განმავლობაში.

## TV პროგრამა

### 1 თებერვალი

**რუსთავი - 2**

**07.30** დილა **08.00** ტელელიპუცები **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** სუსტი რგოლი **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.30** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "ვისაც გინდა იმას აკოცე" (გ) **15.25** ქართული ფეხბურთის მიმოხილვა **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** ტელელიპუცები **18.30** პატრული **18.55** ხალხის პირისპირ **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** ღამის შოუ **23.00** მხ. ფილმი "მომკალი მოგვიანებით" (18) (სელმა ბლეიერი) **01.55** პატრული

**TV5**

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.015(შვეიცარია), 02.40(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** დ დიზაინი. **07.05** ოსშვიცის მოცურავე. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **10.30** გადაცემა: ქრონიკები მთიდან. **11.05** სიძულვილზე უფრო მეტი. დოკ. ფილმი. **12.15** ბედნიერება. მხ ფილმი. რეჟისორი მარსელ ერბიე. **16.25** აქტუალური თემა. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** ტერორის სამიზნეები. დოკ. ფილმი. **24.30** გადაცემა: წითელი ფარდა. **03.05** სამხრეთის ანარეკლი. ბურკინა ფასო. **04.20** პირველი. ტელესერიალი.

**პირველი არხი**

**08.00** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "პერსი პიტცერის მფრინავი მანქანა" **11.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "კლიფორდი" **12.45** ანიმაციური ფილმი "ციცქნა მოჩვენებანი" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" ოსურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** მხედრობა **16.15** სიცილის ოთახი **16.30** დოკ. ფილმი "მოგზაურობა" (ბარსელონა) **17.30** დოკ. ფილმი "მითხარი რატომ" -მეცნიერება, ხმა, ენერგია **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** სერიალი "ჯეტ ჯექსონი" **19.00** "ჰოლმარკი" წარმოგიდგენთ-"მის იტალია" 1-ლი ს. **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "დღე, როცა დედამიწა კინაცამ დაიღუპა" **23.00** პროფესიონალი - ავიამშენებლები **23.30** მხ. ფილმი "თანამგზავრები" (12) **01.10** საინფ. გამოშვება

**მზე**

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "მოდა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** სერიალი "დიელი და პასკო" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ბრძოლა გადარჩენისთვის" **16.05** სერიალი "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "დიელი და პასკო" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** მუსიკა **19.00** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** არჩევანის ზღვარზე **00.00** მხ. ფილმი "კონტრაქტი" (15) (ჯეფ ფეიხი)

**მეორე არხი**

**19.00** სერიალი "ზღვის რაჯა" მე-6 ს. **19.50** "ბაბილინა" **20.05** სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" **20.30** სერიალი "უშიშარნი" მე-12ს. **20.55** დოკ. ფილმი "სიკვდილს გადარჩენილნი" **22.10** კინოსეანსი "ჩემნაირი ლამაზი გოგო"

**იმედი**

**07.00** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "საზღვაო ისტორიები" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "კამენსკაია-6" **12.20, 17.10, 05.00** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 04.30** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "შეყვარებულები" (რ. ნახაპეტოვი) **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 04.20** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **17.25** სპ. პროგრამა "გოლი" **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "კამენსკაია-6" **22.40** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **23.00** პირველები **23.40** მხ. ფილმი "საშობაო ღვეზელი" (15) (ს. აზემა) **01.25** მხ. ფილმი "საყვარლები ახალი ხიდიდან"(15) (ჟ. ბინოში) **03.25** გოლი -სერია "ა" (იტალიის ჩემპიონატი)

**აჭარა**

**09.00** საინფ. დაიჯესტი **09.20** კომედია "საოჯახო გეგმა" **11.00** მუსიკა **11.30, 14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **11.45** "სტარტი" **12.15** სათავგ. ფილმი "ზოროს ნიღაბი" **14.45** ბოევიკი "ყინულოვანი დუმილი" **16.15** მულტფილმი **17.45** მუსიკა **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.50** ფანტასტიკა "ზვიგენები-2" **21.00** მხ. ფილმი "ცნობილ ცენტლმენთა ლიგა" **22.45** მუსიკა **23.30** საინფ. დაიჯესტი **23.50** მელოდრამა "ღმერთების შური"

**კავკასია**

**11.00** მხ. ფილმი "შემოვლა" (გ) **12.30** ტუწ-ემ **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** ტუწ-ემ **19.20** სპექტრი **21.15** მხ. ფილმი "ცეცხლქვეშ" (გ) **00.30** ტუწ-ემ

**202**

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** მუსიკა **13.00** სერიალი "დიდი სახლი" (გან.) **14.00** მუსიკა **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **19.30** სერიალი "დიდი სახლი" **22.30** მუსიკა **23.00** დებატები 202-ზე

**ОРТ**

**06.00** "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Сериал **"БЛИЗНЕЦЫ". 10.30, 18.40** Сериал **"КЛОН". 11.30** Дисней-клуб: "Новые приключения Винни Пуха". **12.20** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.10** Олег Жаков в фильме **"СЛЕДЫ НА СНЕГУ". 14.30** "Угадай мелодию" с Валдисом Пельшем. **15.20** Сериал **"ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ". 16.30** "Пять вечеров". Вторник. **17.30** Сериал **"ДВЕ СУДЬБЫ". 19.50** Лариса Удовиченко в детективе **"ЛЮБИТЕЛЬНИЦА ЧАСТНОГО СЫСКА ДАША ВАСИЛЬЕВА-2". 21.00** Время. **22.40** Тайны века. "Падение маршала Лубянки". **23.30** Ночное "Время". **23.50** "Звезды эфира". Зиновий Гердт. **00.20** "Сканер". "Предсказание катастроф". **00.50** Док. фильм "Заклинатель змей". **01.20** Харви Кейтел в детективе **"ГИНОСТРА"**. Агент ФБР Мэтт Бенсон вместе с женой Джесси и 5-летней дочкой Тиной приезжает на Сицилию в чудесный дом с изумительным видом на вулкан Гиностра. Мэтту предстоит расследовать цепь массовых убийств на острове, в том числе и гибель своего осведомителя Стефано Греко и его семьи. Единственный свидетель трагедии, оставшийся в живых, - 11-летний Этторе Греко. Чтобы уберечь мальчика от гибели и подружиться с ним, Мэтт берет его в свой дом… **03.50** Мерседес Руэль в триллере **"ВДОВЫ"**. **1**-я с. Три вора решают провернуть выгодное дельце: украсть из галереи ценную картину. Но операция заканчивается печально: всех убивают. Их вдовы - Долли, Линда, и Ширли - подозревают, что дело нечисто: ведь все было продумано до мелочей. Нет сомнений: мужей подставили. И они клянутся во что бы то ни стало найти убийц ...

**НТВ**

**06.00** "Сегодня утром". **09.05** Детективный сериал **"ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО: УБИЙСТВО ПО ОШИБКЕ". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** "Сегодня" **10.20** Анатомия преступлений. **10.50** "Стресс". Ток-шоу **11.55** Сериал **"ПАРНИ ИЗ СТАЛИ". 13.35** Сериал **"НА ВИРАЖЕ". 14.30** Сериал **"КАРУСЕЛЬ". 15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.35** Сериал **"ЛИНИЯ ЗАЩИТЫ". 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"ПАРНИ ИЗ СТАЛИ". 20.45** Сериал **"КАРУСЕЛЬ". 21.50** Чрезвычайное происшествие. **22.40** Сериал **"ЛАНДЫШ СЕРЕБРИСТЫЙ". 23.45** Чрезвычайное происшествие. **00.15** Киану Ривз в остросюжетном фильме **"ДЖОННИ-МНЕМОНИК"**. Начало XXI века. Самая ценная информация передается с помощью мнемонических курьеров - людей, записывающих ее в собственный мозг при помощи вживленных имплантантов. Один из таких курьеров в результате перегрузки мозга теряет память и становится опасен - на него начинают охоту. Лишь в последнее мгновение Джонни удается "сбросить" информацию и сохранить жизнь себе и тысячам людей, которые в ней нуждались. **02.10** Бильярд. **03.15** Сериал **"ЗАПАДНОЕ КРЫЛО". 04.10** Сериал **"ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО". 04.55** Остросюжетный сериал **"ОПЕРАТИВНИК". 05.40** Чрезвычайное происшествие.

## სკანვორდი



1. ძველი აღთქმის ერთ-ერთი წიგნი; 2. ქალაქი და პროვინცია სამხრეთ იტალიაში; 3. დიდი ინგლისელი დრამატურგი და პოეტი; 4. კავკასიონის ქედის მწვერვალი; 5. ამერიკელი კინომსახიობი და რეჟისორი; 6. "ოქროს ბურთის" 1968 წლის მფლობელი; 7. ერუდიციის გამოსავლენი თამაში; 8. მუცლის ღრუს გამოკვლევის მეთოდი; 9. სახელმწიფო მმართველობის ფორმა; 10. დიდი ბრიტანეთის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ნაწილი; 11. გ. ტაბიძის ლექსი; 12. თეთრი ლაქა თვალის გუგაზე; 13. არწივის თანავარსკვლავედის ვარსკვლავი; 14. ცხიმში აზელილი სამკურნალო ნივთიერებები; 15. კედლის მხატვრობა; 16. დამუხტული ნაწილაკი; 17. ზღვის ნიმფა ბერძნულ მითოლოგიაში; 18. ქალაქი ჩრდილოეთ იტალიაში; 19. ისტორიული მხარე დასავლეთ საქართველოში; 20. ინგლისური ჩაის მარკა; 21. მიწის თხილი; 22. ორი ზღვის შემაერთებელი წყლის ვიწრო სივრცე; 23. ცილისწამება; 24. სომალის დედაქალაქი; 25. საზღვაო-სამხედრო სასწავლებლის აღსაზრდელი ძველ რუსეთში; 26. სამთო-სათხილამურო სპორტის დისციპლინა; 27. წამოძახილი, მოკლე შენიშვნა; 28. გამოჩენილი ფრანგი ოკეანოგრაფი; 29. ძლიერი მცენარეული შხამი; 30. გეგა კობახიძის ცნობილი კინოროლი; 31. ცნობილი მოლდაველი სოპრანო; 32. უმად შეკაზმული ნიგვზის წვენი; 33. მტაცებელი ცხოველი; 34. აკვიატებული შიში უცხო პირის მიმართ.

# კინო ჯიბეში



ძნელი წარმოსადგენია ნორმალური ადამიანი, რომელიც საკუთარ ტელეფონში "ვარსკვლავური ომების" ან "ბეჭდების მბრძანებლის" სრული ვარიანტის ყურებას დაიწყებს. მაგრამ ახალი კინოჟანრი ნამდვილად საუკეთესო საშუალება იქნება ტელეფონთან განმარტოებულთათვის. სწორედ ამაზე დაიწყეს მუშაობა მსოფლიოში სახელგანთქმულმა ფირმებმა. მათი შრომის დასრულების შემდეგ მობილურ ტელეფონში უფრო სერიოზული რამეების ნახვა იქნება შესაძლებელი, ვიდრე მოცეკვავეპინგვინებიანი იუმორისტული კადრებია. ექსპერტები დარწმუნებული არიან, რომ როგორც რადიოსა და ტელევიზიის დაბადებამ გამოიწვია დრამის ახალი სახეობები, ისე მობილური კავშირის განვითარება მიგვიყვანს ხელოვნების ახლებური ფორმების ჩამოყალიბებამდე.

მესამე თაობის (3G) მობილურების მომხმარებელთა რაოდენობის თვალსაზრისით, შეერთებული შტატები ჩამორჩება ევროპას, ეს უკანასკნელი კი - იაპონიასა და სამხრეთ კორეას. ბრიტანეთში ძირითადი საფეხბურთო მატჩების ეპიზოდებს მობილურებზე ასობით ათასი ადამიანი ნახულობს. როგორც ჩანს, ახლო მომავალში მაღალი რეიტინგი ექნება ახალ ამბებსა და "საპნის ოპერებს".

მომავალი ბევრ რამეს გვაჩვენებს, ამჟამად კომპანია "ფოქსი" ქმნის ევროპისთვის თავისი პოპულარული ტელეთრილერის "24"-ის ერთწუთიან "მობიზოდს", თებერვალში კი იგივე დამზადდება შეერთებული შტატებისთვის. რასაკვირველია, ახალ ჟანრს საკუთარი, ახალი კანონები ექნება. მაგალითად, ბუნებრივია, რომ მობილურების ეკრანისთვის აზრი არ ექნება პანორამულ კადრებს, სამაგიეროდ, ყურადღება გამახვილდება გმირების სახეებზე.

მეორე პრობლემა "მობიზოდების" პროდიუსერებისთვის საავტორო უფლებების საკითხია. როგორც წესი, ფილმებსა და სერიალებზე უფლებები ტელეკომპანიებს ეკუთვნით, ამიტომაც მათი მობილურით ტრანსლაციისთვის საჭირო გახდება დეტალური მოლაპარაკებები ფინანსების განაწილებაზე. ამჟამად მოლაპარაკებები მიმდინარეობს MTV-სა და "მაიკროსოფტს" შორის ვიდეოკლიპების ტრანსლაციასთან დაკავშირებით. შესაძლებელია, მობილურებისთვის ყველაფერი თავიდან გადაიღონ. მაგალითად, "24"-ის სატელეფონო ვერსიას ახალი მსახიობები ეყოლება.

ჩნდება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შეკითხვა: ვინ გადაიხდის ამ ყველაფრისთვის? ტელეკომპანიები მოლაპარაკებას აწარმოებენ ფირმებთან - "ნაიკი" და "კოკა კოლა", რეკლამის მიზნით ფილმებში მათი პროდუქციის განთავსებაზე. ევროპაში უფრო გონივრულად მიაჩნიათ ამ სახის მომსახურებაზე ხელმოწერა (რაც, ცხადია, სატელეფონო კომპანიებთან გაფორმდება). ყველაფერი ახლო მომავალში გაირკვევა. მთავარი კი აშკარაა: მობილურმა კავშირმა ახალი კინოჟანრი უნდა შექმნას.

# გარდაიცვალა ეფრაიმ კიშონი



ცნობილი ებრაელი მწერალი-სატირიკოსი ეფრაიმ კიშონი 81 წლის ასაკში შვეიცარიაში გარდაიცვალა.

ეფრაიმ კიშონი (მისი ნამდვილი სახელია ფრანც ჰოფმანი) 1924 წელს ბუდაპეშტში დაიბადა. თავად კიშონის აღიარებით, თავისი ებრაელობის შესახებ მან ნაცისტურ საკონცენტრაციო ბანაკში მოხვედრის შემდეგ შეიტყო.

1949 წელს კიშონი საცხოვრებლად გადავიდა ისრაელში, სადაც რამდენიმე ათასი მოთხრობა, ორი რომანი, რამდენიმე პიესა, სატირული ნოველა და კინოსცენარი დაწერა. მისი ნაწარმოებები მსოფლიოს 37 ენაზეა თარგმნილი.

2002 წელს ეფრაიმ კიშონი ლიტერატურის დარგში ისრაელის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გახდა. ***ინტერ-პრესი***

საინფორმაციო ტექნოლოგიების
ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel,
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.
ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

# უცნობი სუპერგმირის სამზადისში



რინგო სტარი ახალი ანიმაციური სუპერგმირის პროტოტიპი იქნება. ამის შესახებ ლეგენდარული ოთხეულის წევრმა უკვე ხელი მოაწერა კონტრაქტს კომპანია POW! Entertainment-თან. ჯერჯერობით უსახელო პერსონაჟის თავგადასავლებს ციფრულ ვიდეოს, ასევე მულტიპლიკაციურ სერიალსა და რამდენიმე სრულმეტრაჟიან მულტფილმს მიუძღვნიან. რინგო სტარი კი არა მარტო გაახმოვანებს საკუთარ გმირს, არამედ დაწერს მუსიკას ზემოთ ჩამოთვლილი ფილმებისთვის. მუსიკოსის თქმით, მას საკმარისად აქვს იდეები სრულფასოვანი დისკის გამოსაცემად.

ახალი სუპერგმირის სახის შექმნაზე ასევე მუშაობს ადამიანიობობას ავტორი და შეერთებულ შტატებში პოპულარული კომიქსების გმირების ავტორი სტენ ლი.

# მარადიული ჭეშმარიტებანი თანამედროვე ენაზე

ავტორიტეტული მუსიკალური ჟურნალი "როლინგ სტოუნი" ბიბლიის ახალ თარგმანს გაუწევს რეკლამირებას. ბიბლიის ახალი, ახალგაზრდობისთვის გათვლილი ვერსიის გამომცემელია Zondervan, რელიგიურ ლიტერატურაზე ორიენტირებული გამომცემლობა.

თავდაპირველად, "როლინგ სტოუნის" რედაქციამ ამ იდეაზე უარი განაცხადა, იმ მოტივით, რომ გამოცემა არ ეწევა რელიგიური მასალის რეკლამას. თუმცა რატომ შეცვალა მალევე გადაწყვეტილება, უცნობია.

"ახალი" ბიბლიის რეკლამა ჟურნალის თებერვლის ერთ-ერთ ნომერში გამოჩნდება. ნახევარგვერდიან, საკუთარ თავში ჩაღრმავებული ახალგაზრდა მამაკაცის ფოტოს ქვეშ ექნება წარწერა: "მარადიული ჭეშმარიტებანი თანამედროვე ენით".

Zondervan-ის სარეკლამო კამპანიაში მონაწილეობას მიიღებენ შემდეგი გამოცემები: Modern Bride, Onion, MTV.com და AOL.




რესტორანი
"დაკარგული სამოთხე"
12-დან 18 საათამდე მუშაობს კაფეს სტატუსით,
სადაც ნებისმიერი კერძის ფასია 3 ლარი - 18 საათის
შემდეგ კი, თითოეულ სტუმარს, რომლის მიერ შერჩეული
მენიუს ღირებულება 25 ლარს გადააჭარბებს, მივართმევთ
ღვინოს ("რქაწითელი") უფასოდ, განუსაზღვრელი რაოდენობით.
ძმები კაკაბაძეების ქ.№2 ("კინოს სახლში") ტელ: 999-207

# მორიგი ქურდობა გალერეაში



ანტვერპენის სამხატვრო გალერეიდან გაიტაცეს სალვადორ დალის ნამუშევრები. მათ შორისაა ბრინჯაოს სამი ქანდაკება და ხეზე შესრულებული რამდენიმე გრავიურა. ეს უკანასკნელი დანტეს "ღვთაებრივი კომედიის" ილუსტრაცია იყო. გალერეის მფლობელმა მოპარული 70 ათასი ევროს ფარგლებში შეაფასა. ანტვერპენის პოლიცია საქმის გამოძიებას შეუდგა.

თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

ბიზნეს ჯგუფი "ვალენსია" გთავაზობთ



230$
☎33-28-77; 37-47-44; 37-06-78
899-50-90-77; 877-40-43-70
899-40-43-70
მის: ყაზბეგის 19
50-დან 400კვმ-მდე ბინებს უნიკალურ კომპლექსში, თავისუფლების მოედნიდან 5 კმ-ში, დოლიძის ქ. №18 (5 დეკემბრის ქუჩის პირველივე ასახვევი მარცხნივ), შემაღლებულ ადგილას, პანორამული ხედით, წყნარ და დაცულ ტერიტორიაზე. ბინები ჩაბარდება „თეთრი კარკასი".
შესაძლებელია ბიზნეს-ჯგუფი „ვალენსიის" მიერ იმპორტირებული, მაღალხარისხიანი მასალების, ავეჯის, სანტექნიკის, გათბობის სისტემების მიწოდების უზრუნველყოფა შეღავათიან ფასად და განვადებით.
შესაძლებელია 6 წლიანი განვადება.


# წამალი "სალხინო"

## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.